


ახეული

ლიტერატურული ჟურნალი
№1, 2016



ინგოგო

**ქანი
სახლთუხუცესთან** –

ვისი
მემკვიდრენი
არიან
ქართველები?

ჭუგა ღვებელი

ათცამეტზე
ცოტა მეტი





* * *

„მწერლობა მაინც სხვა არის, ნამდვილი მწერლობა. მას ყოველთვის თან ახლავს ღვთიური შუქი, რომელშიც ხარობს, ჯეჯილიც, შვლის ნუკრიც და ჩვენი სულიც“.

რევაზ ინანიშვილი

* * *

რეზო ინანიშვილს

იმ პაწარა მოთხრობებით
გულებს დიდად გვიძგერებდა,
რომ დასელოდა, ადბათ კიდევ
ას ნედინადს გვიმღერებდა...
რადგან გულში პქონდა განძი,
ღმერთისაგან მორთმეული
და დაარქვა თვითვე იმ განძს
სევდა ღიმიდმოფრქვეული...

გურამ პეტრიაშვილი



რეზო (ემელიანე) ადამიას
ნამუშევრები



რეზო (ემელიანე) ადამია და და ნინო ანანიაშვილი

ჟურნალ „ანეულის“ შემომწირველები:

როზა ინანიშვილი, მაია გოთუა, ანზორ სიფრაშვილი, რუსუდან კუზილოვა,
ქეთევან შენგელია, თამარ შაიშმელაშვილი

კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეულის“ რეკვიზიტებია:
ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE 22;
ანგარიშის ნომერი: GE81BG0000000306158900



ანეკდა

№ 1. მარტი. 2016 წელი

ლიტერატურული ფენიანი

| | |
|--|----|
| კლასიკა | |
| პაოლო იაშვილი მდუმარე ვედრება | 3 |
| პბტტა | |
| ზუხაბ ჯონახიძე პრიმუსი | 4 |
| თამაზ საჩხვაძე საქორწილო მუსიკით გამასვენეთ | 7 |
| ლევან ცოხინა მე და ღუღუ | 9 |
| პბტტა | |
| ლენა აბიანიშვილი | 13 |
| ლავით ზიზვაძე | 15 |
| ლიტერატურული კრიტიკა | |
| შოხანა ქატიანიშვილი მეტაფორული ალუზიები..... | 18 |
| ბაქნაზ ბჰანი რევაზ ინანიშვილის კონკურსში გამარჯვებული 3 მოთხრობა | 20 |
| პბტტა | |
| ბენა ბალაშვილი | 24 |
| მსაფრთხე | |
| იზომ (ამბიენა) ადამიანი | 26 |
| პბტტა | |
| ლენა ჭანტაძე | 27 |
| ბიომიხი სახიანიშვილი | 28 |
| ინტერვიუ | |
| ანა სანტოხაძე | 31 |
| თანამედროვე განცდა | |
| ნათან ბოხაძე | 36 |
| ლენა უხუცესიშვილი დავით წერეთლის | 37 |
| პბტტა | |
| ნათან ბოხიძე | 38 |
| ნიმუ ტახაშვილი | 39 |
| გასსენება იმიტის მხაშვილი ზურაბ ქაფიანიძე, მსახიობი – ლევანდა | 40 |
| პბტტა | |
| მანანა ქადაგი | 44 |
| მანანა მჭედლიშვილი | 45 |
| თარგმანი | |
| პატი ნაბაძე გერმანულიდან თარგმან დავით კირკიტაძემ | 46 |
| ნათან ხოხიაძე პინის შინაგანი მამაქაბში თარგმან დავით კირკიტაძემ | 51 |
| სახიბი უხუცესი რუსულიდან თარგმან ქეთევან კოკოზაშვილმა | 52 |
| მან საჩხვაძე ცოტა რამ ილია ორბელიანზე, იმამ შამილსა და ჯემალედინზე | 55 |
| მთარგმნის თარგმანი | |
| ლენა მისიანი-სანტოხაძე დათო ტურაშვილი – „ჩამირული ქალაქის დამე“ | 59 |
| ერთი ლექსი | |
| ნათან ჯაფარიძე „კვაზიმოდო“ | 64 |
| თამაზ შიშინაშვილი ქვიშხეთი | 65 |
| ადრე წასული ნიჭიერი ხელოვანი – გივი აფხაძე | 66 |
| ბედი უძის პიგნაიდან | |
| ჯაბაძე ჯიშინაძე დიდი მწერალი | 67 |
| ლევან ბოთას სისყვანთმანი | 68 |
| პბტტა | |
| ლენა სოფიანი | 69 |
| ერთი ლექსი | |
| ჯაბა ლეონი ათცამეტზე ცოტა მეტი | 72 |

ISSN 1987-9717

ენციკლედ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანელი“

ენციკლედ „ანელი“ ახსებელი
ლიტერატურული გაერთიანება:

თამარ მიქაძე
ლელია ქიტოშვილი –
სასლტხ უცხოვრილი
თემურ ჩალაბაშვილი
მანანა ჩიტიშვილი
ნინო ჩხიკვიშვილი
თამაზ სმალაძე
ივანე ჯაფარიძე
ჯუბა ღებელი
ჯუმბერ ჯიშკარიანი

მთავარი რედაქტორი

თამარ შაიშვილი

პასუხისმგებელი რედაქტორი

სოფიო ჯაფარიძე

ლოგოს ავტორი

ბიოგრაფიული რედაქტორი

კომპიუტერული რედაქტორი

გორა სოზიაშვილი

გაზეთი: იპსო (გაბრიელ) აღმოსავლური რედაქციის რედაქციის „მოსა ხსენებელი“

ჩეხოსლოვაკიის ტელეფონი: 551 00 50 58

რედაქციის ინტერნეტფოსტა: aneuli@mail.ru

ენციკლედში გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხისმგებელია ავტორი

მღუმარე ვედრება

ღმერთო! შენ დაამშვიდე ჩემი მამული,
ის არის სისხლით დანამული.
მან არ იცის – სიხარული როგორია!
უფალო! ჩემი ხვეწნა – ამბორია.
წინათ მას სდარაჯობდა ქალწული ნინო,
დღეს კი ქართველი სამშობლოში

არი ულხინო!

ღმერთო! სად არი ჩვენი ბედი,
ჩვენი იღბალი!
სუსტი ვარ, მაგრამ მენტრება
გმირების ხმალი!
მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერი
და წმინდა – როცა,
როცა მხურვალეთ მომინდება
მამულზე ლოცვა.

მაგრამ მე ვიცი, არ დაგვტოვებ
უფალო, ისეთ –
რომ კიდევ ერთხელ არ მოვიდეს
ახალი ქრისტე,
რომ კიდევ ერთელ არ ვიხილოთ
მტრის მორჩილობა



და სიხარულით შევიხვიოთ
მკერდის ჭრილობა,
ღმერთო! გვისმინე! ნუ დაგვტოვებ
ქართველებს მარტო,
მე აღარ ვიცი, როგორ გითხრა,
როგორ მოგმართო!
ქვეყნიერების სიხარული როცა იწყება,
მე მეშინია საქართველოს გადავიწყება.
უფალო! შენ ხარ ქვეყნის მეფე,
ქვეყნის მმართველი,
დიდი ხანია შენს წინაშე იწვის ქართველი!
და ჩვენი ლოცა დღეს სხვა ლოცვას
აღარ ედრება,
უკანასკნელი გავიგონე, ღმერთო, ვედრება!

1917 წელი

პ რ ი მ უ ს ი *



მზე უმოწყალოდ აცხუნებდა.

აგრუნუნებულ, აზვირთებული მდინარის აქეთა ნაპირი დიდი რიყის ქვებით იყო მოფენილი. ჯუჯა არყისხეებიან ფერდობს ზევით და ზევით დეკიანი, მერე კი, ჭრელი სათიბები ცვლიდა.

ჩქერებიდან აშხეფებული, ნიავეს წამოყოლილი წვეთები ნაპირთან მდგომ შალვას წვიმასავით ესხმებოდა სახეში.

– ჰეი! – მდინარის ხმაურში ვერ გაარჩია, რას ეკითხებოდა მამა. ზურგნატიდან თოკი ამოიღო და ხელით ანიშნა, გადასვლა მიწადა.

– არა! – ო, მამამ ხელი მდინარის მიმართულებით დაიქნია, – იქით! იქით!

შალვას ძალიან არ უნდოდა უკან დაბრუნება.

„იქ არ გამოვიარეთ, ვერ თქვა? ეეს!“

ფონი „სანაქებო“ აღმოჩნდა. წყალი მუხლამდე წვდებოდა. სიცივისაგან გალურჯებული წვივები და კოჭები აგორებულმა ლოდებმა გადაუტყავეს.

შავი, ნაშალი ფიქალის ფერდობი ციცაბოდ ეშვებოდა მდინარის გაღმა ნაპირზე.

შალვამ დასადგომი ჩატკებნა, დარჩენილი თოკი მხარზე გადაიტარა, ორივე ხელით დაიჭირა და მამას ანიშნა:

– წაამოდი!

* * *

გრუნათმიანი, წარბებგადაბმული ბიჭი რატომღაც ელოდა, რომ კლინიკაში სპირტისა და სადენინფექციო ხსნარის სუნი იქნებოდა.

– უკაცრავად, ექიმი ასტახიშვილი...

– ზურაბი? – გაუღიმა თეთრხალათიანმა „თეა“-მ, – წამობრძანდით!

ახლად გარემონტებული კედლები თეთრად ქათქათებდა, მეტლახზე ფეხი ცურავდა.

– ზურაბი! – ცალფეხმონხრილმა მედლამ თავი შეყოლია კარებში – თქვენთან არიან!

სათვალისანი, ქერათმიანი, მოგრძო სახის შუახნის ექიმი ტელეფონზე ლაპარაკობდა. შალვას ხელით ანიშნა: მოდი, დაჯექიო.

– კი ბატონო! კარქით! კარქათ!

სათვალის ზემოდან გადმოხედა მოსულს, გაუღიმა და ხელი გამოუწოდა.

– მიცანიო? – შალვამ.

– ჰეი! დევლორაკი, ხლდე, მეტეო! – ექიმი წამოიწია და კიდევ ერთხელ ჩამოართვა ხელი, – რას ქვია, გიცანი! „პრიმუსს“! შენ რომ არ ყოფილიყავი, მთელი ჯგუფი დავიციებოდიოთ იქ, მწვერვალზე!

– აბა, აბა! – გაეცინა შალვას.

– ჰო, იცინე, იცინე! – შინაურულად გააგრძელა

ზურაბმა, – სხვებსაც გვქონდა ბენზინის ქურები, მაგრამ იმ სიმაღლეზე ვერ გაქაჩეს!

– ჰო, ამერიკულია, გაზისაა. მამილამ ჩამომიტანა იქიდან! – ამერიკისკენ გადაიქნია თავი შალვამ.

ზურაბს გაეღიმა.

– რამ შეგაწუხა?

– აი, ეს! – თაბახის ფურცელზე ჩამოწერილი ლათინური სიტყვები იყო.

– ეს რა არის? – სათვალე შუა თითით გაისწორა ექიმმა, – ვისია?

– მამაჩემისა! – ფანჯარაში გაიხედა ბიჭმა, – ექიმთან ყოფილა...

ზურაბმა კვლავ დახედა ქალაქს და სათვალის ზემოდან გამოხედა შალვას.

– შენ, გელას შვილი ხარ? კი, კი! ბავშობისას დაყავდი მამაშენს ზესხოში, ნაკრაში. მე, არ გახსოვარ?

– როგორ არა! – გაწითლებულმა ლამინირებულ იატაკს დახედა. მერე გაკვირვებული მიაჩერდა ექიმს.

– ჩვენ ალბინისტური ბანაკები რომ გვქონდა დავლილი, შენ გაჩენილი არც იყავი. – გაშლილი ხელი თაბახის ფურცელს დაადო ექიმმა – გელა იყო ამას წინათ ჩემთან. საქმე სერიოზულადაა. შენ, ეს საიდან?

– ექოსკოპიისა და რენტგენის სურათებთან ერთად, დასკვნითი დიაგნოზი ვნახე. იქიდან ამოვიწერე გაუგებარი სიტყვები. თვითონ ხომ ხმას ვერ ამოაღებინებ!

– ჰო! რაც იყო, ის დარჩა! ქიმიის, ქირურგიის გაგონება არ უნდა. რამდენი დამრჩაო, რამდენს გაუძლებო! – ზურამ სათვალე მოიხსნა, თვალები მოისრისა, – გამტანჯა კაცი!

ერთჯერადი საღვეთქით სათვალის მინები გაწმინდა.

– შავლეგი ხომ?

– შალვა! – უბრალოდ, მარჯვენა ხელი გაშალა ბიჭმა.

– ერთი ბოთლი კონიაკი გამოვწრუპეთ მე და მამაშენმა, – შუა თითით სათვალე გაისწორა ექიმმა, – შენზე მითხრა, სულ კვამათობო!

– ხო, რა ვიცი! – ბიჭმა მუხლებზე დაწყობილი ხელები ქურთუკის ჯიბეში ჩაიწყო, – ამას რას უსმენო,

მუსიკაზე; ამას რას მაყურებინებო, ტელევიზორზე; რა დროს კომპიუტერია ამ შუალამისას, დაიძინეო. არადა, სამუშაო მაქ...

ნამალადევად გადიმებული, ისევ ფანჯარაში იყურებოდა.

– მოკლედ, სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობო რა...

– ბაბილონიადა!

– უკაცრავად, რა?

– დაავადებაა ასეთი. უგულობის, უსიყვარულობის პირველი სიმპტომი ენების არევაა. მერე იწყება ნგრევა და დაშლა.

უხერხული, ხანგრძლივი პაუზა ჩამოვარდა.

– მე წავალ. დიდი მადლობა! შეგაწუხეთ! – წამოდგა შალვა.

– რა შემაწუხე! – ხელი აიქნია ზურაბმა, – ერთი კოლოფი ამბენე მივეცი, ყოველი შემთხვევისთვის. ტკივილგამაყუჩებელია, ხუთი ცალი გამზადებული შპრიცი, – დაბნეულ ბიჭს განუმარტა ექიმმა, – არ მართმევდა...

კვლავ პაუზა.

– რა ვიცი, ღმერთი შეგეწიოთ! – ფანჯარას უთხრა ასტახიშვილმა.

* * *

– მისმინე, სირბილით უნდა გავიაროთ! – ნაშალით ამოვსებულ, ძალიან დამრეც კულუარზე მიუთითა მამამ, – საკმარისია წამით შეჩერდე, საყრდენი ეძებო, რომ ზევიდან ჩამოცვნილი სვინჩკა ნაბიჯს არ გადაგადგმეინებს!

გელამ კულუარის ნაპირზე დაფენილ თოკს გადააბიჯა, თავისუფალი ბოლო კარაბინზე ჩაიბა და ნანტომისათვის მოემზადა.

– ამ სივრცე თოკით „დაცვა“ როგორ გვაკეთო?

– „დაცვა“ არ მინდა. თოკი გამაქ იქით.

ფართხა-ფურთხით გასული, მანც ჩაითრია ნაშალმა. ბედად, კლდის შვერილს წამოედო, ხორკლიან ბექობზე ახოხდა და პირქვედამხობილი კაი ხანს იწყნარებდა აქოშინებულ სუნთქვას.

შეძლებისდაგვარად, გამაგრდა. თავისუფალი თოკი თავისკენ გადაქაჩა.

– ჩაიბი და წამოდი!

შალვას ვერეს ხეობაში გავლილი პირველი „გაკვეთილები“ გაახსენდა. გაედიმა და თამამად გადაეშვა ფართო, ციცაბო კულუარში.

* * *

– კობა! პრივეტ, ძველო! როგორ... გელა ვარ, კაცო! არ გესმის? როგორ ხარ, როგორ?

გაზჭურასთან მოფუსფუსე დედამ ხის კოვზით ანიშნა შალვას, მოდიო.

– კობა მეოთხეა, დღეს ვისაც ურეკავს, – იდუმალად თქვა და ღოძს ამოურია, – აჩემა, მთაში წასვლა და ხომ იცი, რო იტყვი...

თავი დანანებით გადაიქნია.

– ჭაყოს დაურეკა, თბილისში არ არიო. ვიას დაურეკა, რემონტი ქონია სახლში. მერაბიმ, ბალანსს ვაკეთებო...

– ხო არავის ვეჯობრებით, შე კაი კაცო! ისე ვიაროთ, როგორც გავგისწორდება.

...

– არ გინდა, ნუ გინდა!

ყურმილი ხმაურით დაახეთქა გელამ.

წტშნ!

– ეს რო რამეს აიხიერებს ... არ მესმის, რა! – ლომიანი ხის კოვზით ლოჯისკენ მიანიშნა დედამ.

– მე წამოვალ! – რაც შეიძლება მშვიდად თქვა შალვამ და სამზარეულოდან გამოვიდა, – თუ წამიყვან, რასაკვირველია!

ხელებში მელოტთაგნარგული მამა მთელი ტანით შემობრუნდა შეილისკენ.

შალვა ხან მამის გამოცდელ, დაეჭვებულ თვალებს უყურებდა, ხან დედის მოღერებულ მუშტებს.

– მეკაიფები?

– რა შუამია კაიფი?

– რამდენჯერ გთხოვე წაყვანა, „ტარაკები არ გეჭირდებაო“, – მპასუხობდი. ახლა რა, გავახალგაზრდავდი? ახლაც 55 წლის ვარ!

* * *

ღრუბლები დილიდან ირეოდნენ ხეობის თავზე. წვიმა შეუადისას დაიწყო.

ციცაბო კულუარი ყველაზე კაი „გზა“ იყო, ამ კლდოვან ფერდზე. წინ ხან მამა მიდიოდა, ხან შეილი. დრო და დრო, რაწკა-რაუწკუნით პალოებს არჭობდნენ ღარის კედლებში.

– სადაც მოახერხებ, ზევით ავიდე!

– რატო! ნახე, რა საფეხურებივითაა! – წერაყინით მიანიშნა შალვამ.

– ბიჯო! რო გეუბნები, გაიგონე! ერთი საათია წვიმს! – კაპიუშონზე ჩამოკონწიალებული წვეთები თავის გაქნევით მოიშორა. – აქ, ახლა კაი ღელე უნდა მოთხლიშინებდეს. ეტყობა, სადღაც, ზევით გუბდება და ერთბაშად მოსქდება! მოვერიდოთ! – მძიმედ სუნთქავდა. თვალებში უცნაური ნაპერწკალი უელავდა.

კედელზე გავიდნენ. სამსაათიანი ფორთხვის მერე „ბუხარში“ გაძვრნენ და სიქაგამოცლილები თოვლიან ფერდობზე მიყარნენ. ზევიდან სუსხიანი ქარი უბერავდა და თოვლის კორიანტელს აყენებდა.

თითქოს დიდი ბურთი ჩაფუშესო, მარცხნივ, ქვევით რალაცამ დაიფშვინა და კლდის შვერილს თოვლარეული, შავი ტალახის ჩანჩქერი გადაეკიდა.

ზურგჩანთებზე მიწოლილებმა თავები წამოსწიეს და ქვევით დაქანებულ მიწის დამბალ მასას მიადევნეს თვალი. მერე ერთმანეთს შეხედეს და რატომღაც, სიცილი აუტყდათ.

– ვიაროთ, თორე გავცივდებით!

ღონივრად მოქნეული ჭვინტით თოვლში საფეხურის შენგრევა;

თითქმის, მხრის სისწორეზე წერაყინის ჩარჭობა;

ღრმად ჩასუნთქვა;

და მძიმე, კარკასიანი ზურგჩანთის – წი, წი! წი, წი!...

– ჰოუ! – გაყინული ფიფქები ნემსებევით ერჭობა

სახეს, – ახლა მე გამიშვი წინ!

სათვალეს თუ ხელთათმანს გაუსვამ, სულ აღარაფერი გამოჩნდება.

– იყოს! ვივლი! – შალვამ დადლილობისგან დამანჭული სახით აღმართს ახედა. ყველაფერი ნისლს დაეფარა.

„ალბათ, ღრუბლებში ვართ!“

– როდემდე უნდა ვიაროთ?

– მიდი, მიდი! ერთ საათში პლატოზე გავალთ!

* * *

ქარი გულის გამაწვრილებლად წუოდა. კარვის დაჭიმულ კალთებზე ასვეტილ თოვლს გაჰქონდა ტკაპა-ტკუპი.

ცალკალთაწეულ შესასვლელთან ჩამოკიდებული ფანარი მამის ოვალურ ზურგს ანათებდა.

თავქვეშ ზურგჩანთააძოდებულ, საძილე ტომარაში ჩამთბარ-დადლილმა შალვამ გელას მხრების კანკალიც შეამჩნია და ხელის მკვეთრი მოძრაობაც.

„წუხანდელივით, ახლაც ნემსი გაიკეთა!“

– რას იყინები მანდ! შემოდი, დაწევი!

– არ მცია! არ ცია! სიჩუმეს ვუსმენ!

– ამ ქარში? – სადღაც ზვაგი მოწყდა შრიალით. მერე, ყრუ გრუნუნნი ამოდიოდა კაიხანს, ქვევიდან.

– წარღვნამდე, სანამ „წყალნი ცათანი“ ჩამოწვიმდებოდა, გამადიდებელივით, დედამიწას გარს ერტყა წყლის გამჭვირვალე ფენა, – მუხლებში თავჩარგულს ხმა უკანკალებდა, – ვარსკვლავები ძალიან დიდები ჩანდნენ და სამყაროს საოცარი ხმები ისმოდა, თურმე!

– რას ბურდღუნებ! შემოდი და აწიე „ზმეკია“. გავიყინე! ცია, ვაჰ!

* * *

სიცივემ ნელ-ნელა მოიცვა ყველაფერი. გამოატანა სქელ პარალონში და გაყინულ ზურგზე წოლა შეუძლებელი შეიქმნა.

– არ გძინავს? – გვერდი იცვალა შალვამ.

– ისე რა! – თავქვეშ ამოდებული ბათინკები გაისწორა მამამ.

– რა იცოდი იქ, მწვერვალზე, წერილი რომ იღო ქილაში?

– ტური!

– რა?

– წერილს ტური ჰქვია. ჯგუფი რომ ტურს ჩამოიტანდა, მერე ეთვლებოდა წინა ჯგუფს მწვერვალზე ასვლა.

– საიდან იცოდნენ, ვინ...

– ჩვენ რო ვნახეთ, კაცო, იქაც ხომ ეწერა ასვლის თარიღი, ტრავერსის მარშრუტი და ექსპედიციის წევრების გვარები: დათო ბაიდაური, ვახო კოლხიდაშვილი, ბადრი ჩხაიძე, ზურა სუჯაშვილი...

– ჩვენ რატომ არ წამოვიდეთ? მიუტანდი ვინმეს და გაუხარდებოდა, თუნდაც ზურას. ხომ იცნობ?

– ზურასაც ვიცნობ და სხვებსაც, – ხვნიშა-ხვნიშით იცვალა გვერდი – მთამ მონატრება იცის. აქ, თუ რომელიმე ამოვა და ამ ტურს ნახავს, უფრო მაგრა

გაუსწორდება, ვიდრე ჩემი ჩატანილი ფოსტა. არყიანი მათარა დავეკარგე სადღაც...

– აი, აქ არის, კარვის ჯიბეში! როდის დატოვებული წერილი, ეს სომებათ?

– ეს სომებათ, ეს სომებათ! 30 სექტემბერს ამოსულან.

– ალუშინის მთარის თავსახურის ღრუბალი. – წმ. სოფიოს ხსენების დღეს!

ყლუპ, ყლუპ, ყლუპ.

– უჰჰ! აჰა, ჩაარტყი, გაგათბობს!

– არა, არ მინდა. ისინიც სამივე მწვერვალზე გავი-ლოდნენ?

– აქ, უხსოვარი დროიდან წესი იყო ასეთი. მწვერვალთან, კლდეებში, ეხი რომ განახე ნაცეცხლელებით: ნახშირი, ნაცარი. ხომ გახსოვს? ქრისტიანობამდელი სალოცავი იყო აქ – გამარჯვების ღვთაება. უფრო სწორად, ერთობას, გაერთიანებას შესთხოვდნენ და საღმრთო ცეცხლს უნთებდნენ. აბა, ნისლში რას დაინახავდი? კომკივით, გოდოლივით წვერი აქ ამ მწვერვალს. იმიტომ ჰქვია გოდლისთავი.

სიბნელეში გაისმა, როგორ ჩაყვარდა არაყი.

– აქ, რო ილოცებდნენ, მერე იმედისერზე გადავიდოდნენ. იქაც, საღმრთო შესაწირს გაიღებდნენ და ბოლოს, ხმელაგორს მოილოცავდნენ.

კვლავ ყლუპ-ყლუპო, – გაისმა სიბნელეში.

– ბრრ! დავიძინოთ, აბა, დავიძინოთ!

* * *

დილით, გაღვიძებულ შალვას მამას საძილე, პარალონი და სხვა ნივთები ალაგებულ-ჩალაგებული დახვდა. კარვის ჯიბიდან ცარიელი მთარის, ძეწკვზე დაკიდებული თავსახური კონწიალობდა.

შალვას ძალიან კი ეზარებოდა გაყინულ-გაფშვიკი-ნებული, ყვითელი კომბინიზონის ჩაცმა, მაგრამ სხვა რა გზა იყო.

გარეთ გაცილებით თბილოდა, ვიდრე კარავში. მოკრიალებულ, ლურჯ ცაში ღრუბლის ნასახი არ ჩანდა. დილის სუსხი ნესტოებს უწვავდა და თვალებს უცრემლიანებდა.

ხელმარჯვნივ, თეთრ სამკუთხედად ასვეტილი თოვლიანი მთა მურა, კლდოვანი „ბასტინით“ ბოლოვებოდა. გუმინ, ასვლისას მთელი დღე თოვდა და ნისლები ირეოდა, ორ ნაბიჯზე არ ჩანდა არაფერი.

„მართლა რა მაგრა ჰგავს გოდოლს! აუუ, ძაან მაგარია!“

ხელმარჯვნივ დაშვებულ კალთას ჩამოაყოლა თვალი. მისგან ას მეტრში, ბექობზე, მამა იდგა. თოვლი ჯერ კიდევ გაყინული იყო და ფენი ცურავდა. უკან გაბრუნდა. წრიაპები ამოიცვა და გელასთან ავიდა. ამ სიმაღლიდან მეორე მწვერვალზე გამოჩნდა და მისკენ მიმავალი „გზაც“ – ჯერ, ყინულ-კლდოვანი მცირე კედელი უნდა ჩაველოთ, მერე ვიწრო თაროს გაუყვებოდნენ და „ბრიტვაზე“ გადაცოცებით იქითა მთის კალთაზე გადავიდოდნენ. შემდეგ კი, ლურჯ ცაში გაჩრილი თეთრი პიკი – იმედისერი.

ლამაზი იყო...

მამას გაღიმებულმა გახვდა.

კაცი გატანჯული სახით, გადაღლილი თვალებით იყურებოდა სადღაც, მწვერვალის ზევით.

ბიჭი დაიბნა. მოერიდა ეკითხა, როგორ ხარო?

– მესამე მწვერვალი სადღაა?

– ჰა? – დანაშაულზე წასწრებულებით აწრიალდა გელა, – ის აქედან არ ჩანს. იქ რომ ავალო, მერე გამოჩნდება.

– ხმელაგორი რატო ქვია? – „რა ფერი ადევს?“

– აი ის, გოდოლივით რომ არის, შენც ხედავ. ამას, მონადირე ყოფილა იმედო, იმის სახელზე შეურქმევიათ იმედისერი. იქ, შუადღემდე ავალო. ის, მესამეა რაც არი, მთელი დღე უნდა. კლდოვანი, ფრიალო, წვეტიანი მთაა. თოვლს არ იჩერებს. ერთი ფხა ჩრდილო-დასავლეთით ეშვება. აქეთ აღარ გადმოვალთ. იმ კალთას ჩავეყვებით და მიღმახევში გავალთ.

უემოციოდ, დაღლილად ლაპარაკობდა.

* * *

ხელდახელ ისაუბრეს.

პრიმუსი ორ წუთში აღნობდა მთელ ქვაბ თოვლს.

წრუპავდნენ ცხელ ყავას და „პეჩენიაზე“ წასმულ, თოვლში აზელილ „ზგუმონკას“ ატანდნენ.

– უჰ! პრიმუსმა მაგრა გაასწორა, წყლის პრობლემაც მოგვიხსნა და სითბოსიც! – ყავა მოსვა მამამ, – მეც მქონდა ბალტიისპირეთის, მაგარი, კომპაქტური. ბენზინზე მუშაობდა. რა უშავდა, მაგრამ ტანსაცმელს, საჭმელს, ყველაფერს ბენზინის სუნი ასდიოდა, ხოლმე.

ხალისით, მზიარულად ჰყვებოდა, მაგრამ თვალებში რაღაც მძიმე ჩრდილი ჩასწოლოდა.

– 4 საათისთვის მწვერვალზე ვიქნებით. ჩრდილოეთის მხარე შედარებით რბილია. ღამეს იქ გავათენებთ!

– უფრო თავისთვის ჩაილაპარაკა კაცმა.

– ავბარგდეთ, არა? მე „სტოიკებს“ დავშლი, შენ პალოები ამოაძრე, ხო?

თოკებისკენ დახრილ მამას შალვამ თვალი მიადევნა და სანახევროდ ჩამომლილ კარავში რაღაცა შეჩურთა.

„ახლა დაიწყება ჭკუის დარიგება, – „სტოიკები“ ცალკე...“

– „სტოიკები“ ცალკე გაახვიე, მე წამოვიღებ! „პალატკა“ გადმოფერთხე...“

– „პალატკა“ გადმოფერთხე და მერე დავკეცოთ!

შალვამ კარვის მუქი, წყალგაუმტარი ძირი დაითრია და ჰაერში ატაცებული ღონივრად დაიქნია.

– ბიჯო! – ჰაერს ხელი მოავლო მამამ.

– ფრთხილად! – ვერცხლისფერმა პრიმუსმა რკალი მოხაზა და უფსკრულში გადაეშვა.

აბა, უპრიმუსოდ „გზას“ რაღას გაავრძელებდნენ...

* * *

მდინარეზე გადასულები შეჩერდნენ. ლურჯ ცაში მზეზე აბრჭყვიალებულ თოვლიან მწვერვალს ახედეს.

– მომავალ წელს წამოვიდეთ, ხო?

– ჰე, აბა რა!

მამას დაღლილი, თბილი მზერა ჰქონდა. უიმედო, მძიმე ჩრდილი გამქრალიყო სადღაც.



საქორწილო მუსიკით გამასვენეთ*

– როცა მოვეკვები, საქორწილო მუსიკით გამასვენეთ! – ასე დაიბარა ბებიარემა სიკვდილამდე ოცდაათი წლით ადრე.

გარდაიცვალა ოთხმოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში. შვილებმა გააპროტესტეს: ახალგაზრდობაში რაღაც იხუმრა, მართლა ასე კი არ უნდა მოვიქცეთო...

* * *

ამომტვრეულ გზებზე წყლის გუბები იდგა. ფოთში ტრადიციულად წვიმდა. ეზოში შევედი, კიბეებზე ავირბინე და ბებოს თავზე დავადექი. ის რომელიღაც წიწილას ნისკარტში ნიორს უტენიდა და უკმაყოფილოდ ბუზლუნებდა: რა ჭირი გეტაკათ, ყველა ერთ დღეს გაწყდით ბარემ და დამასვენეთო.

ბებოს მოვეხვიე და ვაკოცე:

– ა, შენ ხარ?! კარგია, რომ ჩამოხვედი, უკვე მენატრებოდი.

– მეც!

– მარტო ხარ?!

– ჰო, დედა მერე ჩამოვა.

აივანზე გავედი და ეზოში გადავიხედე. იქ უამრავი ნიორნაჭამი წიწილა იყო დამარხული.

სახლის წინ მსხლის ხე ბერდებოდა, რომლის ძირშიც ბებოს საყვარელი ძაღლი, ინდუსა განისვენებდა. მის საპატივცემულოდ ბებო სხვა ძაღლებსაც ინდუსას ეძახდა.

– ბე, ამ მსხლის ძირში ძაღლების პანთეონი გავაკეთოთ. მაგათაც წიწილებივით ხომ არ დავმარხავთ?!

– შენ არ მოუკვდი შენს პატრონს... ისეთი ენა გაქვს, ჩემს გასვენებაშიც გამაცინებ.

მთელი ბავშვობა აქ, ამ ეზოში მქონდა გატარებული.

ჩვენი სახლი ზღვიდან ასიოდ მეტრის დაშორებით იდგა. როცა ზღვა ღელავდა, ტალღები პირდაპირ სახლში ხმაურობდნენ. სულ იმის შიშში ვიყავი, ზღვა არ გადმოსულიყო. ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ გადმოვიდა და ველოდი, როდის წამიღებდა საწოლიანად.

ღილით ყველაფერი წესრიგში იყო და ისე მიხაროდა, ჩემი ენერგია მთელ სახლს აზანზარებდა – ხან სახლის სახურავიდან ჩამოვყავდით, ხან ოთახის კედლებზე დამსდევდნენ – მოისვენე, შე ოხერო, კისერს მოიტეხ, ერთხელაც იქნებაო.

კისერი ერთხელ კი არა, ბევრჯერ მოვიტეხე, მაგრამ კედლებზე სიარულს მაინც ვერ გადავჩქვიე.

– ბე, ინდუსა სად არის?!

– ჯანდაბა მაგის თავს, ატეხილია და გარე-გარეთ დაწანწალეს.

– საერთოდ არ მოდის?!

– საღამოობით მობრძანდება. პირს არაფერს აკარებს. ამას წინათ, იეჭვიანა და მეზობლის ძალი დაახრჩო.

– ოტელო ყოფილა და ჩვენ ინდუსას ვეძახით...

– ცოფიანი ეგონათ, კინაღამ მოკლეს. ერთი კვირა სარდაფში მყავდა დამალული.

ბებოს თვალები აუცრემლიანდა – ძველი ინდუსა სულ სხვა იყო...

– კარგი, რა, ბე... პანთეონი კი არა, მაგზოლეუმი უნდა გაგვეკეთებინა მაშინ... ინდუსა პირველის მაგზოლეუმი...

ბებოს არ გასცინებია. ცოტახანს დუმდა. მერე დაკვირვებით შემომხედა:

– ჩემი ანდერძი ხომ გახსოვს?!

– ტაშ-ფანდურით დასაფლავება?! კი, როგორ არა. ჩემ გარდა, მაინც არავინ გააკეთებს მაგას.

– ვიცი და შენი იმედი მაქვს.

– შენს თავს გეფიცები!

* * *

როცა ბებო გარდაიცვალა, წინასააღდგომო დღეები იდგა, აპრილის მიწურული, მაგრამ ამინდმა აურია და მატარებლიდან გალურჯებული ჩამოვედი – ერთიანად მამაგმაგებდა.

სახლშიც საშინელი ორპირი დამხვდა და უკვე ვფიქრობდი, მივეწევი ბებიანემს-მეთქი, როცა ჩემი ბავშვობის მეგობარი მომიხსლოვდა:

– რას გავხარ, შე უპატრონო. წამოდი ჩემთან, ცოტას გათბები.

– თავგასიებულსაც დაუძახე, უნდა ვიქეიფო.

– ბებიანემი დაგავიწყდა?!

– პირიქით, მის ანდერძს ვასრულებ!

ჩემს მეორე მძაქვს პეტრე ერქვა, რომელსაც თავგასიებულს ვეძახდით. თავი ჰქონდა, უბრალოდ, ცოტა უცნაურად მიბრტყელებული, თორემ არაფერი ისეთი გასიებული არ იყო.

მოვიდა და დავთვერით. ბებოს ვიგონებდით, მის სახლში გატარებულ დღეებს, ჩვენს მაიმუნობებს, ზოგჯერ კარგ საქმეებსაც. ერთი გაბრაზებაც ვერ გავიხსენეთ ბებოსი. თუ რამე არ მოსწონდა, უბრალოდ, დუმდა. მოსწონდა – ილიმებოდა.

სახლში მაშინ დავბრუნდი, როცა ცხედარი მაცივრიდან კუბოში უნდა გადაესვენებინათ.

– მარტო ერთი ადამიანი დარჩეს... ყველა გადით ოთახიდან! – ბრძანა ქალბატონმა მავლინამ, ბებოს ალაღმა ბიძაშვილმა და ამ საქმეში საკმაოდ გამოცდილმა.

– მე დავრჩები!

– ნასვამი რომ ხარ?!

– სწორედ მაგიტომ... ისე ვერ დაგეხმარებოდი.

მავლინამ გამომცდელად შემომხედა:

– ცოტა ხანი ხელში უნდა გეჭიროს და ცუდად ხომ არ გავხდები?!

არაფერი მიპასუხია. ბებოს ხელები მოვხვიე და მაცივრიდან ამოვიყვანე. გამდნარი ყინულის წყალი ხელებზე ჩამომდიოდა.

ხელში გაყინული ბებიანემი მეჭირა – სრულიად უსიცოცხლო და უჩვეულოდ გათეთრებული. მისი სიტყვები გამახსენდა – მთლიანად გაშიშვლებული ჩემს ქმარსაც არ ვუნახივარო – და თვალებიდან ცრემლები წამომივიდა.

მავლინა სასწრაფოდ დაფაცურდა, ეგონა ცუდად ვხდებოდი, მაგრამ დავამშვიდე: ყურადღებას ნუ მაქცევ... ლოთის ცრემლებია, მშვიდად აკეთე შენი საქმე-მეთქი.

დასაფლავების დღეს ჩვეულებრივად კი არ წვიმდა, თითქოს წყლის ფარდა დაეშვა ზეციდან. თვალებით გუნდში მოძღვრალი ბიჭები მოვხანხე, რომელთაგან ერთ-ერთი ჩემი ნათესავი იყო და ანდერძის ამბავი მოუყვავი.

როგორც კი კუბო სახლის კარს გასცდა, დავცხეთ „მრავალჟამიერი“. ხალხი ჯერ დაიბნა, მაგრამ მალე გაურცელდა ხმა, გარდაცვლილის უკანასკნელ სურვილს ასრულებენო, და კიდევ სამი მოძღვრალი შემოგვიერთდა.

კუბო ქუჩის ბოლომდე ხელით ვატარეთ. სხვისი არ ვიცი და ჩემთვის სიცივე საერთოდ გაქრა. თითქოს სინათლის თბილ მოსახსნაში გავხვეული მივიწევი წინ...

სასაფლაოზე ბაბუაჩემის მოძლიმარი სურათი დაგვხდა. ამ თავსხმა წვიმაში, მისი ღიმილის გარდა, არაფერი ჩანდა ისედაც.

* * *

P.S. ბებოს გარდაცვალებიდან ორმოცი დღე მალე გავიდა. მერე წლისთავი... მერე თვითონ გავხდი ორმოცი წლის და მოულოდნელად თოვლიც მოვიდა.

ერთი სული მაქვს, როდის წავა.

ადრე სხვანაირად იყო – გახარებული გამოვრბოდი მასთან შესახვედრად.

ათი წლის ასაკში მარტო ვკოტრილობდი თოვლში. ოცისა – უკვე შეყვარებულთან, ოცდაათისა – შვილთან და ძაღლთან ერთად.

მერე შეყვარებული წავიდა, შვილი გაიზარდა, ძაღლი მოკვდა.

ეს ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, დაბერება ვერ მოვასწარი. ვდგავარ ახლა, დაუპატიუებელ თოვლში, მარადიული ახალგაზრდა და ერთადერთი სიმდიდრე, რაც დამრჩა, ბებიანემის ანდერძია.

მეც იგივეს ვუბარებ ჩემს შვილებს და შვილიშვილებსაც – „საქორწილო მუსიკით გამახსვენეთ!“



მე და ღუღუ*

პროლოგი

წვიმს. კარგია წვიმა ღამით, თორმეტ საათზე, როცა არსად არ ხარ წასასვლელი, როცა შუქი არ ქრება და გინარია, რომ საღვაც, ვიღაცა ღამეს ათევს შენთვის, რომ ამ წვიმაში და უკუნ სიბნელებაში შენი პატარა ნაქირავები ბინა განათებული იყოს. კარგია წვიმა, თუ, რა თქმა უნდა, წარღვნა არ არის, თქეში და ღვარცოფი.

1. „აი ემ ღუღუ“

უცებ ძახილი მესმის...

– ჩემი ძმა, ფანჯარა გამიღე რა...

ვაი, იქნებ მეყურება? სახლში მართო ვარ, მერვე სართულზე ფანჯარა ვის უნდა გაუღო?

– ბიჭო, ფანჯარა გააღე... გინდა ფილტვების ანთება ავიკიდო? იქნება ორმხრივი სველი პლევრიტიც დამმართო? – ისევე მეორდება იგივე ხმა, თან თითქოს ფანჯარაზე აკაკუნებენ. მივდივარ ფანჯარასთან, ვაღებ და უცებ ოთახში ჩიტი შემოფრინდა. თუთიყუშია. ალბათ ვინმეს გაუფრინდა. შეიძლება არც არავის გაუფრინდა და თავისთვის დაფრინავს. ოთახში რამდენიმე წრე გააკეთა, მერე კარადაზე შემოსკუპდა და აქეთ-იქეთ მოჰყვა სიარულს, თან საუბრობს...

– რა წვიმაა, რა. გასაწერი ვარ. შენ კი რა, ყრუ ხარ?

– არა, ყრუ არ ვარ, მაგრამ...

– გასაგებია. სტუმარს არ ელოდებოდი ფანჯრიდან. კარგი კაცი ყოველთვის სტუმარს ელის, ფანჯრიდან და კარიდანაც. ხო მართლა კატა არ გყავს, ხო?

ვიცი, რომ თუთიყუშების გარკვეულ სახეობებს აქვთ უნარი იმეორონ რაღაც ფრაზები, მაგრამ ეს არ იმეორებს, პირიქით მშვენივრად საუბრობს, თანაც სიტუაციის შესაბამისად...

– არა, მე არ მყავს, მეზობლის კატა შემოვივლის ხანდახან...

– ვერ ვიტან კატებს, აირჩიე, ან მე, ან ის...

– აბა კაცი სულ მუდამ სტუმარს უნდა ელოდოსო? ისიც სტუმრად შემოდის...

– შენ რა, სიტყვაზე მიჭერ?

– არაფერსაც არ გიჭერ. თუ გინდა წადი...

– ყოჩაღ, ბიჭო... ასეთ ამინდში ძაღლს არ გააგდებენ გარეთ, და შენ... არსადაც არ წავალ...

– მაშინ იყავი. არაყს დალეე? მოგიხდება, შეგათბობს...

– არ მინდა არაყი, ცუდი სიმთვრალე მაქვს, ვიგინები, შეიძლება პოლიტიკურზეც ჩამსვან...

– ჩიტებზე სისხლის სამართლის კოდექსი არ მოქმედებს.

– გეგონოს. ახალი ამბავი იცი?

– რომელი?

– ერთი ბიზნესმენი ჩიტი, მეორე ბიზნესმენ ჩიტს ღამის სამ საათზე ვერის ხიდზე უყვება ანეკდოტს პრეზიდენტზე...

– მერე?

– მერე ორივეს დილით თავზე ჩიტების ფინანსური პოლიცია დაადგათ...

– სად გავიცინო?

– ნახტომში...

ასე მოხდა ჩემი გაცნობა ღუღუსთან. თავიდან კაკაღუს ვეძახდი, იმიტომ რომ ეს ჯიში გამიგონია მხოლოდ თუთიყუშების. მერე შემეზარა, რა გრძელი სახელია-მეთქი და ღუღუ დავარქვი, მაგრამ არ მოსწონდა – ეს რა სახელია, ნარდს ხომ არ მეთამაშებო და მეც ღუღუ დავარქვი. მერე იმაზე მეჩხუბა, რას მიმეორებ, ყრუ ხომ არა ვარ შენსავითო, მაგრამ შემდეგ შეეჩვია და შეიფერა კიდევ, „მე ვარ ღუღუ“, – გამიგონა ხუთჯერ თუ ექვსჯერ და დესერტად თუ მჟავედ, თუ რა ვიცი რატო, ერთი ინგლისურადაც დააყოლა – „აი ემ ღუღუ“.

2. ღუღუს ბინა უნდა

ღუღუ ჩიტი კი არა პარლამენტია, სულ ლაპარაკობს. საქმეს არ აკეთებს, მაგრამ ლაპარაკობს. თანდათან შევეჩვიე. ასე მგონია, ყოველთვის იყო ჩემთან. ერთ დილით, მაღვიძებს...

– ბინა მინდა... ცალკე მინდა ბინა...

– რა ბინა მოგიინდა, მე თვითონ ნაქირავებში ვარ?!

– არ შემიძლია ამდენი სტუმრის ატანა, ბინა კი არა სასტუმრო გაქვს...

– სად გაგივია ჩიტს, გინდაც მოლაპარაკეს, ბინა ჰქონდეს?

– აბა რა აქვს?

– ჩიტს აქვს ბუდე, მიდი და ააშენე...

– მნახა მშენებელი-ინჟინერი...

– აბა, მე მნახე ფირმა „გუგული“?

– ეს ვინაა?

– ბინებს არიგებს უფასოდ.

– მაგას ვინ ჭამს, უფასოდ არავინ არავის არაფერს არ ურიგებს!

- ვითომ რატო?
- უფასოდ ყველია სათაგურში...
- ვა! მოდი, გინდა გალიას გიყვიდი?
- ოჯახში რამდენნი ხართ ასეთი ჭკვიანი, საკუთარი ფეხით ჩავვლდე? სროკზე მიშვებ, ბიჭო?
- აბა რა გიყო?
- მოვიფიქრე: მაშინ გალია იყიდე, შენ გალიაში ჩაჯექი, მე კიდე ბინაში ვიქნები...
- სად გინახავს ადამიანი გალიაში?
- „კურიერში“... ხო კარგი, მიყიდე გალია, ოღონდ უკარო...
- უკარო გალია სად გიშოვნო?
- მე უნდა ვიყო ჩიტი და შენ „ჰომო საბიენსი“? შენც კარიანი იყიდე და მერე მოაძვრე...

3. სტუმრად დაბადების დღეზე

მოვუტანე გალია. კარები მაინც არ მომადრობია, რა იცი შენს არ ყოფნაში კატა შემოვიდეს, დაცული ვიქნებიო: „გქონდეს გალია და იქნები დაცული“ – ყვიროდა მთელი დღე... ახლა მასაც აქვს ჩემს პატარო ოთახში საკუთარი ოთახი...

- დღეს სახლში დაბრუნებულს დუდუნით დამხვდა...
- რომ შემოდიხარ, გამარჯობა არ უნდა თქვა? – ვითომ დილით არ ვნახე...
- ათასი ოკეანე ბოლიში დუდუ, გაუმარჯოს, როგორ ხარ?
- ეგრე, რა... რავი, ვარ?
- რატომ ასე გრილად..
- აბა ცხლად როგორ არის?
- უნდა თქვა: „ძალიან კარგად“.
- „ძალიან კარგად“ გიყუები არიან... შენ როგორ ხარ?
- ძალიან... აქამდე მეგონა, კარგად ვიყავი...
- რატო?
- აი, დღეს დაბადების დღეზე მივდივარ.
- შეგეშალა, კი არ მიდიხარ, მივლივართ. გამოვყრუვდი სახლში მარტო. ქუჩაში კი ყველას ვერ ენდობი... ..დაბადების დღე არ მოეწონა დუდუს. სანამ სუფრასთან მიგვიწვევდნენ, ბიჭებთან ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურს ვარჩევთ. მესმის დუდუს განწირული ყვირილი.
- მომაცილე ეს გოგოები!
- ბიჭო, გოგოები თავზე გეკლებიან, მეტი რა გინდა?
- გამჭვარტლეს, რამდენს ეწვეიან!
- ვა, დუდუ, ჯანმრთელი გინდა მოკვდე? – ახლა უკვე ბიჭები არ ასვენებენ...
- შენ მოკვდი და მეისუპე თუ კარგია! – უქცევს უცებ კუთხურად დუდუ...
- ვაიმე, მამა! დუდუ, წყველა არ გიხდება...
- სახეს მიგინგრევ, ბიჭო, ნისკარტით, ცოტა წესირად...
- კარგი, დუდუ, შეგვიცოდე...
- ვის დასცინი შენ, ოფიციალურად ხელში სავარცხელი არ გკერია ათი წელია...

ბიჭები სიცილისგან ცუდად ხდებიან... დუდუ ამრეზილი იყურება... არ მოსწონს სიტუაცია... ოთახში რამდენიმე წრეს აკეთებს და მხარზე მავლდება.

- კეტონალი და კეტონალი!
- რა ხდება დუდუ?
- თავი ამატკიეს რა, წავიდეთ აქედან!
- სად უნდა წავიდეთ, ჯერ სუფრა, უნდა გაიშალოს!
- აბა, სად არის საჭმელი?
- მასპინძელი არ ელოდა, თუ ჩემთან ერთად დუდუც მოვიდოდა.
- მეზობელთან გავალ, იაღონები ჰყავს, ფრინველის საკვები ექნება და გამოვართმევ...
- არ მინდა საჭმელი, იაღონები მირჩვენია! – ყვირის დუდუ...
- იაღონებზე მეზობელს უარი უთქვამს, – „ჰარამხანა კი არა მაქვსო“. საჭმელი კი იმდენი გამოეთანებინა, ხუთ დუდუს ეყოფოდა. მასპინძელმა ჰიანინოზე ნაჭერი გადააფარა და იქ თეფშზე დაუყარა. ჯერ მარცვლეულს გადახედა ცალი თვალით... მერე მომტანს... ეტყობა სანდოდ მიიჩნია ორივენი და გემრიელად შეექცა. მერე ის არ ესიამოვნა, მარტო რომ იყო, ცალკე...
- ცოტა სკამი არ არის, სუფრასთან დამსვით, რა... მე რა, „მუზიკანტი“ მნახეთ?!
- მასპინძელმა სკამზე წიგნები დაუღაგა და უკვე ისიც მაგიდის სრულუფლებიანი წიგრი გახდა თავისი მარცვლეულის ულუფით...
- ახლა მივხვდი, რატომ აქვთ ამდენი წიგნები სახლში! – გამოიტანა დასკვნა დუდუმ...
- ცოტა ხნით დაწყნარდა, მერე ისევ მოჰყვა ძახილს.
- ხო ვჭამეთ საჭმელი, ახლა წავიდეთ...
- კარგი რა დუდუ, რას იტყვიან, საჭმელად მოვიდნენო...
- აბა, რისთვის მოვედით...
- ხალხი შეთვრა. თამადას ყურადღებას არ აქცევენ. გოგოები რომელიღაც ნაცნობს ჭორავენ, ბიჭები ანრის „ბარსელონაში“ გადასვლას და კაპელოს გადაყენებას...
- სადღეგრძელო უნდა ვთქვა, მომისმინეთ! – იძახის თამადა და ჭიქას გულმოდგინედ ურტყამს ჩანგალს. არ უსმენენ...
- სადღეგრძელო უნდა ვთქვა, მომისმინეთ! – დაიძახა დუდუმ და თეფშზე ნისკარტი დასცხო რამდენჯერმე... სუფრა გაისუსა... ყველა დუდუს უყურებს...
- ეგრე რა, – ამბობს დუდუ კმაყოფილი, – გაგიმარჯოთ...

4. ჩვენ მთვრალეები ვართ,

ანუ შეზარხოშებულზე საუბრები დუდუსთან...

დავბრუნდით სახლში. მე მთვრალი ვარ, მგონი დუდუც...

- დავთვერი, დუდუ...
- გაგიჭირდებოდა!
- ერთი სადღეგრძელო მინდა, დასალევი გვაქვს რამე?
- კი, ნოშპა..
- გრადუსიანი?!

- ვერცხლისწყალი.
 - მწამლავ დუღუ?
 - შენც ნუ დაღვე...
 - ერთი საღვეგრძელო მათქმევინე...
 - ჩუ, ენას ვერ ატრიალებ პირში...
 - დუღუ, არ გინდა სექტემბერში სკოლაში წაგი-
 ყვანო?
 - რა მინდა სკოლაში?
 - გამრავლებას ისწავლი...
 - გამრავლებას სკოლა რად უნდა, ცოლი უნდა!
 - ხო მართლა, შენი ოჯახური მდგომარეობა რო-
 გორია?
 - სამი ცოლი გამოვიცვალე, ვეძებ მეოთხეს.
 - და რატომ გამოიცვალე?
 - კვერცხი ვერ დავადებინე ვერცერთს, ფიგურას
 კვერცხის გულისთვის გავიფუჭებთო?
 - მათემატიკურ გამრავლებაზე როგორა ხარ...
 - მათემატიკურიც ვიცი..
 - აბა, რამდენია ხუთჯერ ხუთი?
 - ცოტა იოლი მომეცი, რა არის პირდაპირ ოცდახუ-
 თიდან იწყებ, ბარემ მკითხე, პი რიცხვი მესადამდე
 სიზუსტით რას უდრისო და ნიუტონის ბინომი...
 - ვაა, შენ ეს საიდან იცი?
 - პირველად ჩემთან ერთი მათემატიკოსი ცხოვ-
 რობდა, პირს დააღებდა და პის აბოღებდა, სამი მთელი
 თოთხმეტი არ არისო და რამე...
 - მერე...
 - მერე მალიარი...
 - რა მალიარი?
 - მათემატიკოსის მერე მალიართან ვცხოვრობდი...
 - არ თქვა ახლა, მეც მალიარმა შემღებაო...
 - შეღებვა არა, კლიენტები რომ მოვიდოდა, ჩემს
 ფრთებს აჩვენებდა: „ა მოჟებ ბით ეტოტ კალორ?“
 - მერე?
 - ერთხელ ფერი ვერ დააყენა ზუსტად, კლიენტმა
 არ მეჩნუბოსო და იმ წვიმიან ღამეს გადაღებვა მომინ-
 ლომა, კიდე კარგი, ავეთესე.
 - ხო, მათემატიკოსიდან რატომღა წამოხვედი.
 - ამერიკაში გაფრინდა, იქნებ იქ ვიპოვო სამუშაო.
 მეც მივყავდი, არ წაყვევი... ფრენას ვერ ვიტან...
 - დუღუ, პრეზიდენტი მოგწონს?
 - კი, მაგარია, მე ამდენს ვერ გავქაჩავდი.
 - რა გაქაჩავზე ამბობ?
 - ჯერ, ეს ერთი, რომ ჩემზე მეტს დაფრინავს, მერე ის,
 რომ მე კატის მეშინია, მაგას კი მედიის არ შეეშინდა!
 - რომელი მედიის?
 - რომელი და თეთრის. როგორ უძახოდა? - „გა-
 დადექი, გადადექი“. სანამ შენთან მოვფრინდებოდი, ერთ
 ბინაში შევეფრინდი, კატა დამხვდა, სავარძელზე, წინ ჩაი
 ლამბაქით, ვეძახე: „გადადექი, გადადექი! მეც მინდა ჩაი“.
 კინალამ შემჭამა...
 - რამეს არ ურჩევდი?
 - როგორ არა, ერთი ვეზირი ყოველთვის უკან ეღვეს,
 რომ უთხრას: „შენ ერთი ჩვეულებრივი ადამიანი ხარ,
 რომ მოკვდები პალტოსაც არ ჩაგაყოლებენ“ და ასე
 უმეოროს ყოველ ნახევარ საათში ერთხელ...

- შენ არ გინდა ვეზირობა...
 - ვისა, ბიჭო, მე მეფე ვარ ჩემი...
 - არ შეიგინო...
 - არ ვიგინები, ჩემი თავის მეფე ვარ-მეთქი, რა...
 - დუღუ, პატრულზე რას იტყვი?
 - თავი გამანებე, მოგზავნილი ხომ არა ხარ? გინდა,
 დამიჭირონ?
 - რას ერჩი, ხალხი ამბობს, ადრე ქუჩაში ვერ გაივ-
 ლიდიო, ახლა კი...
 - ახლა კიდე ვერ მიფრენია...
 - ეს რას ნიშნავს?
 - ამას წინათ, დამაკავეს და, აბა, ფრენის მოწმობა
 მოიტანეო...
 - დუღუ, ფეხბურთი მოგწონს?
 - რომელი?
 - რა რომელი?
 - რომელი ფეხბურთი? ქართული?
 - თუნდაც. აი ჩვენს ნაკრებზე რას იტყვი?
 - გამორთე, ესენი ამხანაგურ თამაშებს თამაშობენ
 მხოლოდ კარგად...
 - კარგი რა, ასეც არ არის... თასების თასი ხომ
 ავიღეთ...
 - ერთხელ. მანსოვს. პატარა ვიყავი მაშინ და დედა
 კი არ მითქვამს, „დინამო“ „დინამოს“ ვიძახდი...
 - დუღუ, ლიტერატურა გიყვარს?
 - ხო ვთქვი, მთვრალი ხარ-მეთქი?!
 - რატო?
 - აბა, შეიძლება კარგი ლექსი არ გიყვარდეს?
 - არ მითხრა, ახლა ლექსებს ვწერო?!
 - არა, არ ვწერ, ვიძახსოვრებ.
 - აბა, მითხარი რამე ლექსი?
 - ოკეი,
 „ - არაყი?
 - ლუდი.
 - ერთი?
 - ერთი.
 - ინებეთ!
 - გმადლობ.
 ვჯდები კუთხეში.
 გარეთ წვიმს,
 გნატრობ...“
 - მაგარია დუღუ, ვისია?
 - რა მნიშვნელობა აქვს. მთავარია კარგია?
 - მაგარია. ხვალ ერთი კათხა ლუდი ჩემზეა...
 - მოსულა...
 - მანსოვს, რომ მოხვედი, როგორ წვიმდა?
 - ხო...
 - რა მაინტერესებს, იმ საღამოს რატომ მაინცდა-
 მანც ჩემს ფანჯარაში შემოფრინდი?
 - მაშინ შენ ფანჯარასთან იდექი და წვიმას უყ-
 ურებდი...
 - მერე...
 - ვიფიქრე, მე მიყურებდი...
 - შენ გიყურებდი, დუღუ...
 - მართლა?
 - კი. კაი დავიძინე, არ დამიწყო ახლა ძახილი,

სინათლე ჩააქრო, მიდი, შენ თვითონ ჩააქრე...

- ხო კარგი, ვისწავლე უკვე...
- გძინავს, დუღუ?
- არა...
- რა კარგი ლექსი იყო...
- ხო...
- ნახე, წვიმა წამოვიდა...
- ხო, ახლა დაცხებს. დღეს ძალიან დაიხუთა...
- წვიმამ მონატრება იცის...
- ხო...
- ხვალ სტუმარი გვეყოლება...

5. სტუმარი მყავს

- ეს ვინ მოიყვანე, ბიჭო, კიდე ბოზი?
 - არა, საცოლეს.
 - მერამდენე? არ დაუჯერო, გოგო, გატყუებს...
- პალუნდრა...
- თემო, ვინ არის ეს?
 - ეს დუღუა, არ დაუჯერო ერთი სიტყვა, აფერ-ისტია.
 - იქნება და შენ მატყუებ?
 - გოგო, ჩემი არ გჯერა და ამ თუთიყუშის გჯერა, სამჯერ მყავს გაპუტული. ისე გამაბრაზა, ვხარშავდი.
 - გამიღე გალია, ჩემი ბურღა არ იქნება ამ ოჯახში...
 - ღია არ არის?
 - სამ აფირისტ, დურაკ!
 - გარსევანს შემოვუშვებ ახლა გალიაში? - გარსევანი ჩემი მეზობლის კატაა, ვაშინებ.
 - რატო, თემო? - უცებ გადავიდა შემრიგებლურ ტონზე.
 - კიდე რატო? რა შემისინე ეს გოგო, ძლივს აქამდე მოყვანილი?
 - ხო კარგი, ვიხუმრე... თემო ისეთი პატიოსანი ბიჭია, ჯერ ტიტველი ქალიც არ ჰყავს ნანახი... არც მე, დამენახე რა...
 - დაგანახვებ მე შენ...
 - აბა, მიდი...
 - დუღუ, უზრდელი ხარ...
 - არ ვარ....
 - ადექი დუღუ, სასამართლომ შინა პატიმრობა გამოგიცხადა აბაზანაში...
 - არ მინდა აბაზანა, არ მინდა აბაზანა...

6. დუღუს ჰყავს სტუმარი

- ღილით გაბრაზებულია დუღუ. ხმას არ მცემს.
- ხო კარგი რა, დუღუ, თქვი რამე, ხო იცი, ზედმეტი მოგივიდა, თან აბაზანაში ვინ არ ყოფილა.....

- მთელი ღამე?
- აბაზანა კი არა, ტიპი ვიცი, საერთოდ სახურავზე ცხოვრობს...
- არ გელაპარაკები!
- რა დებრესიაში ხარ, ბაწრები ხომ არ გადავმალე?
- ბაწრები შენ გინდა...
- კარგი, ფრთებით მაინც მანიშნე რამე!
- განიშნებ! დღეს სამიდან ოთხამდე სახლში არ გნახო...
- რა ხდება, დუღუ, ხომ მშვიდობაა?
- სტუმარი მყავს..
- ვინ?!
- არ არის შენი საქმე!
- კაი დუღუ...
- ... ზუსტად სამ საათზე კარებთან ვარ დარტყობილი. ბინიდან ჩამიჩუმი არ ისმის. მგონი, გადაადგეს დუღუ.
- კარებს მოცილდი ბიჭო! - მესმის უცებ ხმა.
- დუღუ პირადობის მოწმობა დამჩნა, სულ ერთი წამით შემოვალ, რა...
- დაახვიე...
- სულ ერთი წამით...
- არა-მეთქი!
- ბიჭო, სარძლო არ უნდა გამაცნო?
- ჯანდაბას, შემოდი!
- შევედი. მართლა დამხვდა სტუმარი. თუთიყუში იყო. დუღუს გავდა, მაგრამ ფერები ცოტა სხვა - ეტყობა დედალი.
- გაიცანი, ეს დოღოა... ეს კიდე ჩემი მეგობარი თემო... - გვაცნობს დუღუ ერთმანეთს.
- სასიამოვნოა...
- დოღო აშკარად მორცხვობს.
- კარგი, მაპატიეთ, გავიქეცი, აბა...
- პირადობის მოწმობა?!
- რა პირადობის მოწმობა?
- აფერისტ...

ეპილოგი

დუღუს ამბავი ბევრმა გაიგო, ხო იცით, რა პატარაა ჩვენი დედამიწა. უკვე სამმა მითხრა, გამაცანიო. უცხოეთიდანაც კი ვლებულობ წერილებს. მოდი, პრობლემა არ არის, ჩემი მისამართია: მეგრევე სართული, კარები, რომელზეც ვილაცას მიუწერია: „თემო და დუღუ“. რომ მოხვალთ, ლუდი წამოაყოლეთ. დუღუმ თუ ლუდი არ დალია, ისე ამ ბოლო დროს სიტყვას ვერ ათქმევინებ. ოღონდ საქმე ისაა, რომ მართლ არ უყვარს დალევა!!!... ზარი არ მუშაობს... კარები ღია იქნება, მაგრამ თქვენ მაინც დააკაკუნეთ, ზრდილობის ნიშანია...

...წვიმა წამოვიდა. კარგია წვიმა... მონატრება იცის...

* წარმოდგენილი სამივე მოთხრობა რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსის პრიზიორია.



რა მტკივნეულია...

რა მტკივნეულია, იყო არავინ,
 რა დიდი დარდია, გრძნობდე არაფერს,
 ცხოვრებას დამშრალი განცდები მიაქვს და
 სიცოცხლის ნატეხ წლებს რელსებზე ალაგებს.
 მე მინდა იქ ვიყო, სადაც გზა შორია,
 სადაც ცა ბუნების კვამლივით ირწევს,
 სადაც არა ვარ და კარგი მგონია
 და ფიქრით იწყება იქ თავდავიწყება.
 რა სევდიანია, აწყობდე ხერხემალს,
 რამდენი უძილო ლუკმა ხვდათ დარაჯებს,
 რა დიდი დარდია სარკმლიდან უცქირო
 ვილაც სხვის სახელით რომ დგას, გიდარაჯებს..
 რა მტკივნეულია, იყო უსახოდ
 და სცნობდე ვილაცას და გცნობდეს – არავინ,
 რამდენი ბზარი ხვდა პატარა ხელისგულს,
 რამდენი სიმორცხვე კლდეზე ასატანი.
 რა დიდი სიმძიმე აწვება სხეულს და
 როგორი დაღლილი ვიშორებ კამათელს,
 რამხელა სიმშვიდის აკვანი დავტოვე,
 რამდენი იდეა მიკეთებს არაფერს...
 რა მტკივნეულია, იყო არავინ,
 რა დიდი დარდია, გრძნობდე არაფერს,
 ცხოვრების დამშრალი განცდები მიმაქვს და
 სიცოცხლის ნატეხ წლებს რელსებზე ვალაგებს...

* * *

სამარეს ვითხრი...
 რომ უსულო სხეული დავაბინაო,
 რომ დავმალო ჩემი კანი და ოდნავი სილამაზე.
 სანამ დავჭკნები და
 ყვავილების მაგივრად სიბრაღის სურნელს
 დავაფრქვევ ირგვლივ,
 სამარეს ვითხრი...

* * *

მოდი, დავიმალოთ!...
 დიდხანს სუნთქვითაც მოვიმშიეთ უკვე ცხოვრება
 და აღარ გვყოფნის არც კამათის უშნო მიზნები,
 მოდი დავმალოთ ყველა დადი თვალის გუგუდან
 და შუბლის დახლზე დაწყობილი ეს ტკივილები.
 მოდი, გავიქცეთ!
 შევერიოთ მიწის აღმართებს,
 მთების გულებზე გადავშალოთ თმის დალალები
 და ჩემს მშფოთვარე ილუზიას თუკი მოისმენ,
 ნერვარეული სულს დავაკეცავ და დავლაგდები...
 მოდი, წავიდეთ!
 სულ უბრალოდ, სადმე წავიდეთ!
 გადმოვიწეროთ ეს სამყარო თვალის ფერებში,
 ხელით ავაწყოთ დარღვეული ყოფის სიღინჯე
 და ჩავილაგოთ დაღლილობა თიხის ნეკნებში.
 გადავიმალოთ!
 წავიდეთ და ისე, უბრალოდ
 შემოვიჩვიოთ უძილობის მტკნარი ზმორება,
 თორემ ხომ ხედავ, დაბნეულა უკვე სამყაროც,
 უძიძიმს კამათით გადაღლილი ჩვენი ცხოვრება.
 ჰოდა, წავიდეთ!
 წავიდეთ და სულ დავიმალოთ!...

* * *

დღეს მთები ვნახე ცისფერი ნისლით,
 მზე ცაზე ძველი ჭვლივით ენთო,
 დედამიწაზე გამქრალა მადლი,
 გადმომაწოდე ზეციდან, ღმერთო...
 სიყვარულს ვეღარ ვპოულობ ვერსად
 და შენ კი არა, ერთურთსაც ვერ ვცნობთ,
 შემოარღვიე ეს ბოროტება,
 მთელს დედამიწას შეუნდე, ღმერთო!..
 დევის მკლავით გაწოლილ მთებზე
 ბრჭყვიალა თოვლში ასი მზე ენთო,
 რწმენა კი არა, გრძნობებიც დავთმეთ
 და ერთმანეთიც არ გვიყვარს, ღმერთო!..
 მთებივით მძიმედ მაწვება დარდი,
 მიძიმოს სამყარო და მაინც ვერ ვთმობ,
 ეს დაგროვილი ცოდვის სიმძიმე
 შემომაცალე ზურგიდან, ღმერთო!..
 დღეს მთები ვნახე ცისფერი დარდით,
 მზე ცაზე ძველი ჭვლივით ენთო,
 დედამიწაზე გამქრალა მადლი
 და...
 მომაწოდე ზეციდან, ღმერთო!...

* * *

უდაბნო თბილი აკვანივით
მშვიდად ირწევს
და გარინდების ღამეებში იფშენეტს
ვარკვლავებს,
არაბი მიდის უბილიკო მტვრის ხალიჩაზე
და სამყაროსთან უსიზმრობის პროტესტს
აცხადებს.

მშვიდ უდაბნოში მერანივით ურჩი უეცრად
გასხლტება ქვიშის ქარიშხალი
და იღრიალებს,
სიზმრების კალთას დაიბერტყავს
ისე უეცრად,
არაბს მტვრის მსუსხავ მოსასხამში
დაატრიალებს...

დაღლილ ქარიშხალს ეხლიჩება ყელი გამშრალი
და ღამე ისევ ემსგავსება
ზღაპარს უდარდელს,
უდაბნო თბილი აკვანივით მშვიდად ირწევს
და არაბს მარად სიზმარების საგზალს
უმზადებს.

* * *

მტკივა მზის სხივი ჩემს სუსტ სხეულზე
და ვხვდები, ფუჭი ცხოვრებით ვკვდები,
ის, რაც ოდესღაც სივრცისგან მსურდა,
მგონია, ახლა დავშალე ფრთებით.
დგება სიბერის უცხო სურნელი
და დამტკნარ ხელით ვისწორებ ღიმილს,
მე მკლავს მზის ფერი გარდაუცვლელი,
როგორც ჭრიალი ძველისძველ კიბის...

* * *

თითქოს სითეთრე გადაჰკვრია შორეულ
ბინდბუნდს
და წითელ ფერებს ათამაშებს აივნის სარკე,
მე მიტოვებულს, სიმარტოვის რაინდი
მითხოვს
და გაშლილ სივრცეს მარტოობის დროები
დაჰკეცს.
ირბევა სული, ერთფეროვანს განიცდის სითბოს,
მერე სიმშვიდეს გადაახვევს, კუთხეში დასდებს,
სახლის კედელი დაირღვევა იმ მიზნით,
თითქოს,
რომ გაზაფხულის დამანახვოს ჭაბუკი სახე...

* * *

ბუნარში ცეცხლის ენები ტყდება,
მე კი ცარიელ ზამთარს ვხედავ შენს თვალებში
და ვიცი, რატომ მიყვარს უშენობა,
რადგან ხანდახან სჯობს ფანჯრის იქით დარჩე
ამინდებთან,
ვიდრე ბუნართან იჯდე და
ზამთრიანი ხელით ყრიდე თბილ ნაცარში
ყინულიან ნერვებს.
უშენობაში მეტად თბილა, როცა ზამთარი გაქვს
სულში.
მე კი...
აქ მინდა ვიყო,
შენს გულში
და
ბუნართან,
სულ შინ...

* * *

ო, მე ვერც კი ვნახე გუშინ როგორ წვიმდა,
როგორ დაგისველა წვიმამ დალალები,
როგორ ხმაურობდნენ წვიმის ბორიალში
უკანა ეზოდან სხვისი პატარები.
დრომ ისევ წაიღო, წარსულს მიაბარა
ტკბილი საუკუნე ერთად ნატარები,
ვერც კი მოვასწარი შენთან განშორება,
ვერც ხმა გავიგონე ჩვენი მატარებლის.
ო, მე ვერც კი ვნახე გუშინ როგორ წვიმდა,
როგორ დაგისველა წვიმამ დალალები,
როგორ ხმაურობდნენ წვიმის ბორიალში
უკანა ეზოდან სხვისი პატარები.

ლავით ხიხვამ



პირველი თოვლის საგალობელი

აი, მოვიდა პირველი თოვლი,
 ჰაერმა იგრძნო ფიფქების ფეთქვა
 და გადაფარა ტყეები, ძოლი
 თეთრმა სავანემ. ხოლო მე შემრცხვა,
 რომ არ გავედით, არ შევეგებეთ,
 არ მოვეფერეთ, არ ვიგუნდავეთ,
 ფანჯრიდან მხოლოდ ერთი შევხედეთ
 და შევიძალეთ. ქარნი უკრავენ
 ჯერ გაუცვენელ ფოთლების ბოლო
 და უკანასკნელ სუნთქვას და მოთქმას.
 ჩვენ ამ ნოემბრის ღრუბლებში ვცხოვრობთ,
 რომელთაც თოვლის სამყარო მოაქვთ.
 ჩვენ პირველ თოვლის სულეთში ვსახლობთ,
 ჩვენ ერთმანეთის გულებში ვიშვით
 და ყველა სიტყვას თვალებით ვამბობთ
 და საიდუმლოს ამხელენ ფიფქინც...
 ფოთოლთ შრიალი შეწყდა, გაჩერდა,
 უფრო გასქელდა სიჩუმე სოფლის,
 რადგან მიწაზე ზეცა გაჟღერდა –
 საგალობელი პირველი თოვლის.

* * *

ჩემი ნეკნები კლავიშებია.
 ძოლი. დაუკარი.
 ღრუბლები ცაზე აფიშებია.
 სანუკვარი.
 ჩემი და შენი სუნთქვებია –
 ფოთლების საუბარი.
 ქარო, დაუბერე.

რა შეუძლია ადამიანს?

1.
 განა შეუძლია ადამიანს ჩაკბიჩოს წყალი?
 განა შეუძლია ადამიანს ჰაერის დაჭერა?
 განა შეუძლია ადამიანს ქარს მოეჭიდოს?
 განა შეუძლია ადამიანს
 ფოთოლივით ეკიდოს ხეზე,
 ანდა ჩიტივით ბუდე გაიკეთოს
 და იქ იცხოვროს?

განა შეუძლია ადამიანს მერცხალივით
 მოზილოს მიწა
 და მიწის სახლში იცხოვროს მუდამ,
 თვითონვე მიწამ.

მიწის სახლი ხომ თვითონ არის,
 რომელშიც არსებობს ჩასახვის დღიდან,
 ის მასში ცხოვრობს თავისი სულით,
 თავის არსებით,

და დადის ასე, დაეხეტება
 თავის მიწის სახლიანად, ანუ სხეულით,
 რომელსაც ბოლოს
 დედამიწის წიაღი შთანთქავს.

მაშ, რა შეუძლია ადამიანს? –
 სიყვარული? რწმენა? იმედი?

აქედან ხომ სრულყოფილად ვერცერთი ისწავლა
 მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც დაიბადა
 და დაბინავდა ამ მზისქვეშეთში.

2.
 დედამიწა ხომ ამხელა, უსასრულო სამყაროში
 ერთი პატარა წერტილია,
 რომელზეც ცხოვრობს მტვრის ნამცეცი,
 მტვრის ნაწილაკი – ადამიანი.

და მე დავრწმუნდი კარგა ხანია,
 ამდენი ფიქრით და დაკვირვებით
 მე უკვე მივხვდი:
 ადამიანი იმდენად სუსტი, უსუსურია,
 რომ მას თავისი საკუთარი შესაძლებლობით,
 თავისი ძალით ერთი ჩასუნთქვა-ამოსუნთქვაც
 არ შეუძლია,
 ან ერთი წამით იცოცხლოს თუნდაც,
 რომ არა ღმერთი!....

მე – ქრისტეს პოეტი ვარ!

იღვრება სურნელი ქალწულ ყვავილის და
ზამბახს სიყვარულის ცეცხლი მოეკიდა.
ღრუბლებით ნაქარგი თეთრი აივნიდან
ზმამალა ვაცხადებ: მე – ქრისტეს პოეტი ვარ!

ცხოვრება გზაზე იდგა და თან მუნჯი იყო,
ვინც კი მას შეეხო სასო წარეკვეთა.
თითქოს აყირავდა ყანა უსიმიდლო.
ბალიშს უამრავი ცრემლი დაეწვეთა.

უხმოდ გაირბინე ვრცელი სარბიელი,
თავის დამდაბლება გინდა საშუადამო...
სოფელი დარჩა სულ მთლად ცარიელი,
ქვესკნელს მიენარცხა მწვანე კარ-მიდამო.

მხოლოდ ამ მიდამოს უნდა დაიბადონ
წმინდა ყვავილები სუსტნი, ფაქიზები.
სულში შემოიჭრა – ან, ბან, გან, ღონ,
ენ, ვინ, ზენ, თან, ასე შემდეგ... და სიზმრები.

ცრემლი საცოდავი მცვივა და ფიქრებში
სანთლად იღვენთება მამის სასაფლაო.
დილით იფერფლება ზეცა ნარცისებში.
ზოგჯერ ჩემი სული ცაზე დაქანაობს –

ნაზი, მგძნობიარე ღრუბლის საქანელით.
მინდა, უკანასკნელ გზაზე გამაცილო,
თვალი გააყოლო წეროს გადაფრენილს...
ფარად იფარებდე ქარში მარმარილოს.

გამთბარ განთიადებს გედი უგალობებს,
ლოცვით დასველდება ნეტარი ოსანა.
ბერი მონასტრისკენ ლოდებს მიაგორებს...
მთები სიდიადით დგანან და მოჩანან.

ო, რა ტკბილი არი ტყისპირს სეირნობა,
მაშინ მართლა ნატრობ: რწმენა გაგიწვიმდეს.
ცოტა ნაშუაღამევს წმინდა შემოლილობა
ვარსკვლავებისაკენ ფრთხილად გაიწვიდის ხელს

და ის მიგანიშნებს მარადისობაზე,
რომ იქ იმალება დიდი საიდუმლო.
შენ კი ისევ ნაღვლობ, ისევ ფიქრობ მასზე,
ჩუმი სურვილი გაქვს – მარტო დაიგულო.

წითლად აელვარდა ვარდი ნაავდრალი.
სიკვილ-სიცოცხლეზე სერზე დაობს ქარი.
ტირის, როგორ ტირის, მოსთქვამს ნასაყდრალი,
ნისლში ჩაიძირა მხარე ნაომარი.

ტრფობის უნატიფეს, ლამაზ გვირგვინებად
დაწულ წარმოსახვას ატკობს ლირჯი ლანდი.
ადრე ამ მდელიზე პური ბიბინებდა
და თბილ, ფერად წვიმას წნევას ვუსინჯავდი.

ცისფერ სივრცეების ცურვას გასცქერიან
ვაზით შეფოთლილი, სუფთა აივნები.
ქაღალდზე გაუდის რითმებს რია-რია...
შიშით მოელიან ყვავებს ყვავილები.

ზამბახი ფანჯარასთან აივლ-ჩაივლიდა, –
გრძნობა ვერ გამოთქვა, რადგან მოერიდა.
ღრუბლებით ნაქარგი თეთრი აივნიდან
მსოფლიოს ვუყვირი: მე – ქრისტეს პოეტი ვარ!

შეუმჩნეველი სინათლე

მე გამოუღვიძებელი ძილის კი არა,
სხეულიდან გასვლის მეშინია...

მზე თუ დედამიწას, ჩემს გულს სიყვარული ანათებს.
სიყვარული ეკლებს ასხივებს...

როგორც დაჭრილი ჯარისკაცი წევს თავის სისხლში,
მეც ისე ვწევარ საკუთარი ცრემლის გუბეში.

მანამდე ვერა –
რომ ჩავქრები, ჩემს სინათლეს მაშინ იხილავთ...

* * *

წიგნი ბიბლიიდან იწყება,
 როგორც ღმერთიდან – ადამიანი...
 გული სიხარულით ივსება,
 როცა დღეებია მზიანი,
 როცა წვიმაა და თოვლია,
 როცა ყველა ლექსი შენა ხარ.
 სიტყვა – მოფარფატე თოლია,
 წიგნის ოკეანეს შეჰხარის...
 წამნი წუთებს ისე კონავენ,
 როგორც თაიგულებს მეტრფენი.
 ვუშვებ თანხმოვანებს, ხმოვანებს
 შენთან სულის ერთი შებერვით.
 ჩემში ქარებია თებერვლის
 და ეს ყველა ქარი შენა ხარ,
 შენი დათოვლილი თვალების
 მზერა სხივებივით შემახე...
 ჩანხარ მთვარესავით ფანჯრიდან,
 ბრწყინავ გაზაფხულის მზისამებრ,
 მე შენ სუყველაფერს გიჯერებ,
 მწამხარ და მარადის გიწამებ.
 ტბებად დაგუბულმა სიტყვებმა
 შეკრეს ეს სამყარო მთლიანი...
 წიგნი ბიბლიიდან იწყება,
 როგორც ღმერთიდან – ადამიანი...

ყველაფერი ქართული!

პეპელას ფრთებით მინდვრიდან მოდი,
 თავზე გვირილის დაგადგამ გვირგვინს,
 ოღონდ ევროპული არ გქონდეს მოდა,
 რადგან ყველაფერი მიყვარს ქართული!

რადგან ყველაფერი მიყვარს ქართული,
 ამერიკული არ გქონდეს მოდა!
 ჩვენი სამშობლოს გზები გართულდა,
 გადავსხვაფერდით, უფრო მეტს ვცოდავთ.

თუ გინდა, შორი მთებიდან მოდი
 და თავზე თოვლის დაგადგამ გვირგვინს,
 ოღონდ რუსული არ გქონდეს მოდა,
 რადგან ყველაფერი მიყვარს ქართული!

რადგან ყველაფერი მიყვარს ქართული,
 ისმოდეს ნაზი შრიალი კაბის,
 ვიყოთ სულებით გადახლართული
 და ვსაზრდობდეთ ზეციურ მადლით,
 რომელიც წმინდა სიყვარულს ბადებს.

მე ყველაფერი მიყვარს ქართული!

რაჭა

ვარ განმარტოებული მამაჩემის დანატოვარ ბაღში,
 ვზივარ მისივე დარგულ ვაშლის ხის ძირში
 და წიგნს ვკითხულობ,
 ხანაც მწვანე, ხანახანა, ნელღ ბალახს ვთიბავ,
 ხანაც საბოსტნე ადგილსა ვბარავ,
 მიწის სურნელს ვგრძნობ და ვისუნთქავ,
 თან ტალღოვანი ქარის მობერვის ხმას გარინდებით ვუსმენ,
 ხანაც ალუჩას ხელით ვეპოტინები
 და მისი სიმჟავით ვიტკბობ პირს,
 ხანაც აქეთ-იქით ვიხედები, ტყეებს შევყურებ
 და გულში ვამბობ:
 ღმერთის დიდი ნაწარმოებია ეს პატარა მხარე,
 სადაც მე ვცხოვრობ!

სახარების მახარობელნი

* * *

მათე, მარკოზი, ლუკა, იოანე –
 ოთხი მერცხალი – მახარობელნი –
 ერთი უსასრულო,
 მარადიულ გაზაფხულისა...

თბილისი საიქიოსავითაა –
 ვინც იქ რაჭიდან წავიდა,
 უკან აღარ დაბრუნებულა...

ლიტერატურული კრიტიკა

შოხანა ჩხთიშვილი

მეტაფორული ალუზიები



„ლექსი ერთი რამ არის ამ სოფლის საქმეში“ – წერდა მამუკა ბარათაშვილი მე-18 საუკუნეში და საგანგებოდ მიუთითებდა, რომ კაცმა ავი ამბავი არ უნდა გალექსოს, რადგან მკითხველი ავს შეიმეცნებს და არა კარგს; ლექსი საღვთო სიყვარულს, ან წმინდა ადამიანურ ტროფობას უნდა ასახავდეს, იგი ზნეობას უნდა განამტკიცებდეს და მკითხველს ღირსეული საქმეებისათვის უნდა განაწყობდესო. ისტორიულად ასე იყო. და დღეს კი რას შეიძლება ელოდებოდეს მკითხველი თანადროული პოეტური ტექსტიდან? ალბათ, არ შეეცდები, თუ ვიტყვი: სიბრძნეს, ნუგეშს, სიხარულს... – განურჩევლად ყველა დროისა თუ ჟანრის პოეზიისა. ფსიქოემოციური მდგომარეობის თანაგანცდა ავტორთან ხომ ადამიანური სულის მარადიული მოთხოვნილებაა. პირველად-მოჩენათა სიხარული და ექსტრავეგანტურ სახეთა აღქმით მოგვრილი აღტაცება ის მახასიათებლებია, რომელთა გარეშეც პოეზია დაკარგავდა მაცოცხლებელი სისხლის მიმოქცევის უნარს, მკვდარი სიტყვების გროვად იქცეოდა ოდენ...

აღნიშნულ განცდათა მოლოდინი არ ტოვებს მკითხველს 21-ე საუკუნეშიც, მკითხველს, მას, ვინც განებივრებულია პოეზიისადმი წაყენებული დიადი მოთხოვნების რეალიზებადი ტრადიციით, – მკითხველს, ვინც გაითავისა გასული ლიტერატურული საუკუნე თავისი კლასიკით, მოდერნითა თუ პოსტ-მოდერნით...

თანაღმობა და თანარწმენა განაცხოველებს მარადიული მკითხველის მიმართებას მარადიულ ტექსტთან და უახლესი წარსულიც ხომ ჩვენი პოეტური მიღწევებისა ამ ვითარების ამსახველია. განა ჩვენ განებივრებულნი არა ვართ მე-20 საუკუნეში მომხდარი პოეტიკური რეფორმაციით, რომელმაც უმაღლეს ხარისხამდე აიყვანა სიმბოლიზაცია და მეტაფორული აზროვნება? – განა ის გემოვნების ინდიკატორად არ იქცა შემდგომი ლიტერატურული თაობებისათვის?

მხატვრული ენის ფენომენიზაცია არის ის მთავარი მოლოდინი, რაც სიტყვაკაზმული ხელოვნების უშორეულესი წარსულიდან მემკვიდრეობით გაღ-

მოეცა ჩვენი დროისა და სინამდვილის მკითხველს. მართალია, ტრივიალური სამყაროს ფილოსოფიური ნიშნით აღქმა და ადამიანური ფსიქიკის ძნელად სახილველი სიღრმეების წვდომა უკვე მრავალ-საუკუნოვანი ტრადიციაა, – მკითხველს მაინც არ ძალუძს შეეღიოს ყოველივე ამის მოლოდინს. 21-ე საუკუნეშიც იგი მოელის დაუსრულებლად... მოელის რას? – პირველადმოჩენათაგან თუ სიღრმისეული ხილვებიდან მოგვრილ სიხარულს?! – ერთსაც და მეორესაც, რადგან მკითხველი ისევ და ისევ ეძებს პასუხებს მარადიულ კითხვებზე. ამდენად, თუ გვინდა წარმოვსახოთ გზა, ანუ, იგივე მაცოცხლებელი ძალა, რითაც პოეზიამ უნდა განაგრძოს სიცოცხლე ახალ საუკუნეში, – არაორდინალურნი ვერ ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ეს უნდა იყოს გადარჩენის გზა ტრადიციითა და ნოვაციით. ცხადია, ყოველთვის იარსებებს ტრივიალური განცდები, რომლებიც განსხეულებას იპოვიან ტრადიციულ პოეტიკაში, მაგრამ მკითხველი, როგორც ყოველთვის, მომლოდინე იქნება ჯერარნახული მიგნებებისა და თანაგანცდისა.

ახლავე მოგახსენებთ, რისი თქმაც მსურს. დავიწყოთ იქიდან, რომ თავისი არსებობის ყველაზე კრიზისულ პერიოდში პოეტური ხელოვნება იხსნა და გადაარჩინა მეტაფორულმა აზროვნებამ. მან შეუნარჩუნა ლექსს სიცოცხლისუნარიანობა, რადგან თვისებათა გადატანის ხელოვნება საუკეთესო საშუალება აღმოჩნდა ადამიანური ფსიქიკის მიუკვლეველი სფეროების შეცნობისათვის. განუსაზღვრელია შესაძლებლობანი ხატოვანი, მეტაფორული ენისა, თუმცა არა იმ შემთხვევაში, როდესაც შემოქმედებითი კრიზისისა და სათქმელის უქონლობის ჟამს იგი სიტყვათამაშად და ფსევდომხატვრული აზროვნების იარაღად გადაიქცევა...

მეტაფორული სიტყვიერება, რომელიც სამეტყველო ენის ემპირიული დანიშნულებისაგან გასხვავებული ფუნქციითაა აღჭურვილი და ლოგიკური აზროვნების პრინციპებს არ ექვემდებარება, – ინტუიციურ დონეზე ახსნადი და კანონზომიერი ხდება, თუ, რა თქმა უნდა, მას განვიხილავთ პოეტური

კონტექსტისა და მხატვრულ სახეთა სპეციფიკური ბუნების გათვალისწინებით.

დღეს ხომ აღარავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ გალაკტიონის „შემოღობით მკვდარი თებერვალი“ და „სული, რომელიც სტიროდა ცისფერ ღვინოებს“ და სხვა უამრავი პოეტური სინტაგმა უსაზღვროებისაკენ ლტოლვის შეგრძნებას იწვევს და გამოუთქმელი განცდების სიტყვაში მოხელთებით გამოწვეულ სიხარულს გვაზიარებს? პოეზიის ამ დანიშნულებამდე აყვანა, დამეთანხმებით, დასტურია იმისა, რომ პოეტურ გენიას ადამიანური სულების თანაღობა და არაცნობიერი ჯურღმულებიდან მისი გათავისუფლება შეუძლია; და განა შესაძლებელია, რომ ჩვენი დროის მკითხველი ამასვე არ ელოდებოდეს მხატვრული სიტყვისგან? სწორედაც რომ!.. ის ელოდება სიხარულს ძველისას; ელოდება მოუხელთებელი ტკივილებისა და სულიერი ტანჯვის თანაგანცდას და რისგან შეიძლება იგი ელოდებოდეს ამას, თუ არა მეტაფორული ენისა და არაერთმნიშვნელოვანი მხატვრული სიტყვისგან? ამგვარ მოლოდინს ვერ გაამართლებს ალოგიკურ ფრაზათა შეთამაშება და მხატვრულ ტექსტში შეპარული პოეტიკური მანიპულაციები.

მკითხველის თანაგანცდა ავტორისეულ ტექსტთან, ცხადია, ემყარება ტროპული მეტყველებისათვის დამახასიათებელ თვისებათა გადატანის უნარს, მაგრამ არ შეიძლება, რომ ის დაემყაროს ფალსიფიცირებულ მინიშნებებსა და ფსევდოასოციაციურ წარმოსახვებს რეალურ მოდალობათა გარეშე. ცხადია, მეტაფორული ეპითეტები საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ ავტორისეული განცდის სისრულე და მრავალპლანიანობა მისი ცალკეული ასპექტების, იგივე შეგრძნებების (ფერის, ბერის, გემოვნების და სხვ.) ვარიანტებით იქნას მიღწეული. მაგრამ, ეს როდი ნიშნავს იმას, რომ შესაძლებელი იყოს ნებისმიერი სახის ალოგიკური სინტაგმა მხატვრული აზროვნების ნიმუშად წარმოგაჩინოთ. უტყუარი გრძნობითი მოდალობები! აი, რა არის მთავარი და აუცილებელი იმისათვის, რომ გაიბას ასოციაციური წარმოსახვების ჯაჭვი პოეტურ ტექსტსა და მკითხველს შორის. თუმცა, ხანდახან იქმნება ისეთი ილუზია, რომ თითქოსდა, ფსევდომხატვრულ მეტაფორულ მეტყველებას შეეძლოს ამგვარი კავშირის დამყარება. და რას ვღებულობთ შედეგად? — სიცარიელეს და არაფრისმთქმელ სიტყვათა გროვას. მოვლენათა მეტაფორიზაცია კონტექსტსა და ადამიანური განცდების რეალურ მოდალობებზე დაყრდნობით უნდა ქმნიდეს ასოციაციურ წარმოსახვას და ამყარებდეს კავშირს მკითხველთან. ეს კავშირი კი უპირველესად, ინტუიციურ დონეზე შეიცნობა, რეალურად კი გრძნობითი მოდალობები

შემეცნებით საყრდენებს უნდა წარმოადგენდეს. რეალური მოდალობები ქმნიან უტყუარ მინიშნებებს და სწორედ ეს განაპირობებს მხატვრული სიტყვის თანაგანცდას. ასოციაციური კავშირი, — აი რა არის აუცილებელი იმისათვის, რომ ალოგიკური სინტაგმების მიღმა ავტორისეული სათქმელი ამოვიკითხოთ!

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში კარგად არის აღწერილი სინესთეზია, რომლის დროსაც მეტაფორული ხელოვნება თავის აპოგეას სწორედ გრძნობათა სხვადასხვა მოდალობების ურთიერთკავშირით აღწევს. ამგვარი ხასიათის პოეტიკური კვლევის შედეგად ბატონმა თეიმურაზ ღოიაშვილმა ჩვენთვის ხილული გახადა გალაკტიონის არაორდინარული პოეტური სინტაგმების საიდუმლოებანი. მკვლევარმა ცხადლივ დაგვანახა, რომ ყველზე რთული და სუბიექტური ასოციაციური კავშირიც კი არ არის მოწყვეტილი ადამიანური ფსიქიკისათვის ორგანულ წარმოსახვას, ანუ, მატერიალურად არსებულ მოდალობას. სწორედ ამ რეალობათა პოეტიზირებული აღქმა არწმუნებს ტექსტის მკითხველს იმაში, რომ ეს ყოველივე განცდილი სინამდვილეა და იგი თავადაც თანაზიარი ხდება ხილვათა მრავალსახეობისა, — მიჰყვება რა ავტორის შემოქმედებით ნებას და თანახმაა, რომ დაუზოგავად გადაჰყვებს მას პოეტური თავდავიწყების უფსკრულში...

არა მგონია, რომ რაიმე ახალს ვამბობდე. მხოლოდ საკუთარი აზრის გამოთქმა მსურდა... ალბათ, ყველა ჩვენგანისათვის ნაცნობია ის უხერხული გრძნობა, თანაგრძნობისათვის ყალბი სიტყვების მოსმენისას რომ გვეუფლება ხოლმე. ჩვენ ხომ არასდროს ვტყუვდებით, როდესაც გულწრფელად ან არაგულწრფელად მოგვმართავენ. ცრუ თანაგრძნობა კი ყოველთვის უსიამოვნოდ გვაკრთობს. ასეა ხელოვნებაშიც... გულსატკენია, როდესაც ჩვენს თანადროულ პოეტთა სტრიქონებში სინესთეზიის ნაცვლად სიტყვათა თამაშს ვაწყდებით ხოლმე. ყველაზე უმწიფარი მკითხველიც კი ამ დროს უტყუარი მსაჯული ხდება, რადგან, იგი ვერ ამყარებს ასოციაციურ კავშირს პოეტურ სახეებს შორის. ყველაზე გამოუცდელ მკითხველსაც კი ვერ დაარწმუნებ იმაში, რომ მას საქმე მეტაფორულ ხელოვნებასთან აქვს. ასეთ შემთხვევაში ცხადია, რომ არაორდინალობის ნიღბით შეფუთული მხატვრული სახე ძალდატანებული ძიების უსიცოცხლო ნაყოფია, ოდენ ფსევდოხელოვნებაა და არა გულწრფელი ღალადისი პოეტური სულია.

მინდოდა, თქვენთვის გამეზიარებინა ჩემი ფიქრები, რომლებიც დამეუფლა 21-ე საუკუნის ქართული პოეზიის ზოგიერთი ნიმუშის ხილვისას. კარგი იქნებოდა, შემცდარი რომ აღმოვჩნდე, უთუოდ, ასე აჯობებდა...

რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსში გამარჯვებული სამი მოთხრობა



კაცობრიული განცდაა წარსულის მიმართ ქვეცნობიერი დამოკიდებულება. იგი არასოდეს არ განებებს თავს. წარსული ფესვება ცხოვრებისა და, რა თქმა უნდა, გრძნობ და გტკივა ის, რაც ოდესმე სტკენიათ წინაპრებს. ამბობენ, დრო მკურნალიაო, მაგრამ ალბათ გააჩნია, ვისთვის. ჭეშმარიტი მამულიშვილების დრო წარსული, აწყო და მომავალი ერთად დატრიალებული. მათი მგრძნობელობის ხარისხი აწყოს არ ემორჩილება და მოგზაურობს ყველა დროში, რათა ჭეშმარიტად თანაუგრძნოს, როგორც წინაპარ, ასევე მომავალ თაობას. ჭეშმარიტი მამულიშვილის სახილველი მომავალსა და წარსულს იმ სიბრტყეზე უმზერს, რომელშიც ყველას ვერ ძალუძს ჭვრეტა. იღუმალი სამყაროს ცნობიერ-შეშეცნებითი აღქმა უდიდესი განძია. მისი მფლობელები კი ღვთისგან კურთხეულები არიან გარკვეული მისიით და, სულის კარნახით, უფლის ნებას ემსახურებიან.

ლაშა ბიბიჩაძე – „ჯარისკაცის დედა“

აფხაზეთის ომიდან, სრულიად ახალგაზრდა, გამოუცდელი, სომეხი ჯარისკაცის წერილები დედას მკითხველის გულისგულში ატანს და მრავალეროვანი საქართველოს მოსახლეობას, მხოლოდ ქართული ეროვნული სულისკვთებით, ერთ მუშტად შეკვრისა და საქართველოსათვის, როგორც სამშობლოსათვის, თავგანწირვისაკენ ერთობ ამაღლებელი ეპიზოდებით მოუწოდებს..

„სომეხს რა უნდა ქართულ ომშიო“, – ეს თითქოს ხუმრობით ნათქვამი, ქართველების მიმართ უკმაყოფილებისა და სხვა ეროვნების საქციელით ამყობის ინტონაციური გამონახტვაა. აშკარაა ავტორის დამოკიდებულება ამ ომის შედეგის მიმართ. სამშობლოს დღევანდელი ვითარება მისთვის ტკივილია. ტკივილი, რომლის მიზეზიც იმ ქართველებში უნდა ვეძებოთ, რომელთაც თავი აარიდეს განსაცდელს.

ქართველი მეომარი სომეხს ბავშვობის ეპიზოდებს ასხენებს. ეს ოსტატური სვლა ახალგაზრდა მწერლისა, გულწრფელობის, სიწმინდის, შეუბღალავი აზროვნების ხოტბაა. ბავშვურ ურთიერთობებში ენობრივი და ეროვნული ბარიერები არ არსებობს. სწორედაც რომ ასეთ თანაცხოვრებას უსახავს ავტორი მრავალეროვან სამშობლოს მიზნად. სომეხი თუ სხვა, ქართული სულიერებით უნდა ეხმარებოდეს საქართველოს ჭირსა თუ ღვინს.

„...და ისევ ფეხშიშველი ვივლი ჩემს სახლში“, – საქართველოში დაბადებულ-გაზრდილი სომეხი ვაჟკაცის მშობლიური სიყვარულის ფაქიზი განცდაა. შიშველი ფეხის ტერფებით ქართული მიწის შეგ-

რძნების მონატრებაა. „ჩემს სახლში“ – ამბობს ზარენი და გულისხმობს საქართველოს.

აფხაზეთის თვალწარმტაცი პეიზაჟის შერწყმა ომის საშინელებასთან კომპოზიციაა მზის ამოსვლისა, ტალღების ხმაურისა, გემების საყვირისა, ყუმბარების აფეთქებისა. ამ ყოველივეს მწერალმა „ბაბილონის სიმფონია“ დაარქვა. სომეხი ჯარისკაცი აცხადებს: „ბაბილონის მუსიკას მხოლოდ ბაბილონის ომის დროს თუ მოისმენს ადამიანიო“. ანტიკური ქალაქის ხსენება მიზნობრივი დანიშნულებისაა – უძველესი იმპერიის – მესოპოტამიის დედაქალაქის ნანგრევები დღესაცაა შემორჩენილი ერაყში. ის პატარა, ლამაზი, აყვავებული ქალაქი იყო. ბაბილონის გოდოლის მშენებლებს ენა რომ აურია ღმერთმა, შედგომ, სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ადამიანებმა ააშენეს ახალი ქალაქი, მაგრამ დრომ წალეკა ძველი დიდება. ლაშა ბიბიჩაძის ახალბედა კალამი მეტად მახვილგონივრულ სვლებს გვთავაზობს და ულამაზეს აფხაზეთს, ყუმბარების აფეთქების ფონზე, ქალაქ ბაბილონის ბედს უწინასწარმეტყველებს. განწყობა პესიმისტურია, თუმცა რეალური. გაგრის ბრძოლებზე ზარენი წერს: „ფანჯარასთან მივედი. ჩამსხვრეული მინის მიღმა ჩამსხვრეული საქართველო ჩანდა“. ასეთი შტრიხებით დააკავშირა ავტორმა ძველი ბაბილონი დღევანდელი საქართველოსთან.

დრო-ჟამის მონაცვლეობა, თავისი ყოფითი ნიუანსებით, დღემდის ამოუხსნელი ფენომენია. ამ ფილოსოფიას ავტორი მისტიკურ აზროვნებას კარგად უხამებს. შედეგად, აფხაზეთსა და იქ მიმდინარე ომს ჯოჯოხეთს უწოდებს: „დედა აქ ჯოჯოხეთია“ – წერს ზარენი და არეულ უმძიმეს სიტუაცი-

აზე მოუთხრობს. პერსონაჟი ომის სუნს ცხადად გრძნობს. ახალგაზრდული გამოუცდელი, მაგრამ წრფელი სულისკვეთება მას ღმერთის მიმართ უკადრისად განაწყოებს: „ცალი თვალთ აკვირდება ათასგვარ სიკვდილს... მასაც ხომ სჭირდება გასართობი“, – ასეთი ცინიზმი, ზარენის ენით, მწერლის ინდივიდუალური შეფასებაა იმ მდგომარეობისა, რომელშიც აღმოჩნდა სომეხი მეომარი, რომელსაც, ეტყობა ისეთი ასაკი ჰქონდა, რომ ცხოვრებას მხოლოდ იისფრად აღიქვამდა. მას ასწავლეს მოყვასის სიყვარული, მტრის შენდობა, მაგრამ, იმ რეალობიდან, რომელშიც აღმოჩნდა, მისი უმწიფარი გონება ვერ ხედავს ღმერთს თავისი დიდებულებით. „ბავშვებსაც კი არ ინდობენ, გესმის?!“ – დელისადმი მიმართვაში მეომარი თავის პიროვნულ განცდას გატანჯული გულის ამოძახილით გამოხატავს. ასე იკვეთება ავტორის პროტესტი იმ აურზაურის, არეულობის, გათიშულობის, უსამართლობის, უღმერთობის მიმართ, რომელიც ამ ომში ცხადად გამოვლინდა.

მწერალმა თავიდანვე მიგვანიშნა მთავარი პერსონაჟის მოსალოდნელ ბედზე: „მებრძოლები ომში იბადებიან... მე ბრძოლას ვისწავლი... ომში მკვდრები იმარჯვებენ... უნდა გავიმარჯვო. „გამარჯვებისათვის თავგანწირვის სულისკვეთება ზარენს სიკვდილთან შეხვედრას უადვილებს. მთავარი მოქმედი პირის ქვეცნობიერი წინათგრძნობა, ამ უთანასწორო ომში მონაწილეობა, სიკვდილით გამარჯვების ავტორისეული გადაწყვეტის ფორმაა ქაოსური, მოუწესრიგებელი, განუკითხავი ბრძოლების ფონზე.

„ზარენი აფხაზეთის ომიდან დაბრუნებული არავის უნახავს“. დედამისი კი ომის დაწყებიდან ორი წლით ადრე გარდაცვლილა. ის, რომ სომეხი მეომარი წერილს გარდაცვლილ დედას სწერდა, არა მხოლოდ მხატვრული გადაწყვეტაა, არამედ იმ მისტიკური ძაფის ორი ბოლოა, რომელმაც ცოცხალი და მკვდარი ერთი სულისკვეთების გზაზე გაამთლიანა. მხოლოდ საქართველოზე უფროდ შეყვარებულ სომეხ დედას შეეძლო აღეზარდა სამშობლოსათვის თავგანწირვის ჩაგონებით ერთადერთი შვილი. ამ ეპიზოდით მწერალმა უკვდავების დიადება დაადგა საქართველოსათვის თავგანწირულ სხვა ეროვნების შვილებსა და მათ აღმზრდელ დედებს.

მთავარი პერსონაჟის გარდაცვლილ დედასთან წერილებით საუბარი ამერ-იმერის საიდუმლო მისტერიაა. ზარენი კოსმოგონიური აზროვნებით უკავშირდება დედას, არა როგორც მკვდარს, არამედ ცოცხალს. სწორედ ეს შთაგონება თან სდევს მეომარს და აძლიერებს მის ქვეცნობიერს – „ომში მხოლოდ მკვდრები იმარჯვებენ... მე გავიმარჯვებ“.

ლაშა ბიბინაძის „ჯარისკაცის დედა“ სიკვდილის დამარცხებისა და გამარჯვების მარადიული სიცოცხლის ზარია, ზარი, რომელიც ამ მოთხრობით მრავალეროვანი საქართველოს გასაგონად ძლიერად დაარისხა ავტორმა.

მარადისობის წრებრუნვაში ადამიანის ქვეყნად მოვლინებისა და გარდაცვალების მუდმივი ასპექტები გვარისა და ჯიშის გენეტიკური ფონდის თაობიდან თაობაში გადასვლისა და წინაპრების სიცოცხლის შთამომავლობაში გაგრძელების უცვლელი პირობაა. „ფესვი ვაზისა“ ამ ღვთიური დოგმატის მხატვრული ხორცშესხმაა მოთხრობის ფორმატში ჩატეული.

მწერალი გულის სითბოს არ იშურებს თავისი თანადროული რეალური ყოფის გადმოსაცემად და ქართველი გლეხკაცის ყოველდღიურ საზრუნავს ისე აღიქვამს, როგორც მარადიულ ხელოვნებას. გეგენა ელოლიაეება თავის კარ-მიდამოს. მისი ესთეტიკური გემოვნება სცილდება ყოველდღიურობით დაღლილ-დაქანცული კაცის საქციელს: „გეგენას კი ფიჩხის კონაც კონტად შეკრული უყვარდა, თითქოს ისიც გაფურჩქნილი ვაზი ყოფილიყო“.

სიღინჯე, შრომა და გარჯა წინაპრებისაგან მოპყვა გლეხკაცს და ცდილობდა, ეს ყველაფერი თავისი შვილისათვის გადაეცა, მაგრამ... მოთხრობაში ავტორი იდუმალი ძალის მოქმედებას რეალურ ყოფაში მალხაზის ხასიათის შტრიხებში ავლენს. შეუცნობელია უხილავის ძალა. გენეტიკური კოდი თითქოს შეიცვალა. დინჯი გეგენას შვილი სულსწრაფია. ის, რომ მალხაზი დროის სულ მოკლე მონაკვეთში ახერხებს უმაღლესში შესვლას, ცოლის შერთვასა და ჯარში წასვლას, არის ნიშანი იმისა, რომ მან მთელი ცხოვრება გაიარა და მორჩა. ზოგჯერ უფალი გამოცანებით გველაპარაკება. ადამიანის გაუთვითცნობიერებელი გონი ვერ ხვდება მეტაფიზიკურ გამოვლინებებს და საყვედურებით გამოხატავს ხოლმე სამღურავს. „შეუცნობელია გზანი უფლისანი“, სახარებისეულ ამ შეგონებას მწერალი ლიტერატურულად დახვეწილი მხატვრული პასაჟით გადმოგვცემს. რაც შეეხება გენეტიკურ კოდს, იგი უცვლელია და შთამომავლობაში იხვეწება.

დინამიკური თხრობა ავტორისა ხელს უწყობს მკითხველს საიქიოსა და სააქაოს ერთ სიბრტყეზე წარმოსახვაში. სინემატოგრაფიულად იშლება სურათები სულის თავისუფლებისაკენ სწრაფვისა და მისივე შთამომავლის ამქვეყნიური ვალმოხდილობის აუცილებელობისა. ავტორის ჩანაფიქრის საიდუმლო ლაბირინთებს თუ მიაგნებთ და მოახერხებთ მის გავლას, დაინახავთ, რომ ადამიანი, ქვეყნად შობილი, უდანაკარგოდ ასრულებს უფლის პროგრამას.

ამ პროგრამის რეალური აღქმა ნამდვილად შესაძლებელია ამ მოთხრობაში. გეგენა გეგმავს ქვევრების ჩაყრას, მაგრამ დრომ, რომელიც უზენაესიდან განსაზღვრულია, არ დააყოვნა და მან ქვევრებისათვის მისივე ამოთხრილი მიწის ზვაგქვემ დაასრულა სიცოცხლე.

ძალიან საინტერესოა თავად ავტორის მიგნება ზვავს მოყოლილი გეგენას სულის მდგომარეობის შესახებ. ავტორი ავითარებს თემატიკას, რომ სული,

რომელიც აღმოხდა სხეულს მიწაში, ვერ ახერხებს ზეცაში ასვლას, დამწყვედებულია. მაშინ მკითხველისათვის აღარაა გამოცანა მიწაზე მიცვალებულთა სულების თავისუფლება, ანუ ატმოსფერო თავისუფალი გზა სულისათვის ზეცაში ასაფრენად. ეს, სულის შესახებ მისტიკური საზრისების გორგალისერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთია. ცნობა, რომელიც ამ მოთხრობით მიიღო მკითხველმა, ბიბლიური იგავების ტოლფასია.

გეგენას მიწაში დამწყვედებული სულის აშლილი ფიქრები ისევ კარ-მიდამოს დასტრიალებს, თან ეტებს ზეცისაკენ გასასვლელს. ეს პასაჟი გულგრილს არ ტოვებს მკითხველს და, რაც მთავარია, უძლიერებს რწმენას უკვდავებისას. რადგანაც ფიქრები და მგრძობელობა არ დაუკარგავს გეგენას სულს, ე.ი. ეს ხორცია მოკვდავი, სული კი განაგრძობს არსებობას. ეს თითქოს მარტივი, მაგრამ მაინც დაუჯერებელი შეხედულება, ავტორის ოსტატობის წყალობით, დამაჯერებლობის მუხტითაა შეზავებული. ჩვენ, ისღა დაგვრჩენია, შვებით ამოვისუნთქოთ და ვაღიაროთ სულის მარადისობა.

შეუძლია კი სულს მიწის სიმძიმისაგან თავდაღწევა? – გეგენას სული მოულოდნელად გამოჩენილი ვაზის ძაფივით წვრილ ფესვში შეძვრება, აყვება მას და ფოთლებიდან გამოხედავს თავის კარ-მიდამოს. ეზოში ორი ძირი ახალი ვაზი ჩაუყრია ყმაწვილს, რომელიც ძალიან ჰგავს მის შვილს. ხვდება, რომ ის, მისი შვილიშვილია. არ დაკარგულა გენეტიკა. შრომა და გარჯა შთამომავალმა მიიღო წინაპრისგან მემკვიდრეობით. ამ ფასდაუდებელი გენეტიკური კანონის ღვთიური ბუნება გახდა გმგენას სულის მიწიდან გამოღწევისა და ზეცად აღსავლის საფუძველიც. მწერლის გონის ნაფიქრალი მეტად შთამბეჭდავია. თურმე ვაზის ფესვებს აქვთ უნარყ, გამოიხმონ ასეთი სულები, გაატარონ მიწისზედა სხეულის ნაწილებზე და ფოთლებიდან მისცენ აფრენის საშუალება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქართველი კაცისათვის ვაზი ღვთიურია, ვენახს უმღეროდნენ, უძღერიან და უძღერებენ მრავალჟამიერ, მივხვდებით, რომ ავტორის ჩანაფიქრი ჭეშმარიტებაა. ამიტომაცაა ტრადიციულ წეს-ჩვეულებებში, სიმღერებსა და ხელოვნების სხვა დარგებში ასახული ვაზის მიმართ ქართველის მზრუნველი დამოკიდებულების ხატოვანი სურათები. ძლიერია ადამიანის ქვეცნობიერი. იღუმალი შეგრძნებების ჩვენთვის უცნობი მექანიზმები უზრუნველყოფენ იმიერ და ამიერი ყოფიერების ხილულ და უხილავი ასპექტების ჰარმონიულ თანაარსებობას.

გარდა იმისა, რომ მოთხრობა სულისშემძვრელი სიუჟეტითაა ხორცშესხმული და აქვს მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულება, ასევე დიდია ნაწარმოების სულიერ-შემეცნებითი ფორმატი და წარმოადგენს მეტაფიზიკური აზროვნების ლიტერატურულ ნიმუშს.

თანამედროვეთათვის სიამაყის განცდაა წარსული, იგი, თავისი ავ-კარგით, ყოფიერების ფუნდამენტია. არსებობის მარადიულ სახეში აწმყოდან დანახული ჩავლილი გზა ერისა უტყუარი სამხილია დღევანდელი ჭირისა თუ ლხინის გასააზრებლად. არსებობის არენაზე იცვლებიან ადამიანები და თავიანთი დადებითი თუ უარყოფითი ცხოვრების წესებით წარუშლელ კვალს უტოვებენ მომავლის აისს.

კრწანისის ომში, უგვან ქართველთა ვერაგულმა ღალატმა, მიწასთან გაასწორა დიდებული მეფე ერეკლეს ნაგმირალი და გატყდა ციხე შიგნიდან. პირისპირ მტერთან და ზურგს უკან მოღალატეებთან გამკლავება გაუჭირდა ურიცხვი მტრის მოგერიებაში ერეკლეს შემოღლეულ ლაშქარს. 21-ე საუკუნის რიჟრაჟზე თინათინ სიყმაშვილი გულის-გულში ხარშავს საუკუნეების გადაღმა წინაპართა ნამუსრევს და იქ, იმ შორეულ წარსულში, არა მხოლოდ პაპის პაპის, პაპის, პაპის... არამედ თავისი, როგორც შთამომავლის, დანაშაულის მარცვალსაც პოულობს, რომელიც დროთა დინებამ გააღვივა და დღეს დაკარგული ტერიტორიების მიზეზთა მიზეზი გახდა.

მწერალი ამ ეპიკურ მოთხრობაში, ერის იმ ნაწილის კრებითი სახეა, რომელიც მწვავედ განიცდის ქვეყნის ბედს და საკუთარ სხეულზე გრძობს ნაკუწებად დანაწევრების მოურჩენელ ტკივილს; თავისივე სხეულით დაატარებს მოუშუშებელ ჭრილობას.

მითოლოგიიდან მოყოლებული, ღალატი ის ფენომენია, რომელსაც ვერაფერი მოუხერხა კაცობრიობის პროგრესულმა აზროვნებამ. ღალატმა დაანგრია იმპერიები. ღალატმა შთანთქა უფლის შვილები. ღალატმა დაასამარა სიმართლე. ღალატმა იყიდა ადამიანის სახე და შეიმოსა კრავის ქურქით. თინათინ სიყმაშვილმა კი, ამ პატარა მოთხრობით, სცადა შერკინება დაუმარცხებელ ურჩხულთან და საღად შეაფასა, პირადი გადასახედიდან, ყოველი ქართველის წვლილი სამშობლოს აწმყოში.

მოთხრობაში აშკარად დაქრის რაღაც უხილავი და ზოგჯერ ფოთოლთა შრიალით, ტოტების რხევითა და წვიმის წვეთების წკაპუნით... ავტორთან ერთად მკითხველსაც მოუხმობს, გადალახოს მისტიკური საზღვრები, გაყვეს „ნიავწანწალას“ და მიმოავლოს გონი გარდასულ და მომავალ დღეთა სამალავებში, რათა სულ-ხორცით შეიგრძნოს, რომ ის, რაც ჩვენთვის მიუწვდომელი, შორი და დაფარულია, ჩვენივე სულისათვის ნათელი და მახლობელია. „ეჰ, მე კი ვყვირი, მაგრამ მგონია, მარტო მე მესმის ჩემი ხმა და ჩემთვის ვყვირი“. ეს საჩივარია ყვე-

ლას მიმართ, ვისაც არ ესმის ამ ყვირილის მიზანი. მარტო დარჩენილი მწერალი ყვირილის ხმასთან ერთად მარტოდ უმკლავდება მოგონებების აჩრდილს და დღევანდლობის ხვედრს.

„კრწანისში, ხობხიანში, ქართლ-კახეთის ბედი გადაწყდა... ყველაფერი ჩემი ბრალი იყო“. ერის დანაშაულის საკუთარ თავზე აღება რაინდობაა და მით უმეტეს, თუკი დანაშაულიდან საუკუნეებია გავლილი. როგორ შეითავსა მწერალმა ქალმა ერის დიდებისა და უკვდავების ძირითადი მახასიათებლები: რაინდობა, ვაჟკაცობა, თავგანწირვა, ძნელია ახსნა, მაგრამ ეს კი ნამდვილად ცხადია, მის ერთ პიროვნებაში გამძლავრდა სული იმათი, რომელთაც თავი გასწირეს და საქართველოს სიცოცხლის საზღვრები გაუხანგრძლივეს.

შიში იმისა, რამე ხომ არ შექმნალა, ან არ შემეშალოსო, სულსა და გულს უფორიაქებს ავტორს. ყველაზე შთაბეჭდავი ის არის, რომ მისი ავტობიოგრაფიულიდან გამჭოლი სხივის ათინათები მონანიე ქართველთა სახეებს მკითხველის თვალსაწიერის სამზერეთიდან ასხივებენ. მწერლის ხელოვნებაც ისაა, რომ წერო ისე, გამოსახო მრავალი. შენი გულისთქმა შეაჩერო და ერისას მისცე შენი მკერდის საბუდარი.

გაცხადებულია მისტიკა. არაფერია საიდუმლო წარსულსა და აწმყოში. „მაშ, როგორ და რანაირადმეთქი“, – ძახილია თანადევნებული ფიქრებად, რომელიც გასაღებად მოერგო ამ შეკითხვის პასუხს და ერის დელო სულთან ავტორმა მისტიკური კავშირი დაამყარა. ასე და ამგვარად, მან მოიარა წარსულის საზვერებები და დაინახა, რომ ერეკლეს ფარ-ხმალი არ დაუყვრია: „იქ კახთა ბატონი მეფისა და ქვეყნის ერთგულებს მოუხმობს“. ერეკლეს ხმა მიღმიეთიდან მწერლის დათუთქულ სულს ამხნევეს და რწმენას უძლიერებს: „საჭურისი ხოჯა ორ-სამ დღეში უნდა აიბარგოს და აქაურობას გაეცალოს. „მხოლოდ მისტიკოსის გონს შეუძლია ჩაწვდეს ამ რეალობას. მწერლის სულიერი ხედვა იმ ეპოქაში ინაცვლებს და მომენტალურად დროის საზღვარი ქრება. მიუხედავად იმისა, რომ მან, როგორც მწერალმა მაშინ მომხდარი უნდა გადმოგვცეს, ავტორი აკეთებს საოცარ და ამავედროულად მოულოდნელ

სვლას, ის გველაპარაკება წარსულის აწმყოდან და წინასწარმეტყველებს მტრის დამარცხებას, მინიშნებულია სიმბოლური დროც. დღევანდელი გადასახედთან ვიცით, რომ ეს ახდა.

„ანაზღად ვიგრძენი, თითქოს ვიღაც მომდევდა, მომძახოდა და მომკიოდა... შშშშენაშენა შენაშშშ...“ ეს კვილი კი მწერლის ყურთასმენას მაშინ მისწვდა, როცა მტკიცედ გადაწყვიტა: „ჰოდა მეც, იქ, ერეკლესთან უნდა ვიყო“. მომავლის ჯერ ქვეყნად მოუვლენელი სული არ უშვებს ხელიდან მომენტს და წარსულის დიდებას ჩაბლაუჭებულ მწერალს თავგამეტებული მოძახილით ჩააგონებს, რომ, სულ მალე, ისიც წარსულის გმირი იქნება და რომ დღეს თვითონაც ის უნდა აკეთოს, რაც ვერ გააკეთა პაპის პაპამ. ხოლო თავდადებულთა ღვაწლი კი შეგნებულად გაიმეოროს: „შენა ხომ ჩემი წინაპარი ხარ, შენა რა გააკეთე, რომ მეც ჩემს მიწაზე ვიდგე და ვიარო“, – მიმართავს მომავლის სული წარსულის ველზე აწმყოს სულს. ამ ეპიზოდთან ერთი რამ დანამდვილებით უნდა ითქვას: აწმყოსთვის, მომავალი წარსულის შვილიშვილია. ამიტომაც ბობოქრობს, გვახსენებს თავს წარსული თავისი ავლადიდებით, გვაფხიზლებს, რომ მის შვილიშვილს ღირსეული პაპის მემკვიდრეობა შეუნახოს და გადასცეს. მშობელი, შვილისათვის პაპასთან მაკავშირებელი რგოლია. ის არ უნდა გაწყდეს.

„შიშმა ამიტანა“ – აცხადებს მწერალი და მე ვინატრებ, ეს შიში გადაძვები ყოფილიყოს თითოეული მკითხველისათვის, რათა გულწრფელად შევივნოთ ჩვენი ვალი წარსულისა და მომავლის წინაშე.

P.S. დროის სამანები უნდა წავშალოთ. ხილულ-უხილავი ერთ სიბრტყეზეა. გონის შუქი ჩავრთოთ და მაშინ, ჩვენი მენსიერებიდან ამოიშლება – იყო, არის და იქნებას – გაგება. ჩვენ შევივრძნობთ დროის მთლიან განზომილებას, რის გამოხატვასაც შევძლებთ ერთი მარტივი სიტყვით – არის, არის და არის. ასეთი შეგნება კი გვიხსნის ღალატისაგან. ის, ვინც შეივნებს, რომ არსებობა მარადისია, იმასაც მიხვდება, თავისი ნამოქმედარი მის შთამომავლებს დახვდებათ – „პაპის დარგულმა ტყემალმა შვილიშვილს მოსჭრა კბილი“.

ბენ ბალაშვილი



* * *

ჩემო ტრფობის კვალო,
 ჩემო სიხარულო,
 სევდის გამქარველო,
 მშვენიერო, ეკა!
 შენთან ერთად მუდამ,
 მეწვის გული ცეცხლით,
 თავზე მახვევია
 ჩიტუნების გუნდი,
 ჩემს გარშემო სურნელს
 შენი თმა რომ აფრქვევს,
 არის გაზაფხული,
 ყვავილების მღელო.
 მესმის ტკბილი ხმა და,
 მუსიკოსის ყური
 იცი, ალბათ, კარგო,
 თუ რარიგად ხარობს,
 თითქოს, პიანინოს
 მისჯდომია ვილაც,
 და უკრავენ შოპენს,
 მერე
 ლისტს და მოცარტს...
 მე კი მესმის შენი
 მოლულუნე ხმა და
 მელანდები,
 როგორც ბოშა ესმერალდა.

* * *

მოვიხსენი ჯვარი, სვასტიკა,
 ნამგალი და ურო.
 მადლობა ღმერთს,
 ისევ ანათემა!
 ირგვლივ ბომონები,
 ლელვის ფოთლები და
 ურიცხვი ნამუსი.
 ისევ ანათემა და
 ფრთაშესხმული დედაო,
 ვხედავო მორმონები,
 მარგინალური ნიშნებით
 აყვავებული „ზალა“ და საწოლი.
 „მე ვხვდები ყველაფერს,
 არაფერს ვამბობ“...

მოვიხსენი თეთრი მედლები,
 ძეწკვები, ბროლის თვლები,
 ძაფები, ფესვები და ღეროები,
 ვთავისუფლდები ყველა კულტივან,
 მადლობა ღმერთს,
 ისევ ანათემა!
 მგონი განათდება,
 ოდესღაც ჭაობის პირას მდგარი ტაძარი
 დედათა სამწყსო,
 ფრთაშესხმული დედების სამწყსო,
 დიდდება მდინარე,
 დედების დიდება!
 მადლობა ღმერთს, ისევ ცოცხალი ვარ...
 მე ვგრძნობ ყველა ჩემს ცოდვას
 შუბლთან და გულმკერდზე,
 ვენასთან და ცისფერ ბაგესთან...
 ვბრაზდები ღმერთზე!
 ვბრაზდები ღმერთზე
 და ისევ ანათემა
 მე ვარ ადამი, არ მყავს ბადალი,
 სად არის ერთი, მაჩვენეთ ევა...
 გაფრინდა ძერა! გაფრინდა ძერა!
 „ის სრულ ჭკუაზე არ იყო,
 თავისთვის ბოდავდა
 და ამიტომ ქვეყნიდან განდევნეს“...
 ეს იყო ექო მთებიდან მოსული.
 მოვიხსენი ჯვარი, სვასტიკა,
 ნამგალი და ურო.
 ჩამოვიშორე ღროებათა ნიშნის საცვალე
 და დავრჩი პირმშო
 მზისა და შენი თვალების წინაშე.

ქუჩაში

როცა შენზე ვფიქრობდი...

წავიდნენ სხვები, ჩვენ კი აქ დავრჩეთ.
მძვინვარებს ქუჩა და ხეებს სცივით...
წავიდნენ სხვები, მათთან რა გვინდა?
ჩვენ ხომ ისედაც ცრემლები გვცვივია,
ჩვენ ხომ ისედაც ფოთლები გვტკივია,
ჩვენ ხომ ისედაც ცალ-ცალკე ვკვდებით...

მზე არ არსებობს, მე მაშინ ვხვდები,
როცა მზის სხივი მინათებს სხეულს...
მზე არ არსებობს, მე მზეზე ვწევარ,
მხრებზე მახურავს მზის სხივი თბილი...

წავიდნენ სხვები, მათთან რა გვინდა?
მობეზრებული ამ ქუჩის ძრწოლას...
მე ვერ ავიტან უშენოდ, კარგო,
გავიძარცვები, როგორც ხე ჭადრის,
გავიძარცვები უშენოდ, მარტო.

წავიდნენ სხვები, მათგან რას ითხოვ,
ჩვენ ხომ ისედაც ვაშინებთ ქრისტეს,
ჩვენ ხომ ისედაც ვუყვარვართ ეშმაკს,
ეს ხალხი ხვდება ამ სიახლოვეს...

წავიდნენ სხვები, ჩვენ კი აქ დავრჩეთ,
მობეზრებული ამ ხალხის ხელში...
მობეზრებული ქუჩების მტკვერში,
მობეზრებული ქუჩების მტკვერში.

ახდენილი პროგნოზი

შენი თმის ზღვაში გავითბე ხელი,
შეშლილი ფოთლების გროვა
თითების თამაში შენს ლამაზ სახეზე.
ამ კვირას აქ თოვლი მოვა.

ყური დაუგდე ჩემს გულის ფეთქვას
და ააყოლე სუნთქვა.
ჩემი სხეული აიტანს ლოდინს,
შენი სხეული აიტანს ლტოლვას,
ამ კვირას კი თოვლი მოვა...

მღერიან სხვები და სიბნელე მაწვება,
ისევ შენს სხეულს ვნატრობ,
სულ ორი წუთია, გავმორდი შენს თმას
ხელები გაყინა ქარმა

მივდივართ, მოგვევება ფოთლების კოლონა,
შეშლილი ფოთლების ლევა
შენ გიყვარს თამაში. ფოთლებზე ბიჯება.
ხელები გაყინა ქარმა.

შენს მკერდზე ვეძებ მე ჩასვენებას,
თუ სხვა სიტყვების დროა.
ჩემი სხეული აიტანს ლოდინს,
შენი სხეული აიტანს ლტოლვას,
ამ კვირას აქ თოვლი მოვა

მე შენს ღაწვებზე თამაში მიყვარს,
თითების შეხება მხოლოდ,
შენი თმის ზღვაში გამითბე ხელი...
ამ კვირას აქ თოვლი მოვა...

ძალღი

ძალღი ეტრფოდა პატრონს,
იყო ქუჩაში მასთან.
ბაღში სინათლე ენთო,
სიბნელე იყო ტბასთან...

ძალღი თამაშით მართობს,
გამიხალისა თვალი,
კულის ქიცინი მისი,
წუთისოფელი არის

წითელი ქვიშის სუნი
და უშენობა მიკბენს,
ძალღივით ვბერავ ფიტლვეებს...
მაგრამ შორსაა მტერი,
გული ქუჩისკენ მიწევს...
ეს ბავშვი ტირილს იწყებს,
გთხოვთ, არ ატიროთ იგი!
კვლავ უშენობა მიწევს,
აღარაფერი კარგი...

ძალღი ეტრფოდა პატრონს,
იყო ქუჩაში მასთან.

ჩუბო (ქეციხნე) ლეში


„ერი, აკაკი და სამყარო“

(ამონარიდი წიგნიდან)

ზოგჯერ საკუთარ და ქართულ ეროვნულ გოლ-გოთაზე ძველთაგადური სიღინჯით უხდებოდა შეწირვითი ასვლა, მაცხოვარივით კაცთმოყვარე ამალღებული სულ-გონებისა და მიმტევებელი, წმინდან-მართალი კაცი გამტანი დაბრძანდებოდა სრულიად საქართველოში, დიდში თუ პატარაში, ამქვეყნიურ, იმქვეყნიურ და ზეციურ საქართველოში არნახული სიყვარულით სიკეთეს თესდა, რითაც მარადიული, მიუწვდომელი, არგაგონილი ხალხისეული პატივი მოიმკო შედეგად! პოეზიის უმშვენიერესი გაუხუნარი გაზაფხული და შემოდგომა ქართული აუწონავი სულის ეროვნული მთლიანობისა.

ქვეყნის კიდიდან კიდემდე, ქართველი ერის მიერ მოციქულთა დონეზე თაყვანსაცემია აკაკი წერეთელი. აქედან გამომდინარე, მშობლიური ხალხის წარმოდგენელი სიყვარული გამოიხატა მგოსნის რაჭაში ისტორიული მოგზაურობისას; ეროვნული დღესასწაული და სულთგება იყო, თურმე გაუგონარ-არნახული, ხოლო განსხვავებული და ძველკოლხური სიყვარულის პეწით შემკული სტუმართმოყვარე სამეგრელოში – სენაკის მაზრაში (ამჟამად სოფელი ძველი სენაკი).

ყველაფერში ეტყობოდა, რომ აკაკი არამიწიერი, ზეციური არსება გახლდათ. მას ზოგჯერ გააბრაზებდნენ ხოლმე სოფლელები და თანამემამულეები და ის ხასიათცვლილებაც წმინდანური იყო. ღრმად დამრიგებლურ-კეთილშობილური, ხშირად ფსიქოლოგიურად უჭირდა კიდევაც, მაცხოვრისა არ იყოს, თავის მშობლიური გარემოში ყოფნა, მაგრამ სამყაროს უსასრულობის და მიწის სახე-მინარსი ვერავის შეუცვლია და ვერც შეცვლის, რადგან მას განაგებს არა კოსმოსური – სამყაროსეული და არც ჩვენი მზის სისტემის ძალა, არამედ სრულიად სხვა უცხო მოვლენა, რომელიც დასაშვებია, ვარსკვლავეთი სივრცის შეუსწავლელი შავი ხვრელიდან სამყაროს იდუმალება მოედინებოდეს, რომლის წინაშე ნებისმიერი პლანეტიდან დაწყებული ყველა-ყოველივე უძლურია და უსუსური. რა თქმა უნდა, ეს უსასრულობა მხოლოდ უფლის კონტროლს ექვემდებარება. არაა გამორიცხული,



აკაკის ზემადგინტურ სხივთ მიმღებ სხეულებამდეც აღწევდა ის მიუწვდომელი სამყაროსეული სტიქის ელექტრომაგნიტური ხაზები უცხო ფერისა, რომლის მეოხებითაც იწერებოდა არამიწიერი და ჰაერივით გამჭვირვალე ზეცის სწვიჩაღვრილი უცნაური შედეგები...

მიხან ფაციანი

რეზო ადამიას

მოდის, ოსტატო, შექმენ ნათელი, დიდების კვარცხლბეკს ზურგი აქციე, უფალს აუნთე მრავლად სანთელი, ყურს ნუ დაუგდებ ბინძურ მაქციებს. ხატე სამშობლო ფეერიული, ხატე მზე ქვაბში, ვით მოხარშული, უმისამართო ძაღლებიც ხატე და ქრისტეც ხატე ჯვარზე გაკრული. მოდი, ოსტატო, ხატე თვალები, გაუხუნარი პეიზაჟები, სამეგრელოში – თოვლში ჯარგვალი, ერთურთს მიფსკენილი ოდა სახლები. ხატე პარიზი – მზის ჩასვლის დროა – გრანდ-დამამ მხარზე მოისხა ბოა. გული დაიცხრე, ნუ ააღდები, რომ გიღიმიან ესმერაღდები. ფუნჯზე დაისვი ეს მღვრიე სენა, დაღლილი მტკვარი რომ გაგასხენა და მოიტაცე მზე ცის თაღიდან, ჩამოგვირიგე ჯადო-ფერებად, დრო დაიწყება ისევ თავიდან, მოვა და ჩუმიდ მოგვეფერება...



იავნანა

იავ ნანა, ვარლო ნანა,
 ნენანა და ნაია,
 შენ მოგძახის შორეული
 კოლხეთი და აია.
 შენ დაგყურებს ქართლის ზეცა
 მუდამ სიბრძნის მთოველი,
 ავი თვალისგან დაგიცავს
 წმინდა სვეტიცხოველი.
 დაიძინე, მშვიდი ძილით,
 ნაია და ნენანა,
 საქართველო არის შენი
 მშობლიური ქვეყანა.
 გაიზრდები და გახდები
 ბევრის მომსწრე-მნახველი,
 დე, გქონოდეს წუთისოფლად
 ყოფა დაუძრახველი.

როცა ცისკრის ზარი რეკავს,
 სულში მუდამ დარია,
 ქართლი შენი წილხვედრია,
 ღვთისმშობელო მარიამ.

ყველა მტერი და მოშურნე
 გულზე სკდება ჯავრითა,
 მონათლა იბერია
 ნინო-წმინდას ჯვართა.

მიუყვებით მზისკენ ბილიკს
 წინაპართა გათელილს,
 დიდმოწამე ქათევანის
 თავზე გვადგას ნათელი.

ვინაც მტრულად შემოვიდა,
 ჰპოვა ბნელი სამარე.
 წინ მიგვიძღვის მანათობლად
 სიბრძნე დიდი თამარის.

აქ სიკეთე ილიმება
 სზივჩამდგარი თვალებით,
 საქართველო ქვეყანა
 მადლმოსილი ქალების.

ჭრილობათა გამრთელების
 ჟამიც გაგვითენდება,
 ქალთა ბჭობას ღმერთი ისმენს,
 ვით ლოცვას და ვედრებას.

საქართველო

ათას მომხდურთან იბრძოდი ერთი,
 მტერს მუდამ თვალი ეჭირა შენზე,
 მაგრამ გიცავდა მაღალი ღმერთი
 და მისი მაღლით მოსულხარ დღემდე.

შენს შვილს ცალ ხელში ეჭირა ხმალი,
 მეორე ხელით მართავდა გუთანს,
 არ დაუკარგავს იმედი ხვალის
 და სხვისი ჭირიც მიჰქონდა გულთან.

სტუმართან იყო გულუხვი მუდამ,
 ღვინო გრაალის თასიდან შესვა,
 მოყვასისათვის სიკეთე სურდა,
 მაცხოვრის ჯვართი ებრძოდა ეშმას.

ჰე, საქართველოვ, რჩეულო ღვთისა,
 სიკეთის ტვირთი ვერასდროს დაგვლის,
 მე საიდუმლო ბიბლიის ვიცან:
 ალბათ შენ გერქვა ედემის ბალი.

ზოგჯერ შენს ზეცას ჯანლი ფარავდა,
 ზოგჯერ კი ღმერთი ნათელს გზავნიდა,
 აქ დიონისემ გაიარა და,
 ნინოც მოვიდა ვაზის ჯვართა.

ნუ შეგაშინებს ჯვარცმის მაღლობი,
 ვნებებისაგან გული დამალე,
 მეგულებოდე არა ლაღობის,
 არამედ დახსნილ სულთა სავანედ.

ბიოხბი სახაიშვილი



* * *

ახლა სულ სხვა წამია, ზეცა მსგავსი ბაზალტის..
ახლა მხოლოდ არ სძინავთ

პოეტებს და მეძავეებს
და იწყება სიკვდილი და ბავშვური აზარტი
და წამები სიწყნარეს ფანჯრებივით ლეწავენ...
რა ვქნათ, ჩემო იარაღ, გადადუღდნენ ყანწები,
გზაში არის მეეტლე ჩამოივლის, მგონია,
მერე ვნებით გაღეშილ ზეცის ფსკერზე დავწვები
და ვარდების მაგივრად ვენოსავ მელანქოლიას..
როცა ასე ახლოა ახლა, ძმაო, ვერიტა,
როცა ასე ირევა ყველაფერი ზღვასავით,
მერე უფრო რთულია გამორიყო ფსკერიდან,
ტკივილის და ღუმილის სისხლისფერი ნაზავი.
ვდგავარ, როგორც ღერვიში მიუსაფარ კარავის,
ტვინში ისევ ჭყლეტაა, ტვინში ისევ ომია,
გავყვირი და მწვერვალებს

ცივი ცრემლით ფარავენ
და სუყველა სტრიქონი ახლა პალინდრომია...
ჰო, მე მოვკვდი... არ ვიცი, ალბათ ასე კვდებიან,
ვინც სიცოცხლე იწამა, ვინც სიკვდილი დალია,
ახლა შენი თვალები თითქოს კელაპტრებია
და ზღვაც ისე ხმაურობს, თითქოს ამორძალია...
ახლა მთვარე ღრუბლებთან

კეკლუცობს და არაკობს,
ახლა ღვიძავთ პოეტებს

და საერთოდ... ვის?... როგორ?...
მინდა ჩემი სხეული შენით მოვიმარაგო,
მინდა შენი სხეული ჩემთვის გამოვიზოგო...
ახლა სულ სხვა წამია,

ზეცა, როგორც ბაზალტი...
და პოეტებს არ სძინავთ... დაეძინათ მეძავეებს
და მთავრდება სიკვდილი და ბავშვური აზარტი
და წამები სიწყნარეს ფანჯრებივით ლეწავენ...

* * *

კაბა, რომელიც
კივის და კიბის
საფეხურებზე ცვივა.
წითელი კაბა
კოცნის მოაჯირს
და კვამლი ასდის ფერდობს.
მტკივა სამყაროს
მთელი აკორდით
თან ვკანკალებ და მწკრივად...
ვფიქრობ ამ კაბას
თუ ვერცხლის მკლავებს,
არ ვიცი, რომელს ვენდო..
და კვიპაროსზე კიაფობს კენტად
ჩიტი ჩემს გულზე ნაზი,
კამკამებს ზეცა
კელაპტრის მსგავსად
და კბოდეებზე ტოკავს,
შენი მკლავების თეთრი სინაზის
ორი ფერმკრთალი ხაზი,
და მახსენდება კაფკა,
კამიუ, მთვრალი ბლოკი და ლორკა..
შეახმა ზამთარს კამელიებად
გამოკვეთილი კიდე,
კაცობრიობას ჯერ არ უნახავს
კუბო კვადრატის მსგავსი
ეს ჩემი კოლბა, ჩემი კაფია
და ჩემი სული კიდეც,
როცა ერთდება და კვადრატდება
და მოღლილ სხეულს ავსებს...
მაკმარე, რაც კი შენს ლამაზ თვალებს
აქამდე რაც კი ვენდე,
ოჰ, შენი კაბა როგორ ედება
კიბეს, მოაჯირმოცლილს..
მე ვკვდები ახლა და არ მაკვირვებს,
რაც მაკვირვებდა ღღემდე.
ვკვდები და ჩემო უკანასკნელად,
უკანასკნელად გკოცნი...

* * *

ო, როგორ თოვდა,
 ფიფქები თეთრი
 ხეებს ხალათებს
 როგორ აქსოვდა.
 და მაინც უფრო,
 ყველაზე მეტად
 მე შენი სახე
 დამამახსოვრდა...
 როგორ გათოვდა
 და როგორ თრთოდი,
 როგორ მეწვოდა
 სულზე იარა..
 რომ გადნებოდა
 ტუჩებზე თოვლი
 იმ თოვლმა როგორ
 მაეჭვიანა...
 და ნელდებოდა
 ზამთრის სტანსები,
 და ხმაურობდა
 ტოტების ტაში..
 და მეც ნამდვილად,
 მთელი არსებით,
 მთელი არსებით
 მიყვარდი მაშინ...

* * *

დილა მოდის ექთნის თეთრი ხალათით,
 ცივი ორთქლი მოღლილ ფილტვებს აციებს,
 და იწყება დამთრგუნველი კამათი,
 რად არ სძინავს ღამენათევ პაციენტს?!
 ჩუმი ექო ყრუ კედლებთან ხროტიანებს,
 თითქოს ხმებმა ოთახს ზურგი აქციეს,
 და ექთანი კვლავ ჩურჩულებს – მოტივი,
 რად არ სძინავს ასე მძიმე პაციენტს?!
 ეკითხება თავის თავს და თავისით
 იშველიებს უცხო ვარაიაციებს,
 ჰიპოკრატეს ფიცით სწუხს და განიცდის,
 რად არ სძინავს ასე მძიმე პაციენტს...
 მზეც ამოდის პროფესორის მანტიით,
 დახრილ სხივთა მწველზე მწველი რელსებით,
 „დიაგნოზი, – ამბობს, – გახლავთ მარტივი,
 საწყალს სისხლში აღმოაჩნდა – ლექსები“...

* * *

გულში უშენობა ბორგავს,
 ტკივილს ყველა ნერვი მიაქვს
 როგორც ტიცინანს და ლორკას,
 ისე მელოდება ტყვია...
 ფიქრით ახდენილი სიზმრის
 ვხედავ აალებულ წადილს,
 ახლა ყელამდეა სისხლი,
 გულით გეუბნები – წადი...
 შემრჩა ლოდინი და ბრონტე,
 თავის ქარიშხლით და მთებით,
 მე და ამორძალი ლონდა
 მთელი სიძულვილით ვთბებით,
 რადგან სიკვდილია, მგონი,
 ჩემი საბოლოო გეზი,
 ჭადრებს დაუკარგავთ გონი
 ზამთრის გაბრწყინებულ მზეზე,
 უნდა მოვერიო კენტავრს,
 უნდა დავამარცხო როში,
 რადგან ტყუილია კენტად
 ფიქრით ახდენილი სიზმრის
 ვხედავ აალებულ წადილს,
 ახლა ყელამდეა სისხლი
 გულით გეუბნები – წადი...

* * *

ჰო, ასე უბრალოდ და ასე მარტივად,
 მარტსავით ვლელავ და ვიმტვრევი ტოტივით,
 გტოვებ და ტირილით ტანიდან გავდივარ?
 და მიმაქვს ტკივილის ცისფერი მოტივი...
 დეკემბერს ქალივით სცივა და ცახცახებს,
 თვალებში ტბებია და გულში ისრები,
 ცრემლებად ვიწურავ ლისებს და კარწახებს,
 მაგ ლურჯი თვალების ელვარე ნისლებით...
 გამშორდი, არ გინდა... არ გინდა... დამინდე,
 გედები, ვალსი და ვერანდის ვარდები,
 და როგორც ტურისტი, ვერვევი ამინდებს,
 და როგორც პოეტი – სიყვარულს ვბარდები..
 ვბერდები, უდროოდ, ჭალარის გარეშე,
 მინდიხარ, ვდარდობ და კიდევს ვედები,
 ახლოა ტკივილის უგრძნობი თარეში,
 ახლოა პარნასის ცისფერი ხედები...
 ჰო, ასე უბრალოდ და ასე მარტივად,
 მარტსავით ვლელავ და ვიმტვრევი ტოტივით,
 გტოვებ და ტირილით ტანიდან გავდივარ?
 და მიმაქვს ტკივილის ცისფერი მოტივი...

* * *

მიყუფდა ღამე ღია ფანჯრიდან,
და მთვარე შთანთქა ღრუბლის მორევმა.
და იმ საღამოს ბევრჯერ დამჭირდა
შენი სახელის გამეორება..
და ინთებოდა ლურჯად მორევი,
ზეცაზე თხზავდა კალმით ზეფირებს
და მე იქამდე გიმეორებდი,
სანამდე სულ არ დავიზებირე

* * *

გარშემო ისევ მტრები არიან,
და გზას მინათებს ბნელში ეოსი...
ეს ზეცა თითქოს შენი ტანია,
ლექსი კი – შენი აპოთეოზი...
აკანკალებენ გამარცხულ მკლავებს,
ხეები, დაღლილ კაცებს რომ გვანან...
და ახლაც ისევ უღმერთოდ მკლავენ,
და კვლავ კაენის ელვარებს დანა...
არ მოგშორდები, არ მოგშორდები,
დე, ჩემი გზებიც იყოს განივი...
მოვალ და ვიცი გავიმოლტები,
ჯვარზე გაკრული მაცხოვარივით...
თუ ამ სამყაროს ყელზე ვეკვები,
ჰა, ღმერთო.... ჩემი სული ინებე..
მოვალ და ვიცი ჩემი ლექსები,
შენს ღამაზე თვალებს აატირებენ..
გარშემო ისევ მტრები არიან,
და გზას მინათებს ბნელში ეოსი..
ეს ზეცა თითქოს შენი ტანია,
ლექსი კი – შენი აპოთეოზი...

* * *

სიმშვიდე მინდა და არ მჭირდება
მახარებს სხივთა მწველი თარეში,
მხოლოდ ულექსოდ გამიჭირდება,
გამიჭირდება ლექსის გარეშე..
იხრება ციდან ღრუბლის მტევანი,
და კლდეზე ტოვებს წვიმის ნაბიჯებს.
და თუ თქვენს შორის დგას არჩევანი,
მე, რა თქმა უნდა, ლექსებს ავირჩევ...

* * *

ამ დიდი მხრებით უნდა ვათრიო,
ჯვარი, რომელიც სხვებმაც ათრიეს.
შენ, ჩემო ღმერთო, რომც მაპატიო,
მე ჩემს თავს მაინც არ ვაპატიებ...
არ ვაპატიებ ამ სულელ ლექსებს,
რომ გამარიდეს ქარსა და წვიმას..
ასე დავდივარ ეკლიან გზებზე,
და ჩემი წილი ჯვარცმები მიმაქვს..

* * *

ჩემგან – ტერენტის

ნოემბერი და ფოთლების აგონია
ანგელოზი ფრთებით ფორთხავს ფილაქანზე,
ახლა ქარი თითქოს თეთრი ვაგონია
და მკვდარ ფოთლებს სამარისკენ მიაქანებს..
წალენჯიხის თეთრ სამრეკლოს ნისლი ფარავს,
და ღაზარე აისივით ახელს თვალებს,
კოლხეთიდან წუხელ სევდა გაიპარა
და ლანდივით დიდუბეში დაწანწალებს..
გულზე სისხლი, როგორც წყარო, ისე მოდის
ეხეთქება მწარე სისხლი დაღლილ მაჯებს.
შენ ყოველ წამს მხოლოდ სიკვდილს მოელოდი,
და სიკვდილზე ღმერთკაცივით გაიმარჯვე..
სევდა იწვევს მიწიდან და ღრუბლებს სერავს,
თვალს კვლავ ცრემლი და
გულიდან სისხლი მოსდის
გაშლის ფრთებს და ზეცისაკენ აღმაცერად
მიქრის სული პოეტის და ანგელოზის..
ნოემბერი და ფოთლების აგონია,
ფრთები უკვე აღარ ფორთხავს ფილაქანზე,
თუმცა ქარი ისევ თეთრი ვაგონია
და მკვდარ ფოთლებს სამარისკენ მიაქანებს..

* * *

დღეს ჩემი ცივი, დაღლილი ხელი,
შენს გაბრწყინებულ მხრებზე ვარდება.
შენ გამიხარდი და იმის მერე,
შენ გარდა ვერვინ გამიხარდება...
ბალი ინახავს ჭლექიან ფერებს,
ბალი დაცალეს ცივმა მარტებმა.
შენ დამემართე და იმის მერე,
ალბათ სხვა ვერავინ დამემართება..

„დაქსაქსული ქართველობა ქარიშხლით ატაცებული ფოთოლივით მიჰყვება ისტორიის დინებას“...

ჟურნალ „ანეულის“ სტუმარია კახი სახლთუხუცესი

კახი სახლთუხუცესი დაიბადა 1973 წელს ქალაქ თბილისში.

მეორე ექსპერიმენტული სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

1995 წელს ჩაირიცხა ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურაში.

1999 წელს სამეცნიერო კვლევა განაგრძო ნიდერლანდებში, უტრეხტის უნივერსიტეტში.

ამჟამად ცხოვრობს და მოღვაწეობს ესპანეთში. ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი.



– თქვენი და რუსუდან იოსელიანის ავტორობით გამოიცა „ინგლისურ-ქართულ-სვანური სასაუბრო“. როდის დაიწყეთ მუშაობა სასაუბროზე და რა არის მისი მიზანი? რატომ მაინცდამაინც სვანური?

– რუსუდანს და მე სასაუბროს იდეა საკმაო ხნის წინ გაგვიჩნდა და მისი განხორციელება საბოლოოდ შარშან მოვახერხეთ. სვანური არქაული ქართველური ენაა, რომელიც დღეს, სამწუხაროდ, გაქრობის პირასაა. ჩვენი ნაშრომი მოკრძალებული წვლილია მისი გადარჩენისა და პოპულარიზაციისთვის და მის მკითხველად მოიაზრებიან როგორც უცხოელი ტურისტები, ისე ქართველი საზოგადოება.

– რატომ აირჩიეთ ფილოლოგობა და, კერძოდ, ენათმეცნიერის პროფესია, ამაში ოჯახმა ზომ არ შეასრულა გარკვეული როლი? (დედა – ლეილა ქიტოშვილი – ფილოლოგი, მწერალი; მამა – უმანგ სახლთუხუცესი – ცნობილი მეცნიერი ონომასტიკოსი, ლატვიელ კლასიკოსთა მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე).

– მშობლების როლი ჩემს პროფესიულ არჩევანში, მართლაც, გამსაზღვრელი აღმოჩნდა. კითხვა სამი წლის ასაკში მასწავლეს და პრაქტიკულად, მას შემდეგ წიგნი ჩემი განუყრელი მეგობარია,

ამას ბუნებრივად მოჰყვა ტექსტების ანალიზის, ეტიმოლოგიებისა და სხვადასხვა ენის შესწავლისადმი სწრაფვა, რაც საბოლოოდ ფილოლოგიის, სემანტიკისა და ენის ფილოსოფიის სამეცნიერო დისციპლინების შესწავლით დაგვირგვინდა. თუმცა მათემატიკა და ასტრონომიაც გამორჩეულად მიყვარდა და ერთი პირობა ასტროფიზიკოსობაზე სერიოზულად ვფიქრობდი.

– თქვენ საკმაოდ საინტერესო ლიტერატურული წერილების ავტორი ხართ. თავის დროზე 16-17 წლისამ მეცნიერებათა აკადემიის სიგელიც კი მიიღეთ მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების“ ახლებური განხილვისთვის... ამ ნაშრომში წერთ: „თეიმურაზის ბედოვლათობის ნაყოფს ახლაც მწარედ ვიმკით. ქართველობას უძველესი მიწა, კულტურა და შემოკვერცხილი მიწაღა შერჩა. თუმცა ეს ქონაც უფრო მოჩვენებითი იყო. ფარისევლურად შემოკვლავებული ჯოჯოხეთური ძალები, ფარულად თუ აშკარად, იტაცებდნენ და ანადგურებდნენ სულიერ და მატერიალურ სიმდიდრეს“...

ახლა, ახლებური გადასახელიდან რას იტყვით? – ამ წერილის გამოქვეყნებიდან სულ მალე დაიწყო სამოქალაქო ომი, რასაც რუსეთის მიერ საქართველოს ძირძველი მიწების ანექსია მოჰყვა

და მეოთხედი საუკუნის შემდეგ სიმწრით მიწევს აღნიშვნა, რომ არსებითად არაფერი შეცვლილა; დაქსაქსული ქართველობა ქარიშხლით ატაცებული ფოთოლივით მიჰყვება ისტორიის დინებას. ეროვნული იდეის არქონა, დღიური ლუკმა-პურის შოვნაზე ზრუნვა, „ტოქმოუებითა“ და სერიალებით არასასურველი რეალობისგან გაქცევის მცდელობა, ტრადიციული გულარხეინობა და ირაციონალურობა ერს არ აძლევს საშუალებას, გაიაზროს ქვეყნის საგანგაშო და სავალალო მდგომარეობა, რომელიც ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების ფონზე საქართველოს ეგზისტენციალურ საფრთხეს უქმნის.

– ამერიკული პროექტის Family tree DNA-ს ქართული გენეტიკური პროექტის თანაადმინისტრატორი ხართ. ერთი წლის წინ ჟურნალ „თბილისელებში“ გამოქვეყნდა თქვენთან ინტერვიუ: „რა გენეტიკური კავშირებია ქართველებსა და ჩრდილო კავკასიელებს შორის, რატომ არის უნიკალური ბაგრატიონების ჰაპლოჯგუფი და რომელი ხალხების სინთეზის შედეგად ჩამოყალიბდა რუსიერი“. ამ ინტერვიუში საინტერესოდ საუბრობთ თქვენს პროექტზე, რომ უკვე დნმ-ს ანალიზით გამოიკვლევენ ადამიანის წარმომავლობას ათეულ ათასობით წლის წინ.

რას გვეტყვით ამ პროექტზე, რამდენად არიან ჩართულნი ქართველები კვლევაში და საინტერესოა, ვისი შთამომავლები არიან ქართველები, რომელია ქართველებისთვის დამახასიათებელი ძირითადი ჰაპლოჯგუფები?

– პროექტის მონაცემთა ბაზა ამ ეტაპზე პრაქტიკულად საქართველოს ყველა კუთხის სამასამდე წარმომადგენლის გენეტიკური ანალიზის შედეგს მოიცავს. სხვა ქვეყნებთან შედარებით ეს ზღვაში წვეთია, მაგრამ აღსანიშნავია, რომ პროექტის მესვეურთა აქტიურობით საზოგადოებაში ინტერესი ყოველწლიურად იზრდება. ბუნებრივია, რაც მეტია მონაცემი, მით უფრო სრულყოფილი იქნება ჩვენი ერის ეთნოგენეზის საერთო სურათი.

ძველი ნაშთების გენეტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ქართველობა კავკასიაში მოსახლე უძველესი პოპულაციების მემკვიდრეა. მეტსაც გეტყვით, ამ კვლევის შედეგების დღევანდელი ქართველების მონაცემებთან შედარებით გაირკვა, რომ მრავალი მათგანი მამისეული და დედისეული ხაზებით 7-12 ათასი წლის წინ მცხოვრები არქაული კავკასიელების პირდაპირი შთამომავალია.

სავარაუდოდ, ჩვენში ჩანს სკვითების და

ელნიების გენეტიკური კვალიც, მაგრამ საბოლოოდ ამ საკითხს ძველი ნაშთების დნმ ანალიზი გაარკვევს, რომლის შედეგსაც ახლო მომავალში ველით.

ტესტირებულ ქართველებს, ძირითადად, შემდეგი ჰაპლოჯგუფები ახასიათებთ: G2a1a1a, G2a2b, J2a*, J2a3b, J1*, I2c, L1b, R1b1a2, R1a1, E1b1b1a1.

– „საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი გვარია ბაგრატიონების ჰაპლოჯგუფი. ბაგრატიონები შეადგენენ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე არქაულ შტოს და მათი ნათესავი მსოფლიოში ჯერჯერობით არაფერია ჩანს“... – ამბობთ თქვენ.

არადა, სომხებს რას ეტყობით, ყველაფერს რომ იჩემებენ, ბაგრატიონებს არანაირი კავშირი არ აქვთ სომხებთან?

– ბაგრატიონებს იშვიათი ჰაპლოჯგუფის არქაული ქვეჯგუფი აღმოაჩნდათ – Q1a3*, რომელიც ჩვენს რეგიონში მხოლოდ მათ აქვთ (ტესტირებული ქართველებიდან, სომხებიდან თუ ოსებიდან მსგავსი ჰაპლოჯგუფის მქონე ჯერ კიდევ არაფერი გამოჩენილა) და მონაცემთა საერთაშორისო ბაზაშიც უახლოესი „ნათესავებისგან“ მრავალი ათასი წელი ამორებით.

უნდა აღინიშნოს, რომ სომეხი ბაგრატუნებიც, მათივე ისტორიული წყაროების მიხედვით, ირანული წარმომავლობის უნდა ყოფილიყვნენ.

– საინტერესოა, ამდენი დამპყრობლის თავდასხმა გადავიტანეთ – არაბების, სპარსების, თურქების, მონღოლების... რატომ არ ჩანს მათი კვალი?

– ძნელი სათქმელია, მაგრამ ალბათ ამის საფუძველი ძველი ქართველების პიროვნულ თვისებებში უნდა ვეძიოთ, ნამუხის სიწმინდის შებღალვისას თავს რომ არ იცოცხლდებდნენ ხოლმე. არსებობს გარკვეული ბიოლოგიური მომენტებიც.

– საბრძოლო ხელოვნებით ხართ გატაცებული და კემპო-კარატეს ეუფლებით, დიდი წარმატებითაც... რატომ მაინცდამაინც კემპო კარატე? და მეორე – ერთ ადრინდელ ინტერვიუში წერთ: „კარატე და სხვა საბრძოლო ხელოვნებები სპორტი არ არის, სპორტის არსია შეჯიბრება, საბრძოლო ხელოვნებისა კი – მოწინააღმდეგის განადგურების სწრაფი და ეფექტური ხერხებისა და მეთოდების დაუფლება“... აქვე სოკრატეს მაგალითი მოგყავთ, როცა ათენს სჭირდებოდა, იღებდა ფარ-შუბს და ლაშქარს უერთდებოდა... როგორ ფიქრობთ, რამდენად არის დღეს ქართველებში ეს ფსიქოლოგია, მეომრული, მებრძოლი სული, რასაც გულისხმობთ თქვენ?

– ბოლო წლებია „კრავ მაგასა“ და შერეულ

ორთაბრძოლებში დავიწყე ვარჯიში, თუმცა, რა თქმა უნდა, კემპო-კარატესაც არ ვივიწყებ. ამ სისტემამ თავის დროზე დასავლური და აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნებების სინთეზითა და გამოყენების ეფექტურობით მიიქცია ჩემი ყურადღება. ჩემი ჰოლანდიელი სენსეი, ჰანს ჰასელმანი, კემპო კარატის დამფუძნებელ ედ პარკერის უშუალო შეგირდი იყო და აქედან გამომდინარე, მის მოწაფეებსაც საშუალება მოგვეცა, კემპოს არსს პირველწყაროდან გავცნობოდით.

ვფიქრობ, ყველაფრის მიუხედავად, გმირული სული დღევანდელ ქართველობაში მაინც ღვივის. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მრისხანე დღეებში მრავალი რიგითი მებრძოლის თავგანწირვა და შეუდრეკელობა ამის ნათელი მაგალითია.

ასევე უნდა აღინიშნოს ხრიდოლის, შავფაროსნების, აისისა და გენერალ მაზნიაშვილის სახელობის ახალგაზრდული ლეგიონის მესვეურების და წევრების თავდაუზოგავი შრომა ქართული მემორული სულისკვეთებისა და საბრძოლო ტრადიციების აღორძინების საშურ საქმეში, რასაც დიდი სიხარულით ვადევნებ თვალს.

– **კატალონიაში ცხოვრობთ... ახალი თაობა წიგნს კითხულობს?... საქართველოში წიგნის კითხვას თავს ანებებენ, ევროპაში კი, ამბობენ, რომ პირიქით – უბრუნდებიან წიგნს... მართლა ასეა?**

– ესპანელები და კონკრეტულად კატალონიელები წიგნის მოყვარული ხალხია, ტრანსპორტსა თუ კაფეებში ხშირად დაინახავთ კითხვაში ჩაფლულ ადგილობრივებს. კითხულობენ როგორც ტრადიციულ ფორმატში, ასევე ელექტრონულად. ახალი თაობაც საკმაოდ აქტიურობს ამ მხრივ. სხვათა შორის, კატალონიაში, აქაურ გიორგობაზე, ტრადიციულად ქალები წიგნს ჩუქნიან კაცებს.

– **თქვენი აზრით, თანამედროვე ესპანურ ლიტერატურაში რა ტენდენციებია? ამას წინათ, ერთ-ერთ ინტერვიუში პოეტმა ნინო ქუთათელაძემ მითხრა: „თანამედროვე საზოგადოებას უტილიტარული, მომხმარებლური დამოკიდებულება გაუჩნდა სამშობლოს მიმართაც კი და ლექსი რაში უნდა მოიხმარო, მათი გაგებით, რა თქმა უნდა. თუ ლექსი არ დამასახლებს, სარგებელს არ მომიტანს, რატომ წავიკითხო, აი, თანამედროვეთა ფსიქოლოგია. რასაც ყოველი მეორე წერს საქართველოში, თქვენ გგონიათ ლექსია? ეს სიტყვების გროვაა და ამ სიტყვათა საერთო რაოდენობა 100-ს იშვიათად სცდება. ჩვენში ამ თვალსაზრისით, მაინც უკეთესი სიტუაციაა, ვიდრე დღევანდელ ევროპაში. გოეთესა**

და ჰაინეს ქვეყანაში თითქმის აღარ იწერება ლექსი. ეს ტრაგედიაა! და იცით, რატომ? ადამიანები აღარ განიცდიან კათარზისს, ცრემლი მხოლოდ ფიზიკური ტკივილისას თუ მოადგებათ თვალზე... პოეზია კი კათარზისის სათავეა“!..

უჭირს თუ არა პოეზიას ესპანეთში?

– მოგეხსენებათ, ესპანეთს უძლიერესი სალიტერატურო ტრადიცია გააჩნია და ლიტერატურული ცხოვრება დღესაც შეიძლება ითქვას, რომ დულს, ტარდება მრავალრიცხოვანი კონკურსები საუკეთესო ნაწარმოებების გამოსავლენად, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი „პლანეტა“, „ნადალის“ და „პრიმავერას“ პრიზებია. ჟანრებიდან ნეორეალიზმი და ექსპერიმენტული პროზა სჭარბობს.

ესპანელთა ექსპრესიული ბუნება პოეზიაშიც პოულობს გამოვლინებას. რამდენიმე ათეული მაღალი დონის თანამედროვე პოეტის არსებობა მოწმობს, რომ ჯერჯერობით ესპანეთში პოეზიას არ უჭირს. მათგან გამოვყოფდი: გაბრიელ სელაიას, კარმენ კონდეს, ანა მარია ფაგუნდოს, ანხელ გონსალესს და ა.შ.

– **თქვენს ლიტერატურულ ნაშრომში „გრიგოლ ხანძთელი – ზეცისა კაცი და ქვეყნისა ანგელოზი“ გაანალიზებულია, როგორ უნდა განმტკიცებულიყო ქართველობა მართლმადიდებლობაში... მთელი საქართველო უნდა გარდაქმნილიყო უფლის ტაძრად, ქართველები – უფლის მხედრობად... კლარჯეთის უდაბნო კი ალთქმული ქვეყანა იყო, საიდანაც ნათელი ეფინებოდა სრულიად საქართველოს. უფლის მხედრობად გარდაქმნილ ქართველობას სათავეში ხანძთელი ბერ-მონაზვნობა ედგა...**

თუ გაავლებთ პარალელს მაშინდელ და დღევანდელ საქართველოს შორის? რამდენად მნიშვნელოვანია ქართველისთვის მართლმადიდებლური სარწმუნოება?

– შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სამშობლო დღეს გაცილებით დიდი სულიერი თუ მატერიალური განსაცდელის წინაშე დგას. გრიგოლ ხანძთელის ქართველობას ჩვენგან განსხვავებით არ ჰქონდა გამოვლილი ორასწლოვანი სულიერი შიმშილი ეგზარქოსებისა და საბჭოთა მმართველობის სახით და მათი რწმენაც უფრო მტკიცე, ხალასი და პირველწყაროსთან ახლოს მდგომი იყო.

საერთოდ, ქრისტიანობა თავისი არსით უნივერსალური და ტრანსცენდენტული რელიგიაა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი რეალიების მიღმაა. თუმცა, ბოლო ათას ხუთასი წელია, ის ჩვენი ეროვნული თვითიდენტიფიკაციის ერთ-ერთ

განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა.

– 1997 წელს, 57-ე სამეცნიერო სესიაზე, რომელიც მეცნიერებათა აკადემიამ და ენათმეცნიერების ინსტიტუტმა ჩაატარა, თქვენ წაიკითხეთ მოხსენება: „ქართულ ფეოდალურ გვარ-სახელთა ფუძეების, წარმოშობის და კლასიფიკაციის ზოგიერთი საკითხისთვის“. როდის და რატომ დაინტერესდით ამ საკითხებით?

– ჩემი წარმომავლობა და პროფესია ბუნებრივად გადაიკვეთა ამ მოხსენებაზე მუშაობისას. 1991 წლიდან ბატონ იური ჩიქოვანის ხელმძღვანელობით ვიკვლევდი საქართველოს ფეოდალური გვარების გენეალოგიას. დაგროვილი მასალა განდა მოხსენების საფუძველი. ახლა ეს კვლევა გენეტიკური გენეალოგიის ჭრილში გრძელდება.

– თქვენ გარკვეული დრო შევედეთში, ჰოლანდიაში, ახლა უკვე ესპანეთში ცხოვრობთ. ბავშვობიდან თქვენთვის ახლობელია ბალტიის ქვეყნები. თქვენი აზრით, რა არის ის დადებითი, რომელიც უნდა გადმოვიღოთ და რომელსაც უნდა გავუწიოთ პოპულარობა ჩვენთან, რადგან, როგორც დრო გვიჩვენა, თუ რაიმე ცუდი ხდება ჩვენ გარშემო, ყველაფერს ევროპას ვაბრალებთ. მანდაური გადმოსახედიდან, რამდენად საშიშია ჩვენთვის გლობალიზაცია?

– ჩემი აზრით, დამოუკიდებლობა და საკუთარ ქმედებაზე პასუხისმგებლობის აღება იქნებოდა, პირველ რიგში, და სასწრაფოდ დასანერგი. სამწუხაროდ, ინფანტილიზმი, კარგისა და ცუდის გარეშე ფაქტორებზე გადაბრალება, მოჩვენებითობა უკურნებელ სენად ჩამოგვიყალიბდა.

მართალი გითხრათ, ევროპის ჩვენთან ბოლო დროს ფენომოკიდებული კრიტიკა ცოტა გროტესკული ჩანს, კრიტიკოსთა დიდი უმრავლესობა არაა ნამყოფი ევროპაში, არ იცნობს ევროპის ისტორიას, ლიტერატურას და ხელოვნებას და ეს შეხედულება უმთავრესად პროპაგანდისტული მედიასაშუალებების გამოიხსობით ჩამოუყალიბდა.

ამასთან ერთად, უნდა აღვნიშნო, რომ გლობალიზაცია და დასავლეთში ბოლო ათწლეულებში გაბატონებული კულტურული მარქსიზმის ნარატივი, რა თქმა უნდა, ეროვნული თვითმყოფადობისთვის დიდი საფრთხის შემცველია და იმავე ევროპაში მრავალი ადამიანი სერიოზულადაა შემოფოთებული და იბრძვის ამის წინააღმდეგ.

– თქვენ საფუძვლიანად ფლობთ 8 ენას, მათ შორის შვედურს, ჰოლანდიურს, იტალიურს, ესპანურს, კატალონიურს და, საერთოდ, მუშაობთ ენის ფილოსოფიაზე – როგორ ფიქრობთ, რა ადგილი

უკავია ქართულ ენას, რა საერთო და განმასხვავებელია მათ შორის, თუნდაც რამდენიმე პარალელი რომ გაავლოთ...

– შემოდია საინტერესო ახალი ჰიპოთეზა გაგიზიაროთ. გენეტიკურმა კვლევებმა გამოარკვია, რომ პროტონდოევროპული ენობრივი ერთობის ჩამოყალიბებაში პროტოქართველურ ენაზე მოსაუბრე ტომებსაც უნდა მიეღოთ მონაწილეობა. ქართველური და ინდოევროპული ენების ურთიერთმიმართებაზე მრავალ ცნობილ მეცნიერს უმუშავია ბოლო ორი საუკუნის მანძილზე. ეს კვლევა ამ ბოლო მონაცემების შუქზე ახალ ეტაპზე გადავა.

– 2015 წლის დეკემბერში ესპანეთში, თავშეყრის ერთ-ერთ ადგილას კითხულობთ ვაჟა-ფშაველას... რა წაუკითხეთ უცხოელებს და რა მიზანს ემსახურებოდა? ვინ იყვნენ ეს ადამიანები და რატომ მოგინდათ, რომ მათთვის წაგეკითხათ ვაჟა?

– როგორც აღვნიშნე, ბარსელონაში წიგნის მოყვარულთა დიდი არმიაა და სალიტერატურო საღამოებიც საკმაოდ ხშირად იმართება.

იმ დღეს ბარსელონელებთან ერთად მსოფლიოს მრავალი სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები შევიკრიბეთ და ვაჟას „სტუმარ-მასპინძელიც“ ბუნებრივი არჩევანი იყო ჩემთვის. წავიკითხე რამდენიმე ვრცელი ნაწყვეტი ქართულად და შემდეგ აუდიტორიას ინგლისურად გავაცანი მწერლის ბიოგრაფია და პოემის შინაარსი. სტუმარმასპინძლობის, ვაჟაკაცობის და შურისძიების თემებმა და ქართული ენის ჟღერადობამ დამსწრეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

– 1999 წელს ერთ ინტერვიუში ამბობდით, რომ ჰოლანდიაში საქართველოს სტალინით და არველაძეებით იცნობენ... ახლა უკვე ესპანეთში, კატალონიაში ცხოვრობთ, რამე შეცვალა ამ მხრივ? იცნობენ ცოტა უკეთესად მაინც საქართველოს? და რაიმე შეხება ხომ არ გქონიათ ბასკებთან?

– სამწუხაროდ, რიგითი ადამიანები საქართველოს ისევ ნაკლებად და ყურმოკვრით იცნობენ. ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ „სადღაც, ძალიან შორს, ჩრდილოეთში“ მდებარე მხარესთან ასოცირდება და ადგილობრივებს ძლიერ უკვირთ, როდესაც ვეუბნები, რომ საქართველო იმავე განედზე მდებარეობს, რომელზეც ბარსელონა და გადაფრენას იმდენივე დრო სჭირდება, დაახლოებით, რაც კატალონიიდან კანარის კუნძულებამდე.

ბასკებთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენთან გავრცელებული შეხედულების მიუხედავად, ესპანეთის იბერია დღევანდელი კატალონიის და

ანდალუზიის ტერიტორიაზე მდებარეობდა და არა ბასკეთში. თავად ბასკები ანტიკურ ხანაში არიან მოსული აკვიტანიიდან.

– 2016 წელი შოთა რუსთაველის წელია, 850 წლის იუბილე სრულდება. როგორ შეაფასებთ ამ ფაქტს და მაინც, რამდენად იცნობენ გამორჩეულ სამწერლო ტრადიციების ქვეყანაში – ესპანეთში შოთა რუსთაველს?

– რა თქმა უნდა, ძალიან სასიხარულო ფაქტია, მით უმეტეს, დანახვით მიწევს აღვნიშნო, რომ ესპანეთში და მთლიანად ევროპაში რუსთაველს მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრე იცნობს.

– ლევან გოთუას დაბადებიდან 110 წლისთავი შესრულდა... რატომ გიყვართ ეს მწერალი გამორჩეულად?

– „გმირთა ვარამი“ საქართველოს ტრაგიკული ბედის ლიტერატურული ძეგლია. ლევან გოთუას დარღვიანი ქართული, მისი ნაწარმოების ხალასი და ავთენტური გმირები ჩემთვის სამშობლოს განუყრელ და მარად არსებულ ნაწილად იქცნენ და წელი არ გავა, რომ ოთხივე ტომი არ წავიკითხო თავიდან. ვთვლი, რომ ლევან გოთუას შემოქმედება სასკოლო პროგრამაში აუცილებლად უნდა იყოს შეტანილი სხვადასხვა ასაკის მოწაფეებისთვის.

– 1989 წლის 23 აგვისტოს ტალინიდან ვილნიუსამდე გადაიჭიმა „ცოცხალი ჯაჭვი“ ე.წ. ბალტიის გზა. მაშინ თქვენც მოხვდით იქ მამასთან ერთად... როგორ დაგრჩათ მახსოვრობაში ის დღე მე-11 კლასელს? მით უფრო, რომ 9 აპრილი უკვე მომხდარია...

მაშინდელი გადმოსახედიდან, რას ფიქრობთ საქართველოს მომავალზე?

– გუშინდელივით მახსოვს უთვალავი ხალხი, ერთსულოვნების შეგრძნება, დამუხტული გარემო. ჩვენს მკერდზე დაბნეულ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშას ბევრი ცნობდა, მოდიოდნენ, უხაროდნენ, რომ მათ გვერდზე ვიდექით ასეთ დღეს, სამძიმარს გვიცხადებდნენ 9 აპრილის გამო და ურყევ იმედს გამოთქვამდნენ, რომ სულ მალე ჩვენი ქვეყნები დამოუკიდებლობას აღიდგენდნენ. ეროვნული მოძრაობის დევიზიც შესაბამისი ჰქონდათ: „ჩვენი და თქვენი თავისუფლებისათვის!“

მას შემდეგ ისტორიულ გარემოებათა, გეოგრაფიული მდებარეობის და ნაციონალური ხასიათის თავისებურებათა გამო საქართველოს და ბალტიისპირეთის სახელმწიფოების ბედი განსხვავებულად წარიმართა. ჩვენი დადუღება კიდევ გრძელდება, მაგრამ სასიხარულოა, რომ ბალტიისპირელთა სახით გულწრფელი და გულშემატკივარი მოკავშირეები გვგვულება.

– კახი სახლთუხუცესის თვალთ დანახული ლატვია და ლატვიელები... რამე საინტერესოს ხომ ვერ გაიხსენებდით?

– ლატვია დაბურული ტყეების, ტბების, თეთრი დიუნების, მიმოფანტული ხუტორებისა და გოთური არქიტექტურის ქვეყანაა... ლატვიელები მტკიცე ხასიათის, თავისუფლებისმოყვარე, ცოტა მეღანქოლიური და სიტყვაძუნწი ხალხია. ბავშვობიდან თითქმის ჩემს მეორე სამშობლოდ ქცეულ ქვეყანას ეს ბოლო წლებია კვლავ ხშირად ვსტუმრობ და იმედით მავსებს იმის ნახვა, რომ შესაძლებელია ეროვნული სულის შენარჩუნება და, იმავდროულად, თანამედროვე ტიპის სახელმწიფოს შენება...

მრავალი საინტერესო ამბავი მაგონდება, მაგრამ მეხსიერებაში განსაკუთრებით ჩამრჩა ლატვიის ეროვნული სიმღერის ფესტივალზე, კოკისპირული წვიმის ქვეშ, ოთხასკაციანმა გუნდმა, მოულოდნელად როგორ შემოსძახა: „მორბის არაგვი, არაგვიანი...“

– თქვენ უკვე დიდი ხანია, უცხოეთში ცხოვრობთ. ისე მოხდა, რომ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ სწავლა გააგრძელეთ თბილისის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურაში... იქვე მუშაობდით მეცნიერთანამშრომლად... გქონდათ გეგმები, ამუშავებდი თემას, მაგრამ... ბოლოს, უცხოეთში ცხოვრება მოგიწიათ.

თქვენ, ასე ვთქვათ, „დაკარგული თაობის“ წარმომადგენელი ხართ, რომელმაც ძნელ წლებში დატოვეთ საქართველო... რაზე გწყდებათ გული? რა ვერ შესძელით? როგორი ჩანს შორიდან საქართველო?

– „სიბრძნე ბალავარისა“ ამბობს, გარდასულსა ნუ ინანავი, მეც წარსულზე გულდაწყვეტით ფიქრი არ მჩვევია. შეიძლება გარკვეული შესაძლებლობები დაიკარგა, მაგრამ სამაგიეროდ სხვები გამოჩნდა.

„დაკარგულ თაობას“ ახალი ტექნოლოგიები უადვილებს საქართველოსთან კავშირის არდაკარგვას, და საერთოდაც, მტკიცე ნება და ცხელი გული იყოს, თორემ სამშობლოს სამსახური ყველგან და ყოველთვის შეიძლება.

შორიდან საქართველო, თუ შეიძლება ასე ითქვას, მითოლოგიური შეგრძნება-მოგონებაა, რომელიც განუყოფლად მოიცავს მთაწმიდას, სვეტიცხოველს, ბაში-აჩუკის სიმღერას ფილმიდან, ლობიოს და მწნილის გემოს, რუსთაველზე უზრუნველად მოსეირნე ახალგაზრდობას, ღამით განათებულ ნარიყალას, სვანურ „ლილეს“ და თუშურ სატრფიალო სიმღერებს...



რამ გააცინა მზე?

ფიქრთა სიმძიმემ სული ამიფორიაქა... მოგონებები მომეჯარა, ბავშვობაში გადავინაცვლე... მშობლიური სოფელი ძველად... ვერაფრით ვიხსენი ომისგან მე ვერა! განმიანდა ფიქრებში ჩემი ლექსი... ტკივილმა სხვა მოგონებებიც გააცოცხლა... დედა – თბილი, უპრეტენზიო, ოჯახის ხერხემალი, მამა – ძლიერი, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული, შვილებიც ხომ მას შეგვაზარდა. ბებია, – „გლოვისფერი, „მრავალ ტკივილგამოვლილი, ულამაზესი ქართველი ქვრივი ქალი, რომელთა გაუტეხელმა სულმაც შემოგვინახა დედა-სამშობლო... რაღაც ძალიან მტკივა... მანც რა?... არცერთს ეღირსა წყნარი ცხოვრება, უცებ გაფრინდა სიცოცხლე მათი. მახსენებს თავს ჩემი სტრიქონები... ღმერთო ჩემო, მე არ შემიძლია ამ ლექსის წაკითხვა ცრემლის გარეშე, ტკივილის გარეშე. სამუდამო ტკივილად დარჩნენ ჩემში დედა და მამა. 16 ივნისი, საოცარი ქართული მზიანი დღილა, ჩემი დაბადების დღეა...

– წავიდეთ მინდორში, – მითხრა ვერიკომ. დავეთანხმე... მივხვდი, რაც უნდოდა, ის ხომ კარგად მიცნობდა, იცოდა, როგორ მიყვარდა მინდორის ყვავილები. წავედით... ლამაზად მოჩითული მიდამო, ირგვლივ გვირილებისა და სოსანების ხალიჩა განფენილა თითქოს... საოცარი სურნელი ტრიალებს... მოწიწებით ჩავიმუხლეთ, ფრთხილად დავეკრიფეთ ყვავილები, მუხის ჩეროს შევეფარეთ... ერთად ვკრავდით გვირილებისა და სოსანების თაიგულს... უცებ საოცარი ჩურჩული ჩამესმა... ზევით ავიხედე... უჩვეულო რაღაც ხდებოდა... ბავშვი ვიყავი და ვერ მივხვდი, ერთ ხელში გვირილები მეჭირა, მეორეში სოსნები, თითქოს ერთმანეთს ვადარებდი... და, უცებ ბაგეთა ბავშვური ჩურჩული... გვირილა, გვირილა, გესმის მეზობელო, ჩემსავით ლამაზი ვერა ხარ, დობილო. გავიდა წლები... დაუნდობელმა ცხოვრებამ ცალუღელა ხარად მაქცია... ჩემი წარსული, სიყვარულით გამთბარ სტრიქონებად იქცა... ქვეყნის ყველა ტკივილმა ჩემს თვალწინ ჩაიქროლა...

9 აპრილი, დამოუკიდებლობა, ძმათამკვლელი ომი, ჯიხაშკარი, აფხაზეთი და დვალეთი (სამაჩხალო)... მოუსვენარი ქართული სული პოეტისა, კვლავ გამოსავალს ეძებს... მაგრამ სად არის ხსნა?/

ამიტომაც ეძებს ჩემი კალამი ისტორიულ გმირებს, სულიერ მამებს... უფალს მოწიწებით, მუხლმოდრეკილი ვევედრები დათოვლილი სიწმინდისა და საქართველოს გადარჩენას, რადგან ვიცი, – არ უწერია გადაშენება ღვთისმშობლის კალთას შეფარებულ ერს. გაყიდული და გაჩუქებული საქართველო თანამედროვე ვაი-ქართველთა ნამოქმედარია. ამიტომ მინდა მონანიოს ჩემმა დროებამ ჩვენი ქვეყნის ხვალის გადასარჩენად... მეტეორივით გაიბრწყინა საქართველოს ცის კაბადონზე ზვიად გამსახურდიამ, უზომო სიყვარულით გაუთბეს გული საქართველოს მერაბმა და ზვიადმა... ქართული მზე წამოდგაო, თითქოს, გაიცინაო მზემ, თუმცა იშვიათად იცინოდაო მზე... მაშ, რამ გააცინა?... რამ გააცინა და... მომავალი, საქართველოს მომავალი დაინახა მზემ!..

აზეზილი ნეკერჩხალი

წერილფოთლიანი, დაბურული ტყის განაპირას, განცალკევებით დგას ნეკერჩხალი. დგას ობლად, გარიყული, მიუსაფარი. თითქოს ყველაზე და ყველაფერზე აზეზილი, გულდახურული. უზომოდ დიდ ტკივილს გაუნაპირებია იგი. მის დაკოჭრილ სხეულს მრავალი იარა ატყვია. პატარა ხნის არ არის, დიახ, ბევრი რამის მომსწრეა ნეკერჩხალი. დროის მსახვრალ ხელს ბევრი ვერაფერი დაუკლია მისთვის, მაგრამ გულში ჩაბუდებული იარა არ აძლევს მოსვენებას. ტყე ხმაურობს, ჩურჩულებს, მხიარულად შრიალებს. ხალისით უსმენს ადგილის დედის მონათხრობს... ნეკერჩხალი კი... კვლავ მარტოა, კვლავ ნისლიანი, და აზეზილი. ვერავისთან პოულობს საერთო ენას, ვერავისთვის გაუხსნია მას გული. ამიტომაც მიუტოვებია ყველას, თვით ადგილის დელასაც კი...

რატომ, რამ დაუკოდა მას გული, რატომ ექცა სიცოცხლე ტანჯვად, რამ გათანგა ნეკერჩხალი, რამ დაუკარგა ხალისი?

ნეკერჩხალს ახსოვს სამშობლოს დიდებაც, კარგ ყმათა ხმალთა კვეთებაც და თავგანწირვაც დედა სამშობლოსათვის. ახლა? ახლა კი შიმშილს, სიცვივეს, ადამიანთა გაუტანლობას ხედავს. ხედავს გათითოკაცებას, პატარა კაცუნების ფუსფუსსა და შრომას ამქვეყნიური საზრდოსათვის. დიახ, ამქვეყნიური, იმქვეყნიური კი, ყველას დავიწყებია და მიუტოვებია. იქნებ ამ დიდმა სირცხვილმა გაუწითლა ნეკერჩხალს გული, ფოთლები, მორცხვი პატარძალივით რომ დაუხრიათ თავები და მალლა ახედვა აღარ უნდათ. სხვა ხეები კი, ამას ვერ გრძნობენ.

ღმერთო, ნუთუ ყველაფერი ერთია მათთვის?... რატომ? ნეკერჩხალი?... ნეკერჩხალი კი მარტოში ნილი, ღამის სიბნელეში გახვეული გახვევებულა და ელის ხსნას... სიკვდილს... მაგრამ რა ხდება? სითბო, თითქოს სითბოს გრძნობს მისი გათოშილი სხეული... სითბოს? საიდან? როგორ? რიჟრაჟდება, კაკასიონზე მზე შემომდგარა, ათინათდება მისი ფოთლები და წითლად ღაღღაღებს გულგახსნილი ნეკერჩხალი. კაკასიონიდან წამოსულ მზეს გაუხალისებია იგი.

გათენდა, ახალი სიცოცხლით იწყებს ახალ დღეს ნეკერჩხალი. ხეები ფერხულს უვლიან მის გარშემო. ახალგაზრდა მეუღაბნოემ აიაზმა აპკურა და ჰოი, საოცრებავ, სადღაა გულში გავლილი იარა. ტყე ზეიმობს, მრავალჟამიერს მღერის და დელასამშობლოს ახალ სიცოცხლეს ულოცავს.

ღანი უხედაშვილი

ნელსევდიანად მბრწყინავი
თანავარსკვლავედი
დავით წერედიანის
„ორიონის“ გააზრებისათვის



სიკვდილ-სიცოცხლის ერთარსი, კოსმიური სიმრთელე, მარადიული წრებრუნვა და ყოველივეს განმეორებადობა... იქნებ არცთუ რაიმე ახალი, ძველი – სიახლის უცხო ფერწერითა და სურნელით მოწოდებული... სტრიქონებს შუა ისმის წუხილი ამსოფლიური... წუთისოფელში ადამიანად ყოფნის სევდა-ვარამი – ყველა ფიქრიანი კაცის განუყრელად თანამდევნი განცდა. ეს დარდი პოეტის სულის ქურაშიც ეძებს თავის ყალიბს, რათა შენივთდეს და ყრმობის „უფურცლებო სათავისკენ“ დაბრუნდეს, რომ კვლავ და კვლავ განმეორებული შეუერთდეს უსასრულო ცის კაბადონს:

„მწუხარე სიყრმეც, დაკარგული სახელებიც,
ჟღალით და მრეშით,
განმეორდება, წამისწამად შემოსული
სინათლის წრეში.“

სიცოცხლის უწყვეტობის, ერთიანი მთლიანი ჯაჭვის მუდმივობად ქმნილი სურათია წარმოჩენილი გაზაფხულის დაბადებასი. და ეს არ არის ოდენ გაზაფხულის დაბადება. ეს არის სამყაროს მარად განახლებადი ბიბლიური მისტერია:

„უკუმიდგება და ხელახლა ფესვთა ჟრიალით,
ამ ეკლის ბარდით, ამ ბებერი ხით ნუჟრიანით
წუხანდელ ქუხილს, გადავლილი წვიმების ხასხასს
მიწიდან წვეთ-წვეთ ამოჟურავს,
ფოთლებად გასხამს.“

ვაი, რა დიდი სევდაა...

ვაი რა დიდი სევდაა,
რომ ვარ სიკვდილის საცოლე...
შვიდჯერ შემოგზვდი, სიცოცხლე
და თავი ვერ მოგაწონე...
ვერ დაგიტყე სხეულში
შენ, დედამიწავ, სულივით...
ყინულის გალიაში ვარ
ფერწასულ გაზაფხულებით...
ფიქრები წავლენ... მთებს დრეკენ,
მზეების მოაქვთ მშვენება...
ეჰ, ზურაბივით ვინ მოვა?
სულში ვინ ჩაეშენება?...
დამწყდელი ვარ მიწაზე,
ლაჟვარდებს ვერ ვეზიარე,
შენი მზე ვერ შევიფეთე,
ვერ ვუსაღბუნე იარებს...
დავდექ და ასე უცრემლო
ლექსებით ვიმგლოვიარე...

* * *

ისე გიკელაპტრო უნდა,
რომ მზეს განთიადი შერცხვეს..
სული გაერინდოს გრიგალს,
ფრთები დაენაცროთ მერცხლებს..
მუჭში გამოვიმწყვდევ ცხრა მთას...
ცხრა მზეს ჩავისვენებ თმაში...
გამომედევნები მართვე
თეთრა სალოცავის რაშით...
გავშლი ია-ია თვალებს...
ნაბდებოდენებს და ფერცხელს,
ისე გეტრფიალო უნდა,
რომ მზეს გათენება შერცხვეს...



შემხედავ და...

შემხედავ და...
მზერაში მზე ღვივდება ცეცხლივით,
დაგაქვს ჩემი სურვილი
ოცდაათი ვერცხლივით...
ოცდაათჯერ ცამეტი
დაგამჩნიე იარა,
მერე ჩემს ნაკვალევზე
წვიმამ ჩამოიარა...
ძებნე ნაფეხურები
წვიმის, ჩემი კი არა...
წამოვკრიფე სუყველა
და გზა აგირიარე..
გაგიტყუე ქაჯეთში,
მიგეც ცხრამკლავიანებს...
ცხრა მახვილი გაცვითე,
არ დაგეთაფლიანე...
მზის სხივები დაკრიფე,
დამიყარე ზვინებად...
ყვავილს ვერ მაკადრებდი,
გტკივა გულგაცივება...
შემხედავ და...
მზერაში მზე ღვივდება ცეცხლივით,
დაგაქვს ჩემი სურვილი
ოცდაათი ვერცხლივით...

ნიმე ბახყაშვილი



„იავნანები“ ჩვილი იესოსთვის

ყოველდღივად ღვთისმშობელი თავის ღვთაებრივ ჩვილს უძღეროდა საგალობელს, „ნენანას“. როდესაც მოდის შობა, სულ მიჩნდება სურვილი, ახალშობილ იესოს „იავნანა“ ვუძღეროთ. ამისთვის დაიწერა „იავნანები“ ჩვილი იესოსთვის.

„მზე გულად გაქვს, ალილო!“

„დღეს ჩვილია, უფალი“

ცას და მიწას უხარის,
მზეს და მთვარეს უხარის,
ვარსკვლავებსაც უხარის,
დღეს ჩვილია, უფალი.
ისმის როგორც წყალობა,
ანგელოზთა გალობა...
და ჩიტებიც მღერიან:
„ოდელია, დელია“.
ნანა, იავ, ნანები,
ციური გაქვს თვალები,
თავად შენაც ცისა ხარ,
ვინც ვინატრეთ, ისა ხარ.
ნანა, ვარდო, ნანები,
ღვთიური გაქვს თვალები,
ცას და მიწას უხარის,
დღეს ჩვილია, უფალი!

ალილო,
ალილო,
ჩვილო, სოფლის
მარილო,
ბაგას მწოლო
უფალო,
სრულო, თავის –
უფალო,
ნინენაო,
ნენანა,
შენია ეს
ქვეყანა,
მალლა ზეცაც
შენია,
ნათელი გაქვს
დღენია.
მზე გულად გაქვს
ალილო,
ჩვილო, სოფლის
მარილო.

გრიგოლ რობაქიძე:

„ქართველნი გულმაგიწენი არიან: გულმაგიწენი, რადგან უდარდელნი; უდარდელნი, რადგან მზიური ჯიშისა... გულმაგიწეობა არც ისე დასაძრახისია: ეს რომ არ გვქონოდა, შესაძლოა, ვერ გადაგვეტანა ამდენი უბედობა, საუკუნოებში თავსდატეხილი. „მაგიწეობა“ ქართველის გული. ხოლო თუ ამ გულის ერთი ნაპერწკალი მოხვდა მეორე გულის ცეცხლიდან, მაშინ – მაშინ არც ერთს გულს ქვეყანაზე არ ძალუძს წყაროს ხალასი თვალივით გადაეხსნას სხვა გულს, როგორც მას: გადაეხსნას გახარებად და გასახარებლად...“

ზურაბ ქაფიანიძე, მსახიობი – ლეგენდა



საქართველო იყო მის უზარმაზარ გულში გამოხატული მარგალიტი, ხოლო ვაჟა-ფშაველა მისი სულიერი საზრდო და სათაყვანო კერა. ორივე ჭეშმარიტად განუზომელი სიყვარულით და თავდავიწყებით უყვარდა. და, რაოდენ სიმბოლურია, რომ არწივთა საუფლოს მესაიდუმლოს და დიდი მოაზროვნე პოეტის ნაწარმოებთა გამორჩეულ პერსონაჟებს იგი საოცრად ჰგავდა. არა მარტო ფიზიკურად, არამედ – სულიერად. მკითხველთან ერთად შორს წასვლა არ დაგვჭირდება, თუ ამის საილუსტრაციოდ ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა მოტივებზე ცნობილი ქართველი კინორეჟისორის, აწ განსვენებული შოთა მანაგაძის მიერ შექმნილ შედევრ-ფილმ „ხევსურულ ბალადას“ გავიხსენებთ. როცა ქართველმა და მრავალი ქვეყნის მაცურებელმა ეკრანზე იხილა მისთვის სრულიად უცნობი ნიჭიერი ქართველი კინომსახიობი, რომელმაც ამ ფილმში მეორე რიგის როლით იმთავითვე საყოველთაო აღიარება და სიყვარული დაიმსახურა.

ამჯერად მკითხველის მეხსიერების შეწუხებაც არაა საჭირო, რადგან ზემოხსენებული ფილმი და ის დიდი ქართველი მსახიობი, რომელსაც ზურაბ

ქაფიანიძე ჰქვია, საქართველოს, ყოფილი საბჭოთა კავშირის ე.წ. მოძმე რესპუბლიკების მაცურებელმა აშკარად ერთმნიშვნელოვნად აღიარა და შეიყვარა.

ეს იყო მოვლენა, კაცი-ლეგენდა ქართულ კინოსა და ქართულ სინამდვილეში. მისთვის არ არსებობდა მთავარი და მეორეხარისხოვანი როლები. ორივეს დიდი გატაცებითა და უზადო ნიჭიერებით ასრულებდა. ამასთან დაკავშირებით ერთი ფრიალ მნიშვნელოვანი მოვლენა ამოტივტივდა მეხსიერებაში, რომელიც მისი სამსახიობო კარიერის გარიჟრაჟზე განვითარდა.

...1965 წელს, საბჭოთა კავშირის „გოსკინოს“ მიერ დამტკიცების შემდეგ, მოსკოვის კინოსახლში, როგორც ეს მაშინ იყო მიღებული, „ხევსურული ბალადას“ პრემიერა გაიმართა. პრემიერის დამთავრებისთანავე მქუხარე აპლოდისმენტებისა და ოვაციების ფონზე მაცურებლის წინაშე წარდგნენ: ფილმის აწ განსვენებული მთავარი რეჟისორი შოთა მანაგაძე, გენიალური მსახიობები: ლეილა აბაშიძე, თენგიზ არჩვაძე და სხვები. უწყვეტი ტაშის გრილში დარბაზი გუგუნებდა და ფილმის შემქმნელებიც მადლიერების ნიშნად მაცურებლის წინაშე თავს დაბლა ხრიდნენ. მაგრამ მაცურებელი არ ცხრებოდა, მას სხვა რამ სურდა და ეს მათ წარმოსახვაში „მთავარი როლის“ შემსრულებელი იყო, რომლის გამოვლასაც დაჟინებით მოითხოვდნენ. სინამდვილეში კი, როგორც ქართველმა მაცურებელმა იცის, ეს ფილმის მეორე რიგის ხევსური ვაჟაკის, სახელად აპარეკას როლის შემსრულებელი გახლდათ, რომელიც ზურაბ ქაფიანიძემ განასახიერა. სწორედ მისი ხილვა სურდა მაცურებელს და დარბაზში გაისმოდა: „Главного артиста, главного...“ ადრესატი კი მისთვის ჩვეული ოლიმპიური სიმშვიდით კულისებში იდგა და გასვლას არ აპირებდა. რადგან მას მაშინ რუსულია არა გაეგებოდა რა... აპლოდისმენტები და ოვაციები არ ცხრება. დარბაზი გრგვინავს. მოპირდაპირე მხარის კულისებში გასული მთავარი რეჟისორი ხელებისა და სახის მკაცრი შესტიკულაციით „მთავარ გმირს“ სცენაზე გასვლას უკრძალავს. მაცურებელი კი შეუვალა, მოთხოვნა კატეგორიული და განსჯას არ ექვემდებარება. მაშინ ჩვენი გმირი თავად იღებს გადაწყვეტილებას. შეფს შემხვედრი შესტებით პასუხობს და მისი დამშვიდების ნიშნად, დათვის ტორივით გაშლილ ხელს მალა სწევს. მერე მიმიკით

ანიშნებს, რომ ყველაფერი რიგზეა და ბეჭვანიერი ვაჟკაცი სცენისაკენ მიემართება.

გაწბილებული რეჟისორი კი თავში ხელებს იცემს... დარბაისლური დინჯი ნაბიჯებით სცენის შუაში გაჩერდა კავკასიონის გორიზი მთასავით ლომგულა ქართველი რაინდი და დარბაზის წინაშე წარდგა. დაწყნარების მაგიერ ამ სანახაობით უფრო გახელდა მაყურებელი. მქუხარე ტაშს რიტმულად ფეხიც აყოლებს და რომ იტყვიან, დარბაზი დაინგრაო, სწორედ შექმნილი ვითარების ტოლფასი იყო ეს სანახაობა. მათი ენის არმცოდნე მსახიობმა თავლები მიმოავლო დარბაზს, მერე ცოტა ხანს კიდევ აცალა დაწყნარება ექსტაზში შესულ მაყურებელს და როცა ბუზის გაფრენამდე სიწყნარე ჩამოწვა, იგი ისევ ოლიმპიური სიმშვიდით მივიდა მიკროფონთან. დარბაზი გაინაბა... დიას! ახლა უკვე ნამდვილად მთავარმა გმირმა მარცხენა ხელი გულზე დაიდო, მარჯვენა ზემემართა და თავისი განუმეორებელი ხმითა და რიხით წარმოთქვა: „Большое спасибо“. ამ ორმა ჯადოსნურმა სიტყვამ და უდავოდ ფილმში ხევისური აპარეკას როლის შემსრულებელმა უფრო დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე, ვიდრე, მომიტევეთ, ფილმის ჩვენმა გენიალურმა მსახიობებმა და მთელმა გადამღებმა ჯგუფმა ერთად აღებული. დიდხანს ვერ ელეოდა უკვე მართლა გმირად შერაცხულ ზვიად ხევსურ ვაჟკაცს მოსკოვის მადლიერი მაყურებელი.

...1978 წელს წარმოშობით გაგრელი კინორეჟისორი რომან წურწუშია მისი თანაქალაქელი მწერლის, კონსტანტინე გერდოვის მოთხრობისა და მისივე სცენარის მიხედვით მოკლემეტრაჟიან ფილმს „მამისეული სახლი“ რუსულ ვარიანტში იღებდა. მონაწილეობდნენ საქართველოს, სომხეთის და ბელორუსიის ოთხი სახალხო არტისტი, მათ შორის იყვნენ რამაზ ჩხიკვაძე და ზურაბ ქაფიანიძე. ერთხელ, შესვენებისას, გადასაღებ მოედანზე სტუმარი მსახიობებით გარემორტყმული ზურაბი მიწაზე ჩხირით რაღაც ფიგურებს ხატავდა და ამ ფიგურებში ქართულ ასომთავრულ ნიშნებს წერდა. თან უხსნიდა, რომ ყოველი ნიშანი მოხაზულობით ჰგავს იმას, რასაც მიანიშნებს და ასოს სახე სახელს შეესაბამება. ყველა იქ დამსწრენი განგვაკვიფრა ჩვენი სახელოვანი მსახიობის შუმერთა ცხოვრებისა და მათი დამწერლობის ისტორიის სიღრმისეულმა ცოდნამ... უფრო მოვიანებით ზურაბთან ოჯახში სტუმრობისას დავრწმუნდი, რომ იგი ისტორიულ ფაქტებზე და შუმეროლოგიის ფუძემდებლებზე (კრამერი, პატარიძე) დაყრდნობით მიდიოდა იმ დასკვნამდე, რომ კაცობრიობის პირველი ანბანი, ანუ შუმერული არის საფუძველი ქართული ასომთავრული ანბანისა და მისი ასაკია სიცოცხლის დასაბამი ძვ. წ. 5604 წელი, რასაც ადასტურებს ხელოვნების უძველესი ნიმუშები: ანბანური შინაარსით შექმნილი ოქროს

ღიაღმა; დოკუმენტური მოთხრობები – „კაცობრიობის ახალი წლის პირველი დღე“ და „დედამიწის გაჩენა“; წარღვნის შუმერული მოთხრობა; ძვ. წ. 5000 წლის ასომთავრული ნიშნები.

ფილმის გადაღება მიმდინარეობდა გაგრის მთის მასივზე გამავალ გზაზე მიტოვებულ სახლში და მის გარშემო. გზის ზემო ნაწილში სპეციალურად აშენებული იყო სამხერი მოედანი. მორიგი შესვენებისას ზურაბმა მთხოვა, ავსულიყავით სამხერ მოედანზე. რამდენიმე წუთში ადგილზე ვიყავით. და, ჩვენს წინაშე საუცხოო პეიზაჟი გადაიშალა. ხელისგულივით მოჩანდა ქალაქი გაგრა, ბიჭვინთის კონცხი, ბზიფის ხეობა, გუდაუთის ბორცვიანი შემოგარენი და ჩვენი ბედის უკუღმართობით, თუ ჩვენი უნიათობით დაკარგული ადღერისა და სოჭის მიმდებარე ქედტეხილები. ზურაბი ამ სანახაობამ ალაფროთოვანა. მაგრამ პირველი ალტაცებით მოხიბლულს უცებ სახე მოექუფრა და სამხერი მოედნის კიდეზე გავიდა. მერე პირჯვარი გადაისახა, ორივე ხელი მალა ასწია და უფალს ოდნავ მალაღიხმით შესთხოვა: „ღმერთო, საქართველო გადამირჩინე“. შემდეგ გაგრის მთიდან გადმომდგარი ხარ-ირემივით დაივრგვინა და აფხაზ ძმებს შეუძახა: „აფხაზებო! – გონს მოდით ვიდრე გვიან არ არის, თორემ მოვიდა ყიფჩაღი“.

ზურაბ ქაფიანიძეს საოცარი სიყვარულით რომ უყვარდა თავისი სამშობლო, დღეს მთელმა საქართველომ იცის და არა მგონია, ვინმეს უცნაურად ეჩვენოს ზემოაღნიშნული სცენა, რომელიც დიდი პატრიოტის, დიდი მსახიობის და გადაუჭარბებლად დიდი მეცნიერის მიერ ოთხი ათეული წლის წინ გაგრის მთაზე გათამაშდა. ხოლო რაც შეეხება მის სამეცნიერო მოღვაწეობას, ნახევარსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ამას ადასტურებენ უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე სამჯერ ერთი და იმავე სახელწოდებით გამოცემული წიგნი: „კაცობრიობის პირველი ანბანი – მეოცე საუკუნის უდიდესი აღმოჩენა“.

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მახსენდება, რომელიც ხაზს უსვამს ბატონ ზურაბ ქაფიანიძის სამეცნიერო მოღვაწეობას. ამ კუთხით მნიშვნელოვანი მიღწევების მიუხედავად, იგი მოკრძალებული იყო სამეცნიერო სამყაროს მიმართ და დიდი პრეტენზიები და ამბიციები არასოდეს ჰქონია. მხოლოდ იმას ცდილობდა, სამეცნიერო მიღწევების შესახებ ქართული ანბანის საკითხებში თავისი მოსაზრებები ავტორიტეტული მეცნიერებისათვის გაეზიარებინა. მაგრამ, არც მალაღი და, არც დაბალი რანგის ქართველი მეცნიერები მის საქმიანობას სერიოზულად არ აღიქვამდნენ. გამონაკლისი იყო მხოლოდ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აწ განსვენებული გიორგი ციციშვილი. მისი რედაქტორობით გამოვიდა ზურაბ ქაფიანიძის და აკადემიკოს თემურ მიფჩუანის წიგნთა პირველი

და მეორე გამოცემები. მეცნიერთაგან გულნატკენი ზურაბი ხშირად სტუმრობდა აკადემიკოს-მდივანს აკადემიაში და მისადმი მეცნიერების უსულგულო დამოკიდებულებაზე ესაუბრებოდა.

და, 21-ე საუკუნის დამდეგს, როგორც იქნა, მეცნიერთა გარკვეულმა ჯგუფმა შეხვედრისათვის მოიცალა – წიგნის „წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა“ ავტორის აკად. თამაზ გამყრელიძის გარეშე?! თუმცა რატომ მოვიდოდა, მის „მოდერნებს“ ხომ ზურაბ ქაფიანიძე თავდაყირა აყენებდა. გიორგი ციციშვილმა კვლავ გაუმეორა მეცნიერებს ზემოთქმული ფრაზა. მათ კი აღნიშნეს, ჩვენ აქ სადავოდ კი არა, წიგნის ავტორის მოხსენების მოსასმენად მოვედითო. სადისკუსიოდ მომზადებული „შუმერთა შთამომავალი“ და აკადემიკოს-მდივანი სახტად დარჩნენ. მოლოდინი არ გამართლდა და სამეცნიერო განხილვა არ შედგა. მაშინ დიდად პატივცემულმა გიორგი ციციშვილმა ამოიღო სპეციალური ბლანკი და თქვა: – აქ ბრძანდებით ენათმეცნიერებისა და ქართული ანბანის მცოდნენი. თქვენ უარს აცხადებთ წიგნის „კაცობრიობის პირველი ანბანის“ განხილვაზე და მის ირგვლივ პრეტენზია არ გაგაჩნიათ. ჩვენი მრავალჯნის ოფიციალური თხოვნისა და დღევანდელი უშედეგო შეხვედრის საფუძველზე, თქვენი თანდასწრებით, იმედი მაქვს თანხმობითაც, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ოფიციალურად იხსნება შუმეროლოგიის ცენტრი. პრეზიდენტად ინიშნება ბატონი ზურაბ ქაფიანიძე. ვიცე-პრეზიდენტად – აკადემიკოსი თეიმურაზ მიფჩუანი...

ისე, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ოფიციალურად დაარსდა „შუმეროლოგიის ცენტრი“, რომლის მამამთავრები, სამწუხაროდ, ცოცხლები აღარ არიან. მაგრამ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, მათი ნახევარსაუკუნოვანი მეცნიერული ნამოღვაწარი ფუჭად არ ჩაივლის და მათი აღმოჩენის საფუძველზე უახლოეს მომავალში მსოფლიო გაიგებს, რომ კაცობრიობის ანბანთა სათავე არა სემიტური, არამედ შუმერული, ანუ ქართულია და ესაა კაცობრიობის პირველი ანბანი...

...9 აპრილის ტრაგედიისადმი მიძღვნილი ლექსი „წუხელის ბიჭი დაბადებულა“, ვიდრე სადმე დაიბეჭდებოდა, მისმა ავტორმა, ბატონმა ანზორ აბულაშვილმა ჩვენს გმირს გადასცა და უთხრა: – ამ ლექსის შექმნისას შენ მახსენდებოდი, ზურაბ. შენი ხმა ჩამესმოდა და შთავონებას მაძლევდა. ისე, რომ ეს ლექსი შენც გეძღვნება, რადგან იმ დამეს შენ მოძალადეთა მიერ განწირულ ხალხთან მედგრად იდექი და ბევრი ბავშვი და ქალბატონი იხსენი განსაცდელისგან. სწორედ შენ უნდა წაუკითხო ჩვენს თანამემამულეთ იმ დამეს დაბადებულ ბიჭებსა და გოგონებზე, რომლებიც უკვე თავისუფალ საქართველოში იცხოვრებენ...

1989 წლის ბოლოს, საქართველოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში სტუდენტებისათვის ზურაბ ქაფიანიძის შემოქმედებითი საღამო გაიმართა. ქართველ პოეტთა მრავალი ლექსი და სიმღერა კინოფილმებიდან შესარულა ძვირფასმა სტუმარმა და მაყურებელი მზურვალე ოვაციებითა და აპლოდისმენტებით აჯილდოვებდა მათთვის საყვარელ და ნამდვილ სახალხო მსახიობს, ამ წოდებისა და ფრაზის სრული მნიშვნელობით. საღამო დასასრულისკენ რომ წავიდა, ბატონი ზურაბი განსაკუთრებული შემართებით წარდგა სტუდენტთა წინაშე. და დაიწყო: – წუხელის ბიჭი დაბადებულა...

ლექსის დამთავრებას რაღაც მნიშვნელოვანის მოლოდინში მტყვევლი მღუმარებით შეხვდა დარბაზი. მკითხველის ყურადღებას არ შევაჩერებთ ამ ლექსის ქაფიანიძისეულ დეკლამირებაზე, მან ეს ჩვენზე უკეთ იცის. მაგრამ ჰოი, საოცრება! ლექსის უკანასკნელი სტრიქონი კარგა ხანია უკვე ჩათავდა, დარბაზი კი ჯიუტად დუმს. დაღლილი დეკლამატორი ოფლს იწმენდს და სკამზე ჯდება. ორიოდ წამს კვლავ სუფევს დუმილი და შემდეგ მართლა საოცრება ხდება. დარბაზში, თითქოს უზარმაზარ ჩაკეტილ ბირთვულ სივრცეს სარქველი მოხადესო, ისე იფეთქა ენით აუწერელმა გამაყრუებელმა და გაბმულმა გუგუნმა. ეს არ იყო ჩვეულებრივი აპლოდისმენტები და ოვაციები. გაბრწყინებული სახეებით ფეხზე წამოდგარი ახალგაზრდები აღფრთოვანებული შეძახილებით და სიყვარულით ესალმებოდნენ ქართველი ხალხის ჭეშმარიტ მამულიშვილს...

საბედისწერო 1992 წლის გაზაფხულზე, როცა აფხაზეთში დაძაბულობა პიკს მიუახლოვდა, ქართველ-აფხაზთა მეგობრობის კიდევ ერთი და უკანასკნელი მოჩვენებითი საზეიმო დღე გაიმართა. ცერემონიალს მთავარი სცენიდან უძღვებოდა თეატრისა და კინოს უბადლო ოსტატი, დიდი ეროსი მანჯვალაძე. ცხენებზე ამხედრებული, ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი აფხაზ უხუცესთა ანსამბლი რამდენიმე ახალგაზრდის თანხლებით ენგურზე გადმოვიდა და „რუხის ციხესთან“ სახელდახელოდ მოწყობილ მეორე სცენაზე აფხაზური ქორწილის ინსცენირება წარმოადგინა. „ქორწილი“ იმდენად დიდხანს გაგრძელდა, რომ ზეიმის პროგრამის ჩარჩოებს გასცდა და თავხედობაშიც კი გადაიზარდა. ბატონმა ეროსიმ ფოტოაპარატით სცენის წინ მდგარ თქვენს მონა-მორჩილს იუმორით მითხრა, გამიჩუმე ეგ „მექორწილენიო“. ჩვენი ზრდილობიანი თხოვნა, დაესრულებინათ წარმოდგენა, უგულებელყვეს... და როგორც იქნა, ჩაათავეს ადლუმში კულაბზუბულმა „მსახიობებმა“. ზეიმის დასრულების შემდეგ, ტრადიციისამებრ, სუფრა გაიშალა. აფხაზთა დელეგაცია კი წასვლას აპირებდა. ეს კი აშკარა დემარში იყო მათი მხრიდან. ვინ არ სთხოვა, დარჩენილიყვნენ, მაგრამ ისინი თავისას არ იშლიდნენ.

ისევ ჩვენმა გვირმა იმარჯვა. დინჯად წარუდგა აფხაზებს ღვეკმირი „კოტორაშვილი“ და დამაჯერებლად მიმართა: – მტრებს ნუ გავახარებთ, ძმებო, თორემ ამ ღვეკმირის ზურგზე არავინაა ჩვენი მშველელი. მაშინ კი გაჭრა ამ შეგონებამ, მაგრამ სულ ორიოდ თვის შემდეგ...

დიდი სიყვარულის მქონე ზურაბ ქაფიანიძეს იუმორის გრძობაც ჭარბად ჰქონდა, მაგრამ გაბრაზებაც კაცური იცოდა. წყენას გულში არ ჩაიდებდა, მას კი, სამწუხაროდ, ბევრჯერ ატკინეს გული...

1997 წლის პირველ აპრილს ზურაბ ქაფიანიძეს 60 წელი უსრულდებოდა. მან მთხოვა, ფილარმონიაში გაველოდი. იქ მას „იუმორინას“ სამხატვრო ხელმძღვანელი ბატონი ჯემალ ბალაშვილი ელოდებოდა. ხელი ჩამოგვართვა და იუბილარს მიმართა: – ჩვენ, ტრადიციისამებრ, ვემზადებით შენი 60 წლისთავის აღსანიშნავად, თუმცა სცენარი „ოდნავ“ შეეცვალეთ. ამ ორი კვირის წინ, ერთი „დიდი კაცის“ გასვენებისას ბატონმა შევარდნაძემ გივი ბერიკაშვილს ხელკავი გამოსდო, ცალკე გაიყვანა და უთხრა:

– გივი, გახსოვს საგაზაფხულო კონცერტებს რომ მართავდით – რატომ დაივიწყეთ?..

– ჰოდა, ჩვენ გავაკეთეთ სცენარის მონახაზი და შენი თანხმობა გვინდა, ჩემო ზურაბ (უწინ, თეატრისა და კინოს დამსახურებულ მოღვაწეებს ფილარმონიის დიდ დარბაზში საიუბილეო საღამოებს უწყობდნენ).

საღამოს დაიწყებთ ძველი და ახალი თაობის სცენის ოსტატების გამოსვლით, ისინი წარმოადგენენ თავის ნომრებს და ბოლოს, მეორე განყოფილების დასასრულს სცენის სიღრმიდან თეთრ ნაბადში გამოწყობილი წარდგები და შენი რეპერტუარიდან რაც მოგესურვება, შენებურად შემოუძახებ... მაშინ ერთხელ კიდევ გამოჩნდა მისი დიდი ბუნება. ჩია კაცებს არ გაუტოლდა და იმის მაგიერ, რომ სამხატვრო ხელმძღვანელს შედავებოდა, მან ასე უთხრა, რამდენ დღეს მამღვეთ მოსაფიქრებლად...

5 დღის შემდეგ ზურაბ ქაფიანიძის 60 წლის იუბილე, მისი ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ერთად, შინაურულ გარემოში აღინიშნა. მან კარგად იცოდა, რომ ეს შეკვეთა აფხაზეთის სანაცვლოდ გაპრეზიდენტებული „ცეკას“ მდივნისაგან მოდიოდა, რადგან ზურაბი საჯაროდ მას ხშირად აკრიტიკებდა.

ეს ამბავი თბილისში ზურაბ ქაფიანიძის მარანში გაშლილ სუფრასთან სტუმრად მოსულმა მისმა თანაკლასელმა გიორგი ერგემლიძემ მომიყვა. მას მთელი საქართველო „ხესტაფონელ ჟორიად“ იცნობდა და იგი აწ განსვენებული თენგიზ ჩანტლადის შემოქმედების მუზა გახლდათ. „ჟორია“ ყვებოდა: „სკოლის დამთავრების წინ შევიპარე ბიძია ვასოს ემარანში. მარა შეპარვა რად მინდოდა, ყოველდღე მათთან არ ვეგდე?! ზურა სკოლიდან არ იყო დაბ-

რუნებული და მათი მარნიდან წამოღებული ქარვისფერი ცოლიკაურის ოთხლიტრიანი შტოფი გზაში დავახვედრე. ახლოს რომ მოვიდა, ვუთხარი, ჩვენს ვენახში კიტრი და პამიდორი ოხრადაა, ჩავიდეთ, სკოლის დამთავრებაც აღვნიშნოთ და ერთი კარგი პური ვჭამოთ-მეთქი. აბა, უარს როგორ მეტყოდა ძმობილი. ჩუმად ჩვენი სარდაფიდან ყველი და პური წავიმძღვანეთ და ჩავედით ვენახში. გავშალეთ პურმარილი, ოთხლიტრიანი თამადად დავაყენეთ და შევუბერეთ. სადღეგრძელოები მაშინაც არ ეშლებოდა ზურიკოს. დავლიეთ ამ მთისა, იმ მთისა და ცოტა რომ შეეჭიკჭიკდით, ზურა მეუბნება, მამაჩემის ღვინოს წააგავსო, ნუთუ ღებში კიდევ ვინმე აყენებს მამიჩემისნაირადო. – მამიშენისნაირად არა, მარა მამაშენის ღვინოს კი სვაამ-მეთქი... და, აბა, ვენახ ჩემი გაქცევა და მისი გამოკიდება. ავიქცეოდი, აბა, რა იქნებოდა, ჩემს მტერს მოხვდა მაგისი „ტორი“. დაჭერობანას თამაშს რომ მოვრჩით, თუმცა ვერ დამიჭირა, მარა ახლა რაჭული ლავაშით ხელები შემოკრა და ვიდრე სიქა არ გამაცალა „ტაში ბიჭო გიორგუნას“ დაუმთავრებელ სიმღერაზე მაცეკვა. მერე „ცანგალა და გოგონა“ რომ წამოიწყო, უკვე მიწაზე წამოგორებული ვიქნევი ხელებს და ფეხებს. ისევ მიუუსხედით სუფრას და დიდხანს სიცილით ვიგუდებოდით. მერე როგორი ხარხარი იცის, ხო იცი. საღამო ჟამს სიმღერაც წამოვიწყეთ. არ ეხერხებოდა, თუ რა... ამ ამბის გახსენების შემდეგ, ზურაბს სახე შეეცვალა. შამფურზე აგებული მწვადი სუფრაზე დაღო და „ჟორიას“ მკაცრად მიმართა: – გავიგე, ხანდახან თბილისში ჩამობრძანებულხარ, თენგიზ ჩანტლაძეს ნახულობ, ჩემთან კი არ მოდიხარო. შე ასეთო და შე ისეთო, ლანძღავდა თანაკლასელს, მე კი ზურაბს ვუთხარი, ქართულ სუფრასთან გალანძღული კაცი ჯერ არ გამიგონია-მეთქი – აი, ახლა გაიგონეო და განაგრძო მისი „შემკობა“.

მავანნი ამბობენ, ზურაბ ქაფიანიძე ჩემი მეგობარი იყო. დიახ, მათ ამის უფლება ნამდვილად აქვთ, რადგან ზურაბს იმხელა დიდი გული ჰქონდა, რომ მთელი საქართველო ეტეოდა. და სრულიად საქართველო იყო მისი მეგობარი. ტყუილად კი არ ამბობდა, „მე მთელი საქართველო ხელის გულზე მახატიაო“.

მომიტყვეთ ეს კადნიერება, მაგრამ აფხაზეთში ცხოვრების მიუხედავად, თქვენს მონა-მორჩილს მასთან ნახევარსაუკუნოვანი მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებდა. ბედნიერება მხვდა წილად მისი წიგნის შესაძენად დასრულებული ვარიანტის წაკითხვა-კორექტირებისა. სწორედ ამიტომ თავს უფლება მივეცი, მკითხველის სამსჯავროზე გამომეტანა დიდი ქართველი მსახიობის, მეცნიერის და კაცობის განსახიერების ცხოვრების ზოგიერთი ეპიზოდი.

ღმერთმა აცხონოს და დაიფაროს საქართველოს ჭეშმარიტი ჭირისუფალი და მოჭირნახულე დიდი ზურაბ ქაფიანიძის ნათელი სული.



* * *

თმები გაუშლიათ ხეებს,
 ფერები ლივლივებს ცაში,
 ფხებივით ბასრია, მჭრელი.
 ტოტებს ლავიწებად გაშლის
 და ცას ნაჭერ-ნაჭერ კეცავს.
 თმები გაუშლიათ ხეებს,
 სუნი გაზაფხულის მეცა.
 ისეთი დიდია სივრცე,
 ცაა გიზგიზა თონე,
 პურებს ობის სუნი ასდის
 და მე არაფრის მქონე
 და მე მარტოობის მცველი
 ახლა უშენობას ვცვლავ.
 თმები გაუშლიათ ხეებს,
 ბასრია სხივები დილის,
 ფერები ლივლივებს ცაში
 და აღნობს რიჟრაჟზე ირისს.
 თმები გაუშლიათ ხეებს,
 ფხებივით ბასრი და მჭრელი,
 ცაში გიზგიზებს თონე,
 მინდორში კვიცი ჭრელი,
 მინდორში კვიცი ჭრელი...
 აქ ობის სუნი აქვთ პურებს,
 აქ ობის სუნი აქვთ პურებს...

* * *

შემახმა მარტოობის
 გრძელი და განედი,
 ფურცლების ჯღაბნია
 უნიჭო გოგო ვარ,
 ღმერთო, მომიტევე,
 თუ შენგან განვედი,
 ჩემი არსებობა
 უბრალოდ ლოგოა.
 ფურცელს ვეთამაშე
 ფერადი ფანქრებით,
 მერე პოეტური ჟინიც
 მომერია,
 ახლა კი ნაცნობი ლექსივით
 გავცვდები...
 ცხოვრების გვერდის
 რომელი ნომერია.
 ავტეხავ განგაშს
 და შევშლი მარტოობას,
 შლეგი გარდასახვით
 მივყვები განედებს,
 დავდივარ ბატკანივით
 უმანკო სახით და
 ცოდვები დამეძებს.

* * *

წრებრუნვის ციკლი
 მილიონს ითვლის
 და ციფერბლატზე
 ისრების ჯერი
 აკეთებს დარტყმას
 და გულის რითმის
 აპოკალიფსურ ეიფორიას...
 დეფორმირებულ წიკწიკა ისრებს
 დროის და სივრცის
 უბადლო მისნებს
 და ხერხემლის ტვინს –
 ზამბარა ბისერს
 უსასრულობის
 პლანეტა ისევს.
 ისევს და...
 თალს და გაცრეცილ ნისლებს,
 თვალის კაკლებში
 ბრწყინვალე ისრიმს,
 მოკაკუულ მთვარეს
 და ვარსკვლავთ სცენას
 დრო უმოწყალოდ
 ბასრ ისრით სერავს.

* * *

გამოკვიდე დაჩრჩილული
ბებოს ძველი საბნები,
მზემ შეჭამოს, ამოკენკოს
სევდიანი ზღაპრები.
მივაფინე აივანზე
ჟღალი შალის ფარდავი,
მონატრებამ ყელი ჩამწვა,
როგორც ტკბილმა ბადაგმა.
ირეკლება მზის სხივებში,
ყვაილების მინდორი,
ზედ პეპლები ფრიალებენ,
სიყვარულის სინდრომი.
გამოკვიდე დაჩრჩილული
გული მზეზე გავფინე,
არ მეშვება ჭინკა მიჭამს,
ჭინკა მიწის საპირე.

შროშანები...

შროშანები შარავზიდან მოშორებით შრიალებენ,
შეშლილ გულებს შლეგი თრთოლვით ახელებენ,
განთიადი მზის სხივებით მოქარგული
აირეკლა ჭრელა-ჭრულა მნახველებით.
ცისარტყელამ წვიმის წვეთი,
გამოლმოდან გაღმა კიდეს გადააბა,
ხელგაშლილი და გულაღმა მდელოს ვერთვი
და შროშანი სიმორცხვისგან თვალებს ნაბავს.

* * *

გული დაიმეჩხრა...
თვალის ჰორიზონტზე მხოლოდ მირაჟია,
მზეა დაცხრილული,
შენი სილუეტი ათას ტირაჟიან
გვერდზე მოქცეული
უკვე წაქცეული დარჩა ირონიად.
ახალ საუკუნის
ახალ ათწლეულებს,
სიტყვის ტალღის მორევს,
ახალ სასწაულებს
მოაქვს ემოცია,
მოდა და გრაცია.
აქ კი აპრილია –
ფერთა თაიგული,
სუნი გაზაფხულის...
თვალის ჰორიზონტზე ისევ მირაჟია,
ითვლის საუკუნეს – გასულ ტირაჟიანს.

მახიამ ბაქელიშვილი



* * *

ყაყაოების, გვირილების და ბაიების
ულამაზესი ყვაილებით
ჰყვავის მინდვრები...
ძველ გზას მივყვები,
ვგრძნობ, რომ ისევ ძლიერ მიყვარხარ,
შენ კი სიზმრებში,
ყოველ ღამით მოსვლას მპირდები.
მოთიბულ ბალახს შემოვავლებ
მინდვრის ყვაილებს,
და ეს იქნება მზით გამთბარი
ჩვენი ლოგინი,
თმაში ჩაწნული გვირილებით
მოგეგებები და დაიმსხვრევა
მძიმე ლოდი ტანჯვა-ლოდინის...
ღარიბულ ქოხშიც მე ვიქნები
მდიდარი შენით
და ყველა ქალზე ბედნიერი
ვიქნები ქალი,
შენ ჩემთან დგახარ,
გვირილებით სავსეა მდელი
და სიყვარულის საგალობელს
გვიმღერის ქარი...

ავსტრიელი მწერალი პეტერ ალტენბერგი, რომლის ნამდვილი სახელი და გვარიც იყო რიჰარდ ენგლენდერი, დაიბადა 1859 წლის 9 მარტს ქალაქ ვენაში, საკმაოდ წარმატებული ებრაელი ბიზნესმენის ოჯახში. მან ახალგაზრდობაში მიატოვა იურიდიულ, შემდგომში კი სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლა და შტუტგარტის ერთ-ერთ წიგნების მაღაზიაში მიებარა შევირდად. პეტერ ალტენბერგი თავისუფალი მწერალი იყო და მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან მშობლებისგან გამოყოფილ, ბოჰემურ ცხოვრებას ეწეოდა. მეგობრობდა კულტურის ისტორიკოს ერიკ ფრიდელთან და ვენის მოდერნიზმის ლიტერატურულ წრესთან, რომელშიც ერთიანდებოდნენ მისი თანამედროვე მწერლები: კარლ კრაუსი, ალფრედ პოლგარი, არტურ შნიცლერი და სხვები. მიუხედავად დიდი წარმატებებისა, ალტენბერგი შემოწირულობებზე გახდა დამოკიდებული და სიცოცხლის უკანასკნელი 6 წელიწადი ვენის ერთ-ერთი სასტუმროში, პატარა ოთახში გაატარა. მე-20 საუკუნის დასაწყისიდან იგი დიდ მატერიალური სიდუხჭირეს განიცდიდა. აი, რას წერს ქართული გაზეთი „თეატრი და ცხოვრება“ 1910 წელს: „უზომო გაჭირვებაშია თურმე, სახელგანთქმული გერმანელი მწერალი პეტერ ალტენბერგი“.



ავტორის შემოქმედების ძირითადი ჟანრებია დიდაქტიკურ-აფორიზმული ტენდენციების შემცველი ესკიზები და ლექსები პროზად. პეტერ ალტენბერგი ვენის იმპრესიონიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია. 1896 წელს გამოიცა ავტორის პირველი კრებული სახელწოდებით „Wie ich es sehe“ („როგორ ვხედავ ამას“), ამას მოჰყვა „Ashantee“ (1897), „Was der Tag mir zuträgt“ (1901), „Neues Altes“ (1911), „Vita ipsa“ (1918) და მრავალი სხვა, ძირითადად კი, მე-20 საუკუნეში გამოცემული წიგნები. პეტერ ალტენბერგი გარდაიცვალა 1919 წლის 8 იანვარს, ვენაში, სამედიცინო კლინიკის პალატაში. მწერალი 11 იანვარს ვენის ცენტრალური სასაფლაოს პანთეონშივე დაკრძალეს.

საუბარი

სიცოცხლე და ყველაფერი სრულიად – ნოტიო, ტიოკო. ირგვლივ ტბორებია. შიშვლები ხართ. რას გარგებთ აბრეშუმის ეს სიფრიფანა სამოსი. ხელები გაყინვია, ტიოკო. ჩავითბობ. სულ ნაკლები, ბამბის ფლანელი უფრო გინდათ, ვიდრე დაგრაგნილი ქსოვილი.

– არ გვაქვს ნება, რამე ჩავიცვათ, ბატონო, არც ფეხსაცმელი, არც არაფერი! ის კი არა და, თავსაბურველიც უნდა მოვიხსნათ. „მოიშორე“ – მეუბნება ხოლმე კლარკი – „მოიშორე! რაო, იქნებ ქალბატონს განასახიერებ?“

– რატომ არ გრთავთ ნებას?

– ტყიურებს უნდა ვგავდეთ, ბატონო – აფრიკელებს! რა ბრიყვობაა, აფრიკაში ასე სულ არ ვიქნებოდით. ყველას პირლიმილიანებს გენახავდნენ. აი, ისე, როგორც „men of the bush“, დიახ, ზუსტად ისე. ასეთ ქონმახებში არავინ ცხოვრობს ასეთებში ძალღებს თუ გამყოფებთ, გბე¹. Quite foolish

². სურთ ცხოველებს გვამსგავსონ. თქვენ რას ფიქრობთ, ბატონო?! კლარკი იტყვის ხოლმე: „ჰეი, თქვენნაირები ევროპაში საკმაოდ არიან, ვის რაში არგინართ?! დიახაც, შიშვლები უნდა იყოთ!“

– ავად გახდებით, დაიხოცებით...

– ოჰ, სერ, დამდამობით ჩვენს ქონებში თუნუქის ჭურჭლებს ჩავდგამთ ხოლმე მოვარვარე ნალვერდლებში. ოჰ, როგორ თბილა მაშინ. და მობამბოს სხეულიც გათბება ხოლმე, მივიწვევ მისკენ და ვეკერი გოგონას. მაშინ აკოლეც თბილია, და პატარა დედეც სულ თბილია ღამით. შესაძლოა, გამოანათებს სვალ მზე. ეგ კი კარგია ტიოკოსთვის.

– ტიოკო.....!

– სერ.....?!

– ტიოკო...

– ფიქრობ ბატონო, სვალ მზე მცხუნვარებას დააფრქვევს ირგვლივ?

– „I hope so.“³

რემინისცენციები⁴

სწავლისას გარემოების შეცვლის ერთი სასიამოვნო გამოხატულება იყო, როცა ზამთრის საღამოების პირზე ზეთის ლამპარს ავანთებდი ხოლმე. გარეთ, ისე როგორც შორეული სამყაროები, ბუნდოვნად მოჩანდა რუხი სახლები, მაშინ გამოჩნდებოდა დამლაგებელი გოგონაც და ლამპარს ამინთებდა. ფრთხილად ასწევდა ხოლმე მოელვარე, შუშის ცილინდრს – რძისფერ მინის ბურთულას; სატრიალებლით დააბრუნებდა ჯერ კიდევ შუადღემდე თანაბრად წაჭრილ პატრუქს, ამ ყვითელი ფითილის ირგვლივ მრგვლად დააწყობდა ორ, ნემსივით წვრილ და გაფისულ ჩხირს (ეს ტექნიკის უახლესი მიღწევა იყო) და ბოლოებში ცეცხლს წაუკიდებდა. ხშირად ინთებოდა კიდევ ის, ხშირად არც ინთებოდა. ბოლოს და ბოლოს, როგორც იყო, აინთებოდა ხოლმე. მაშინ უკვე მოფრთხილებით დააფარებდა გოგონა მინის ცილინდრსა და მინისავე ბურთულას. ამის შემდეგ, რათა ლამპარს არ ეხრჩოლა, კიდევ ცოტა ხანს ბრუნავდა მომმართველი, რომელზეც გვარი „დიტმარი“ და ღმერთკაც მერკურის ორი ფრთა იყო ამოტვიფრული. ბოლოს დაიწყებდა ხოლმე ფითილი წვას კვერცხისგულივით ყვითელ ფერზე და მქრქალი ნათებით. მაშინ წამოვჯდებოდი და ვწერდი შესავალს ნაშრომისა, რომლის სახელწოდებაც იყო: „ვალენშტაინის ზნე-ხასიათი“:

„როცა ჩვენ გარდასული დროის დიად გმირებს მოვუნდომებთ საკუთარი სულიერი ხედვით განჭვრეტას...“

– თქვენ, მარია, პატრუქი მარცხენა მხარეზე ბოლავს!

– კი, მაგრამ ყმაწვილო ბატონო, ეს წამებაა, მე ის დღეს შუადღემდე სწორად წავჭერი.

ვალენშტაინის ხასიათი: „როცა იგი თავისი ძალაუფლების მწვერვალზე გახლდათ, ის, როგორც სხვა მოკვდავების შემთხვევაშიც ხდება ხოლმე, შეიპყრო უფრო მეტი და მეტი მიუღწევლისკენ ლტოლვამ.“

ლამპარი კვერცხისგულივით მოყვითალოდ და შუქმკრთალოდ იწვოდა, და დიახ, მარცხნივ რამდენადმე ბოლავდა კიდევ, ისე რომ მინის ცილინდრსაც მურავდა.

სუნამო

როცა ბავშვი ვიყავი, ჩემი საყვარელი, საოცრად ლამაზი დედიკოს მაჰაგონისა და ნათალი შუშისგან დამზადებული საწერი მაგიდის ერთ უჯრაში ვპოულობდი ხოლმე გამოცარიელებულ ფლაკონს,

რომელსაც ყოველთვის მაინც მძაფრად დაჰყვებოდა გარკვეული, ჩემთვის უცნობი სუნამოს სუნი.

ხშირად მივიპარებოდი და ვიყნოსავდი ხოლმე სურნელს.

მე ეს სუნამო მთელი ისეთი სიყვარულით, სისათუთით, მეგობრულობით, მონატრებით, მწუხარებით მქონდა გახვეული, როგორც საერთოდ შეიძლებოდა.

მაგრამ ყველაფერი უკავშირდებოდა ჩემს დედიკოს. მოგვიანებით, ბედისწერა წინასწარ კერნაწინასწარმეტყველები ჰუნების ურდოსავით დაგვატყდა თავს და ყოველმხრივ, ძლიერი მარცხი განგვიმზადა.

და ერთ დღესაც მე სუნამოების ერთი ძალაზიიდან მეორეში დავიწყე სიარული, რათა ნიმუშად მოცემულ პატარა ჭურჭლებში იქნებ სადმე ის სუნამო აღმომეჩინა, რომელიც ჩემი საყვარელი, გარდაცვლილი დედის მაჰაგონის საწერი მაგიდის უჯრაში მეგულებოდა. და ბოლოს, როგორც იქნა, კიდევ წავაწყდი: „Peau d'Espagne, Pinaud, Paris“.

მაშინ გამახსენდა ის დრო, როცა დედა ერთადერთი მდებრი იყო ამ ქვეყანაზე, რომელიც თურმე სიხარულსა და ტკივილს, მონატრებასა და სასოწარკვეთილებას მიმზადებდა; – რომელიც ყოველთვის, ყოველთვის ისევ და ისევ ყველაფერს მპატიობდა და ჩემთვის ზრუნავდა, და რომელიც შესაძლოა, საღამოობით, ჩაძინებამდე ფარულად ლოცულობდა ჩემი მომავალი ბედნიერებისთვის...

მოგვიანებით, ბევრი ახალგაზრდა ქალბატონი მიგზავნიდა ბავშვური, წრფელი აღტაცებით, თავის საყვარელ სურნელებს, გულითად მადლობას მითვლიდნენ ჩემ მიერ გამოგონილი რეცეპტისთვის, სახელდობრ ყველა სუნამო ხომ უშუალოდ აბაზანის მიღების შემდეგ სწორედ მთლიანი ტანის შიშველ კანზე შეიზილებოდა ხოლმე, ისე რომ შემდეგ თანდაყოლილი სურნელის გავლენასაც კი ახდენდა. ყველა ეს სუნამო გახლდათ შხამიანი, ეგზოტიკური ყვავილების სუნის. მხოლოდ ესენცია სახელწოდებით „Peau d'Espagne, Pinaud, Paris“ მნუსხავდა მე მელანქოლიური შვებით, მიუხედავად იმისა, რომ დედაჩემი უკვე აღარც იყო ცოცხალი, და მეც ვერანაირ ცოდვას ვეღარ მომიტყეებდა.

თავგადასავალი

– ძვირფასო ბატონო, ამ დილით, უთენია, ჩემი ტრაგიკული ყოფის ერთ-ერთ ყველაზე მეტად სულისშემძვრელ გარემოებას ჰქონდა ადგილი.

– რა იყო, ახლა კიდევ რაღა გადაგხდათ თავს, პეტერ?!

– მე დღეს, 28 ივლისს, დილის შვიდ საათზე

ვიჯექი გრაბენის ქუჩის მთლიანად ცარიელ კაფეში. მაშინ მომიხლოვდა მარშირებისთვის აღჭურვილი ერთი ოფიცერი, რომელსაც თან თავისი საოცრად ლამაზი, გამხდარი, ყავისფერთმიანი შეყვარებული ახლდა. მათ ისაუბრეს. შემდეგ, მანდილოსანმა კაცს ხელი თავზე დაადო. კაცმაც ცარიელი თასიდან ქალის ყავის კოვზი მოიმარჯვა, აკოცა და ჯიბეში ჩაიდო.

– პეტერ, რა მუდამ უცნაურობები შეგემთხვევათ ხოლმე; მაგრამ რატომ მაინცლამაინც სწორედ თქვენ და არა სხვას?!? ⁵

– რადგან ფანტაზიის ნაყოფია ეს ყოველივე!

– რა?! ეს ყველაფერი სიცრუეა, და თქვენ მიერ მოგონილი?!

– არა, არც ტყუილია და არც ჩემ მიერ მოგონილი. ბევრი, ბევრი ოფიცერი ოცნებობს ასეთ გამომშვიდობებაზე, როცა ეს იქნებოდა ძვირფასი მოსაგონარი საყვარელი ბაგეებისა, რომელსაც თან წაიღებდნენ. მაგრამ აზრადაც არ მოსდით, საკუთარი რომანტიკულობა და საკუთარი სათუთი გულის ძეგრა ამორცხვებთ. და აი, მაშინ უნდა დაეხმაროს მათ პოეტი და ბატონები განხორციელებად, პრაქტიკულ იდეამდე უნდა მიიყვანოს. მაგისტრის ნომაა იქ!

მდიდრულობის დღე

ერთხელაც მომინდა ნახევარი დღით გამომეცადა მდიდრის ცხოვრება. მე თავი ერთ აღმზნებ ქალბატონსა და მისი მეუღლეს თავისივე ცოლის მერსედესით გავაყვანინე სახლიდან. ჩემს დალაქთან შევიარე ტაინფალშტრასეზე, რათა გავეახლაზრდავებინე. უფრო მეტად კი მენტოლის სპირტის ინექცია მიმელო თავზე. ის ხომ ყოველგვარი ცივი შხაპის შემცველია! შემდეგ ბადენისკენ⁶ გავეშურეთ. იქ პანსიონატის აბაზანებში ვიბანავთ – 24 გრადუს ცელსიუსზე. შემდეგ სასტუმროს გრილი ოთახები დავაღებინეთ და ნახევარი საათით წავიძინეთ. რის შემდეგაც სატაცურსა და ფრიკასეს⁷ გვახელით. შემდეგ გზა განვაგრძებთ ჰაილიგენკროიცისკენ.⁸ გრილ დარბაზში შევსვით სურნელოვანი ჩაი ლიმონით. საღამოთი კი ჩქარი სვლით გამოვემგზავრეთ უკან.

მინდვრები სუნს აფრქვევდნენ, და ტყეები კი შავად გაშლილიყვნენ; ისინი, მოჩანდნენ უძრავად და მელანქოლიურად იმ საღამოსმიერი ცის ქვეშ, რომელიც მშვიდად ნათდებოდა.

ვენაში ჩვენ ერთმანეთს გამოვემშვიდობეთ.

კაფე „რიცში“ შევხვდი იმ ახალგაზრდა ქალბატონს, რომლის დანახვაც დიდი ხანი იყო მახარებდა. ყავისფერი თმა, ჩალის, ლურჯი შლაპა,

პაჭუა ცხვირი. მომსურვებოდა, დღე საზეიმოდ დამებოლოვებინა. ქალს აღსაფრთოვანებელი, სამი, მთლიანად მუქი ფერის ვარდი და აიერპუნში⁹ გაგუგზავნე, რომელიც არის კიდევ საყვარელი სასმელი ასეთი ქალბატონებისა. მან ძღვენი დიდი კეთილგანწყობით მიიღო, რაც გამონაკლისს წარმოადგენდა.

იგი მოუახლოვდა ჩემს მაგიდას და მომმართა: „მართლა ასეთ დიდი სიხარულს განიჭებთ ჩემდამი გამოჩენილი ყურადღება?!?“

– რა თქმა უნდა, დიახ. სხვანაირად არც ვიზამდი ამას.

– ე.ი. ამისთვის საჭიროც არაა, რომ მადლობელი ვიყო!?

– არა, არანაირად! პირიქით, მე ვარ თქვენი მადლობელი.

ეს იყო ერთი დღე მდიდრულად ყოფნისა.

თავკი

ქალაქის პატარა, კარგი სასტუმროს ერთ წყნარ, მომცრო ოთახში გადავბარგდი – მეზუთე სართულზე. თან წავიღე ერთი-ორი წყვილი წინდა და ორი ვეებერთელა ბოთლი „სლიგოვიცა“;¹⁰ ეს ისე – გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის.

– გეთაყვა! – წამოიძახა მეკორიდორემ – წავაღებინო თქვენი ბარგი?!?

– არ მაქვს ბარგი – განუცხადე მხოლოდ.

– ელექტრონათებას თუ ისურვებდით? – მკითხა შემდეგ.

– რა თქმა უნდა!

– ეგ თქვენ, ერთ ღამეში, ორმოცდაათი ჰელერი¹¹ დაგიჯდებათ. შესაძლებელია მხოლოდ სანთელიც კი იქონიოთ. – თქვა მან და ეტყობოდა სახეზე არსებული მდგომარეობა გაითვალისწინა.

– არა! მე ელექტრონათება მსურს!

შუალამეა და მესმის შპალერის ხევისა და კაწვრის ხმა. სად იყო და თავკიც გამოჩნდა, ხელსაბანის მაგიდაზე აცოცდა და წყლის ჯამში ჩაძვრა, იქიდან კი მრავალნაირი მოძრაობის შედეგად ისევ იატაკზე გადმოხტა, რადგან ფაიფური ალბათ მის სამიზნეს არ წარმოადგენდა და არც რამე გარკვეული ჩანაფიქრი არ ჰქონდა. საბოლოოდ, გარემოებებიდან საკმაოდ ხელსაყრელადაც კი, კარადის ქვეშ, სიბნელეში გაუჩინარდა.

დილით მოსამსახურე გოგონას მივმართე – თქვენ, ჩემს ოთახში ამ ღამით თავკი იყო. რა კარგი მომსახურებაა!

– ჩვენ თავკები არ გვყავს, დიახაც, კარგი მომსახურებაა! საიდან უნდა იყვნენ ჩვენთან თავკები?! ასეთ რამეს საერთოდ არ გათქმევინებთ!

ავდექი და ამის გამო მეკორიდორეს მივმართე – თქვენი მოსამსახურე ფრიად უკმეხი მოვლენაა. დღეს ღამით ჩემს ოთახში თავი იყო!

– ჩვენ თავგები არ გვყავს, საიდან უნდა იყოს ჩვენთან თავგები?! ასეთ რამეს საერთოდ არ გათქმევენებთ! – მანაც იგივე გაიმეორა.

როცა სასტუმროს წინკარში გავედი, შევამჩნიე, რომ ბატონი შვეიცარიც, ბატონი ლაქიაც, სხვა მოსამსახურე გოგონებიც და ბატონი საქმის მმართველიც ისე მიყურებდნენ, როგორც შეხედავდნენ კაცს, რომელიც ორი წყვილი წინდითა და ბოთლ „სლივოვიცათი“ მისდგომოდა მათ და თან თავგებს ხედავდა, რომლებიც იქ არც იყვნენ.

აგრეთვე, მაგიდაზე, გადაშლილი როცა იდო ჩემი წიგნი „რას მიქადის დღე“ და მისი კითხვით ვიყავი გართული, ამანაც გააოცა ერთ-ერთი მოახლე გოგო.

ასეთი გულისმომყვანი ვითარებისას, ნდობა ჩემ მიმართ თავგების შესახებ დასამარებელიც კი განლდათ. მე კი, მიუხედავად ამისა, რაღაც გარკვეული ქედმაღლობით ვიყავი, ან ისედაც ვინღა მედავებოდა, ეგ კი არადა, პატარ-პატარა სისულელების ნებასაც მრთავდნენ, თვალს მიკრავდნენ, გამორჩეული დიდსულოვნებით მეპყრობოდნენ, ისე როგორც რომელიმე ავადმყოფს ან რამე ფორმით ყურადღებამისაქცევს.

თავი კი ყოველ ღამით ჩნდებოდა, ფხაჭნიდა შპალერს და ხშირად საბან კარადაზეც ხტებოდა.

ერთ საღამოს სათაგური ვიყიდე მისთვის განკუთვნილი სალითურთ და ხელში თვალსაჩინოდ მომარჯვებით ჩაუარე შვეიცარს, ლაქიას, მმართველს, სასტუმროს ნომრის მოახლესა და სხვა სამ მოსამსახურე გოგონას, შევედი ოთახში და ხაფანგი გავმართე. მეორე დღეს თავი დამხვდა იქ.

თავისთავად ვიფიქრე, სათაგური დაბლა ჩამეტანა, რითაც ყველასთვის ყველაფერი ნათელი განდებოდა; მაგრამ, როდესაც კიბეზე ვიყავი, გამახსენდა, თუ როგორ მწარდებიან ხოლმე ადამიანები, როცა მათ რაღაცას დაუმტკიცებ, თან როცა თავი მართლა არ უნდა ყოფილიყო სასტუმროს ოთახში და თან როცა დაბეჯითებით გეუბნებიან, თავგები იქ „საერთოდ არ არიან!“

ამით იმ ადამიანის თავმოყვარეობა, რომელსაც არც ბარგი აქვს, რომელიც ორიოდვე წყვილი წინდით, ორი ბოთლი „სლივოვიცათი“, და წიგნით, სახელწოდებით „რას მიქადის დღე“, მოსულა და თან ღამდამობით თავგებსაც ხედავს, საკმაოდ შეილახებოდა, და მე კი იმწამსვე მიმაკუთვნებდნენ აბეზარი და ყველაზე მეტად უცნაური სტუმრების საზიზღარ კატეგორიას. ამ ფიქრების შედეგად მე

თავი იქვე მისთვის საკმაოდ შესაფერის ადგილას გავუშვი, ხოლო ცარიელი ხაფანგი კი ისევ ჩემი ოთახის იატაკზე მოვაწყე.

იმ დღიდან მოყოლებული მე უფრო მეტი თავაზიანობითა და ყურადღებით მექცეოდნენ, მისურვებდნენ, არასდროს ავლელვებულებიყავი, მრთავდნენ ბევრის ნებას, ისე როგორც ავადმყოფ ბავშვს და როცა მე, ბოლოს და ბოლოს გამოვემგზავრე იმ სასტუმროდან, ყველანაირი მეგობრული თანაგრძნობითა და კეთილგანწყობით გამომისტუმრეს, მიუხედავად იმისა, რომ ბარგად მხოლოდ ორი წყვილი წინდა, „სლივოვიცას“ ორი დაცარიელებული ბოთლი და სათაგური მქონდა.

ფოლკსგართენში¹²

– მინდა ლურჯი ბუშტი მქონდეს! ლურჯი ბუშტი მინდა, რომ მქონდეს!

– ხომ გაქვს ლურჯი ბუშტი, როზამუნდე?

მისთვის განემართათ, რომ ბუშტში გაზი იყო, რომელი გაზიც უფრო მსუბუქი განლდათ, ვიდრე ატმოსფერული ჰაერი, რის შედეგადაც... ა.შ. და ა.შ.

– მინდა, რომ იქიდან გაზი გამოვუშვა – თქვა ბავშვმა.

– არ გინდა. აი, ამ ღარიბ გოგონას რომ აჩუქო ეგ ბუშტი!?!?

– არა! მინდა, რომ გაზი გამოვუშვა.

და იგი ხელს უშვებს ბუშტს, თვალს ადევნებს, სანამ ის ლაჟვარდი ცისკენ არ გაუჩინარდება.

– გული არ გწყდება, საწყალ გოგონას რომ არ აჩუქე?

– ჰო, ვაჩუქებდი კიდევ სიამოვნებით.

– აჰა, შენ კიდევ კი გაქვს სხვა ბუშტი, აჩუქე, მიდი.

– არა, ისიც მინდა, რომ ცისკენ გავუშვა.

და ბავშვი ამ ბუშტსაც ჰაერში უშვებს.

მას ახლა მესამესაც აძლევენ.

იგი ამ ლურჯი ბუშტით ხელში გოგონასთან მიდის, ჩუქნის და ეუბნება: „მიდი, შენ გაუშვი ცაში“.

– „არა“ – ამბობს ღარიბი გოგონა და ბუშტს მონუსხულივით აშტერდება.

ოთახში ბუშტი ჭადის პლაფონისკენ აფრინდა, მერე სამი დღე იქ მიწებებულივით ეკიდა, ბოლოს გამუქდა, დაიფუშა და შავი ტომისიკასავით ქვევით ჩამოვარდა.

მაშინ იფიქრა საწყალმა გოგონამ, ბუშტი ბაღში უნდა გაეშვა – ლურჯი ცისკენ, და მერე უყურებდა და უყურებდა ხოლმე მას.

ამასობაში მდიდარ პატარას ათი ბუშტიც კი

მისცეს, და მისთვის ერთხელ ბიძამის კარლს ოცდაათი ბუშტიც კი ყვიდა ერთდროულად. იმ დროს ბავშვმა ოცი ცალი ცაში გაუშვა და ათი კი ღარიბ თანატოლებზე გააჩუქა. მას შემდეგ აღარც ჰქონია ბუშტების ინტერესი.

„სულელი ბუშტები“ – ჩაილაპარაკა მან.

დედა იღამ კი ეს ყველაფერი იმად ჩათვლა, რომ ბავშვი თავისი ასაკისთვის მეტად განვითარებულიც იყო.

ღარიბი პატარა კი ოცნებობდა: „ბუშტი ლურჯი ცისკენ უნდა გამეშვა, მე მას შემდეგ ვუყურობდი და ვუყურებდი.“

შემოდგომის საღამო

ტბის ტალღები ნარნარად ელამუნება ნაპირის წვირულ კენჭებს.

თვალწარმტაცი სასტუმრო, წყლის განაპირას, ღრმად ჩაფლულა შემოდგომისა და ზამთრის ქუშში. თეთრქათქათა დარაბები გამოხურულია. მწვანე ხეივანი რამდენადმე ჩაყვითლებულა და გამჭვირვალეც გამხდარა.

სად არის ქალიშვილი?! ან კი შეეყვარებული

ჭაბუკი სად გახლავთ? სად არის „ბერძენი“? სად არიან მარგარიტა და როზინა, ანდაც ბატონი ფონ ბერგმანი სადაა თავისივე დავრეხილი ფეხებით?!

ქერაწითური მეთევზე ქალი სადღა?! სადაა ამერიკელი ყმაწვილი და სადაა რუსი გოგონა? სადაა ქალბატონი და მისი „ოჯახის ბედნიერება“?!

შემოდგომამ გადახვეტა ისინი ყველა, ისე როგორც გაყვითლებული ფოთლები – დედოფლის ბაღში.

ტბის ტალღები ნარნარად ეხეთქებიან ნაპირის ქვებს. და ოცდათვრამეტი გელი ერთმანეთის გვერდით წრედ ისვენებს ონიქსის შავ, გაპრიალებულ, გლუვ ზედაპირზე.

ისინი ხანდახან ხმაურობენ კიდეც ღამისას: „ირრრა, ირრრა“...

ზაფხულის ღამეებზე ამას ისინი უფრო ჰპეროვნად ჟღერტულდნენ: „ირრრა, ირრრა“...

მათაც სწორედ რომ იციან, სეზონი თავის დასასრულს მიახლოებია – „ირრა!“...

მოთხრობები გერმანულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო **დავით კირკიტაძემ**

1. სიტყვა ერთ-ერთი აფრიკული ტომის ენაზე.

2. ერთობ სისულელე.

3. ასე ვიმედოვნებ.

4. რემინისცენცია – ა) ბუნდოვანი მოგონება; მოვლენა, რომელიც ადამიანს რამეს მოაგონებს;

ბ) ვისიმე შემოქმედების გავლენის ასახვა ლიტერატურულ, მუსიკალურ და სხვ. ნაწარმოებში.

5. აქაც და სხვა შემთხვევებშიც დედანში მოცემული ორთოგრაფია დაცულია.

6. ბადენი – საკურორტო ქალაქი ავსტრიაში, ქვემო ავსტრია.

7. ფრიკასე [ფრანგ. *fricassée*] – წვრილად დაჭრილი შემწვარი ან მოხარშული ხორცი, საკმაზით შენელებული; ხორცის რაგუ, მომზადებული უმეტესად ხბოს, ქათმის ან კურდღლის ხორცისგან თეთრ სოუსთან ერთად.

8. ჰაილიგენკროიცი – ქვემო ავსტრიაში, ქალაქ ბადენის ერთ-ერთი უბანი თავისი მუნიციპალური მმართველობითა და დაახლოებით 1500 მოსახლით.

9. აიერპუნში – კოქტილი, რომელიც მზადდება კვერცხის, ლიქიორის ან რომის და სხვა დანამატების ნაზავით

10. ალკოჰოლური სასმელი, დამზადებული ხილისგან – ძირითადად, ქლიავისგან და გავრცელებული აღმოსავლეთ ევროპის მხარეში.

11. ჰელერი [ჩეხ. *hale*, გერმ. *Heller*] - 1. ხურდა ფული ჩეხოსლოვაკიაში, კრონის 1/100. 2. ხურდა ფული სამხრეთ და დასავლეთ გერმანიაში (მე-13–19 ს.ს.-ში), ავსტრია–უნგრეთში (1892 წ.-დან 1918 წ.-მდე), ხოლო შემდეგ – ავსტრიაში (1924 წ.-ის ფულის რეფორმამდე, როდესაც მის ნაცვლად შემოიღეს გროში).

12. „ფოლკსგარტენი“ წარმოადგენს ვრცელ ბაღს ვენის შუაგულ ნაწილში. ნაწარმოებია გერმანული სიტყვიდან *Volk* – ხალხი და *Garten* – ბაღი, პარკი).

„არაფერია, ბავშვებო – ეს არაფერია...“


იანუშ კორჩაკი პიანისტი ვლადისლავ შპილმანის მემუარებში

ჰენრიკ გოლდშმიტი, ფსევდონიმით იანუშ კორჩაკი (22 ივლისი 1878 – 5 აგვისტო 1942 – კორჩაკის გარდაცვალების ზუსტი თარიღი ამ დრომდე მინც უცნობი რჩება. მისი ბოლო ჩანაწერი დღიურში, 1942 წლის 5 აგვისტოთი დარიღება) იყო ებრაული წარმოშობის პოლონელი ექიმი, მწერალი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. იგი დაიბადა ვარშავაში.

კორჩაკი ღრმად განათლებული პიროვნება გახლდათ. ის ფლობდა ბევრ ენას, გარდა თავისი ებრაული ენისა. კორჩაკი ჰუმანიტარულ გიმნაზიაში ეუფლებოდა ლათინურს, გერმანულს, ფრანგულს, შესწავლილი ჰქონდა აგრეთვე ძველი ბერძნული ენა. გიმნაზიაში, სადაც ის სწავლობდა, გაკვეთილები რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, რადგან მე-18 საუკუნეში პოლონეთის დანაწევრების გამო ვარშავა რუსული იმპერიის ნაწილს წარმოადგენდა.

1898-დან 1904 წლამდე გოლდშმიტმა დაიწყო ვარშავის სამედიცინო სასწავლებელში საექიმო საქმის შესწავლა. თანადროულად ის წარმატებით გამოდიოდა სამწერლობო ასპარეზზე. მისი ფსევდონიმი სწორედ მაგ დროიდან დამკვიდრდა და მას შემდეგ ის თავის თავს იანუშ კორჩაკად მოიხსენიებდა.

როგორც ცნობილია, მეორე მსოფლიო ომის პირველი ბრძოლები, 1939 წელს, პოლონეთის მიწაზე წარიმართა. დაიწყო ებრაელების მასობრივი დევნა „ნაციონალ-სოციალისტების“ მიერ. 1940 წელს გამოიცა განკარგულება, რომ ვარშავაში მცხოვრები უკლებლივ ყველა ებრაელი უნდა გადაბარებულიყო ე. წ. ვარშავის გეტოებში – გამონაკლისი ვერც კორჩაკი იქნებოდა. მისი ჩანაწერები, სახელწოდებით – *Pamiętnik* სასწაულებრივად გადაურჩა ნაცისტებს და პირველად გამოქვეყნდა იგორ ნევერლის (Igor Newerly) მიერ. ჩანაწერებში კორჩაკმა ასახა მაშინდელი ყოფა – თუ როგორ სულდგმულობდნენ ადამიანები გეტოებში. 1942 წლის აგვისტოში ნაციონალ-სოციალისტებმა 200



იანუშ კორჩაკი

ებრაელი ებრაელების ბავშვი გადაიყვანეს ტრებლინკას სიკვდილმისჯილთა ბანაკში. მიუხედავად იმისა, რომ კორჩაკმა კარგად იცოდა, ნაცისტების ეს ქმედება პატარების სიკვდილის უტყუარი მანიშნებელი იყო, გადაწყვიტა ბავშვები გაჭირვებაში არ მიეტოვებინა და გაჰყოლოდა, თუნდაც ისიც სიკვდილით დაესაჯათ.

პიანისტი ვლადისლავ შპილმანი (Władysław Szpilman) ამ ყველაფრის შემსწრე იყო და იგი თავის მემუარებში მოგვითხრობს:

„ერთ დღესაც, მე მოწმე გავხდი, თუ როგორი მარშირებული სვლით გადიოდნენ იანუშ კორჩაკი და ბავშვები გეტოდან. იმ დღით ბრძანება იყო, რომ მომხდარიყო ებრაელთა ევაკუაცია გეტოში – გეტოში, რომლის მეთაურობაც კორჩაკს ჰქონდა მიბარებული. მას თავად შეეძლო, რომ თავი გადაერჩინა. ეგ კი არა, ძლივსაც კი დაითანხმა გერმანელები

იმის თაობაზე, რომ ბავშვები სიკვდილმისჯილთა ბანაკამდე მიეცილებინა. კორჩაკს, ბავშვებთან თავისი ცხოვრების რამდენი წელიწადი გაეტარებინა და ახლაც, სიცოცხლის ამ უკანასკნელ დროს, არ უნდოდა მიეტოვებინა ისინი. უნდოდა შეძლებისდაგვარად გაეადვილებინა ყოფა მათთვის.

ბავშვებს უყვებოდა, თუ როგორ წავიდოდნენ თითქოს სოფელში. თუ როგორ მიატოვებდნენ ბოლოს და ბოლოს ბანაკის მოჟამულ კედლებს და მობიბინე ველებს როგორ ნახავდნენ, რომელზეც, თავიანთი სილამაზით, წარმტაცი ყვავილები იწონებდნენ თავს. აგრეთვე ნახავდნენ მორაკრაკე, ლამაზ ნაკადულებს, სადაც პატარები შეძლებდნენ, რომ ებანავათ. ნახავდნენ უღრან ტყეს, სადაც დათვები ბინადრობდნენ და სოკოები ნარნარად იზრდებიან.

სახეიმოდ მორთო ყველა ბავშვი და ასეთი ამალგებული განწყობით, ხელიხელჩაკიდებულები და წვეილებში გადანაწილებულები გავიდნენ ისინი ეზოში.

ამ პატარა კოლონას უნდა გასძლოლოდა ერთი გერმანელი, რომელსაც ეტყობოდა ბავშვები უყვარდა. მას ძალიან მოეწონა ერთი თორმეტი წლის ბიჭუნა, რომელიც ჩანდა მევიოლინე იყო და რომელსაც თავისი ინსტრუმენტი უბის ქვეშ ამოედო. ნაცისტმა ბავშვს მწყობრიდან წინ გამოსვლა და დაკვრა უბრძანა. უეცრად ბავშვების მთელი წყება, მელოდიის ხმაზე, ამოძრავდა და სვლას შეუდგა. მე, როცა ისინი ქუჩაში ვიხილე, ბავშვები გუნდურად მღეროდნენ, პატარა მუსიკოსი თავის ვიოლინოს ამღერებდა, კორჩაკს კი ორი ბავშვი ხელში აყვანა, მკერდზე მიხუტებული მიჰყავდა და რაღაც სასაცილოს უყვებოდა. ეჭვგარეშეა, „მველმა ექიმმა“ გაზის კამერაშიც კი, ბოლო ამოსუნთქვისას, ეს სიტყვები ჩაიწერა: „არაფერია, ბავშვებო – ეს არაფერია...“ რათა კიდევ ერთხელ და ამჟამად კი საბოლოოდ გაემხნევიებინა პატარები და არ ეგრძნობინებინა მათთვის სიცოცხლიდან სიკვდილში გადასვლის საშინელება“.

გერმანულიდან თარგმნა
დავით კირკიტაძემ



* * *

მივკვალავ, თოვლია პირველი,
სულში მიყვავის შროშანი.
გზას ნათელს მიმოჰვენს ცისფერი
სალამო ვარსკვლავოსანი.
წყვიდადი თუ შუქთა ციალი?
მამლის მღერა თუ ქარისა?
ზამთარი დადგა თუ ფრიალებს
გედების თეთრი ხალიჩა?
და თეთრ-მყუდროების სიამით
ყინვა სისხლს მითბობს, მიფიცხებს,
სხეულით სრულ გავიზიარე
არყის ხის მკერდის სიშიშვლე.
ტყე, დაბურული და ნოტიო,
ყანებზე თოვლის დაფენა,
მინდა, რომ ხელები მოვხვიო,
ტირიფის ტოტებს ჩავეწნა.

* * *

Я по первому снегу бреду,
В сердце ландыши вспыхнувших сил.
Вечер синею свечкой звезду
Над дорогой моей засветил.
Я не знаю, то свет или мрак,
В чаще ветер поёт или петух,
Может, вместо зимы на полях
Это лебеди сели на луг.
Хороша ты, о белая гладь!
Греет кровь мою лёгкий мороз.
Так и хочется к телу прижать
Обнаженные груди берёз.
О лесная, дремучая муть!
О веселье оснеженныч нив!
Так и хочется руки сомкнуть
Над древесными бедрами ив.

* * *

შენ რომ გიყურებ, როგორ ვლონდები,
რა ტკივილია, რა სინანული,
სპილენძისფერი ძეწნის ყლორტები
და სექტემბერი დაგვრჩა წარსულით.
უცხო ბაგეებს წარუტაციათ
შენი მთრთოლვარე სხეულის სითბო
და აწვიმს, აწვიმს სულს და აციებს,
უსიცოცხლოა სრულიად თითქოს.
არავითარი შიში და ზაფრა,
წინაა შვება და ნეტარება,
სხვა ყოველივე გაიხრწნა, გაქრა,
გადაიყოლა ჟამთა არებაჲ.
გავწირე თავი, წარსული დღენი,
ცხოვრება მშვიდი, ღიმილი წმინდა,
გზა გავიარე არც ისე ბევრი,
შეცოდება კი – რამდენიც გინდა.
სასაცილოა ცხოვრება ჩვენი,
სამარადჟამო, მიწყივი ყოფა,
ვით სასაფლაო, ბალი, ნაფენი
არყის ხეებით და ძვლებით შტოთა.
ჩავიყვავილებთ თანდათან ყველა
და მივეყურებთ სტუმრები ბალის,
ზამთარი ყვავილის დააზრობს, მწველი,
ჭმუნვა – ნაღველი ამო არ ღირს.

* * *

აღბათ, აღარ მოხვალ, გამეცალე,
აღბათ, აღარც გახსოვს ჩემი ყურე,
სხვისთვის მოკისკისემ, მოფართქალემ,
თეთრი თავსაფარი მოიბურე.
ეწუხვარ, ვნაღვლიანობ, დარდმა მძლია,
ბუნხარიც ვერ თბება, თითქო, ჯავრით,
წიგნს შემორჩენილი მჭკნარი ია
არის იმ ტკბილ დღეთა სახსოვარი.

* * *

სარკმლის ზემოთ მთვარე,
სარკმლის ქვემოთ ქარი,
და შიშველი ალვა, ვერცხლად შექმფინარი.
შორს საკრავი ტირის, ხმაა მარტოსული,
თან რომ მშობლიური, თან რომ შორეული.
სიცილი და მოთქმა, ნაღვლიანი მღერა,
სად ხარ? მენატრება ბებერ ცაცხვის მზერა.
მეც ოდესღაც, ადრე, ალიონზე ამოდ
გულისსწორთან ერთად გადავშლიდი გარმონს.
ახლა ვინ ვარ მისთვის? აღბათ, ვიღაც მწირი,
უცხო მესმის მღერა, ვიციანი და ვტირი.

* * *

Мне грустно на тебя смотреть,
Какая боль, какая жалость!
Знать только ивовая медь
Нам в сентябре с тобой осталась.
Чужие губы разнесли
Твоё тепло и трепет тела.
Как будто дождик моросит
С души немного омертвелой.
Ну что ж! Я не боюсь его.
Иная радость мне открылась.
Ведь не осталось ничего,
Как только жёлтый тлен и сырость.
Ведь и себя я не сберег
Для тихой жизни, для улыбок.
Так мало пройдено дорог,
Так много сделано ошибок.
Смешная жизнь смешной разлад.
Так было и так будет после.
Как кладбище, усеян сад
В берёз изглоданные кости.
Вот так же отцветем и мы
И отшумим, как гости сада...
Коль нет цветов среди зимы,
Так и грустить о них не надо.

* * *

Ты ушла и ко мне не вернёшься,
Позабыла ты мой уголок.
И теперь ты другому смеёшься,
Укрываясь в белый платок
Мне тоскливо, и скучно, и жалко,
Неуютно камин мой горит.
Но измятая в книжке фиалка
Всё о счастье былом говорит.

* * *

Над окошком месяц,
под окошком ветер,
Облетевший тополь серебрист и светел.
Дальний плач тальянки, голос одинокий-
И такой родимый, и такой далёкий
Плачет и смеётся песня лиховая.
Где ты моя липа? Липа вековая?
Я и сам когда-то в праздник спозаранку
Выходил к любимой, развернув тальянку.
А теперь я милой ничего не значу.
Под чужую песню я смеюсь и плачу.

* * *

მესიზმრება. შავი გზა და
თეთრი რაში. მოგელავდა.
და ამ რაშით, თეთრონით,
ჩემთან მოდის, მე მგონი,
მოდის ქალი, ქალღმერთი,
თუმცა მე აღარ ვეჭრფი.
ო, არყის ხევ, რუსული!
გზა ვიწრო და უსრული.
ეს ზღაპრული ფერია,
სატრფოს შესაფერია,
შეაკავე ტოტებით,
ხელის მარჯვედ მოდებით.
მთვარე. ბინდთა არება.
ცხენის ფლოქვთა თქარება.
შუქთა იღუმალება,
ერთისათვის ალება.
ის ხომ, არარსებული,
თავად – შუქთა კრებული.
მე კი – ეს ხულიგანი,
ლექსით შეშლილი, მთვრალი.
ოლონდ გული კვლავ ძგერდეს,
ოლონდაც არ განელდეს,
მხარევ, არყის რიგების,
ქალსაც შევურიგდები.

* * *

Вижу сон. Дорога черная.
Белый конь. Стопа упорная.
И на этом на коне
Едет милая ко мне.
Едет, едет милая,
Только нелюбимая.
Эх, берёза русская!
Путь - дорога узкая.
Эту милую как сон,
Лишь для той в кого влюблен.
Удержи ты ветками,
Как руками меткими.
Светит месяц. Синь и сонь.
Хорошо копытит конь.
Свет такой таинственный,
Словно для единственной,
Той, в которой тот же свет
И которой в мире нет.
Хулиган я, хулиган.
От стихов дурак и пьян.
Но и всё ж за эту прыть,
Чтобы сердцем не остыть,
За берёзовою Русь
С нелюбимому помирюсь.

რუსულიდან თარგმნა ქეთევან კოკოზაშვილმა

ტკივილი და ამაღლება


ღრმა მწუხარებით ვიზიარებთ ჩვენი თანამემამულის, დიდებული მხატვრის, ქართულ-ებრაული მეგობრობის დესპანის, ქველმოქმედის, ქალბატონ ცისანა ჯანაშვილის მწუხარებას დედის გარდაცვალების გამო.

ლიტერატურულ ჟურნალ „ანულის“ რედაქცია, მისი შემოქმედებითი გაერთიანების ყველა წევრი თანაუგრძნობს ქალბატონ ცისანას დედის – ქალბატონი ეკატერინა-ნადია ასიტაშვილის გარდაცვალების გამო.

გვჯერა, ამ განსაცდელსაც ღირსეულად გაართმევს თავს მისი კეთილშობილი ოჯახი. სამაგალითო იყო დედისადმი ცისანა ჯანაშვილის თავგანწირვა, რომელიც მის დიდ შემოქმედებას ტკივილისა და ამაღლების ახალ ელფერს შესძენს...

ცოტა რამ ილია ორბელიანზე, იმამ შამილსა და ჯემალედინზე

ნარკვევები წიგნიდან:
ნიკოლოზ ბარათაშვილის
„პირადი წერილები“



2 მარტს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში, გამომცემლობა „არტანუჯის“ ორგანიზებით გაიმართა „ნიკოლოზ ბარათაშვილის „პირადი წერილები“ წარდგინება. წიგნი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, კომენტარები, საძიებლები და გენეალოგიური ტაბულები დაურთო მათ ცერცვაძემ.

ღირშესანიშნავ გამოცემას წინამორბედ მკვლევართა ნაშრომებთან ერთად საფუძვლად დაედო ავტორის უახლესი სამეცნიერო ისტორიულ-ლიტერატურული კვლევები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნ. ბარათაშვილის წერილების ახალი, ვრცელი, შევსებული კომენტარების დიდ ნაწილს თვითკმარი ღირებულება აქვს და დამოუკიდებელ ნარკვევებად შეიძლება ჩაითვალოს.

ყოვნად „ანეულის“ მკითხველს ვთავაზობთ წიგნიდან სამ ასეთ ნარკვევს, რომლებიც ცნობილ ისტორიულ პირებს: ილია ორბელიანს, იმამ შამილსა და მის შვილს, ჯემალედინსა და რუსეთ-კავკასიის ომების საინტერესო ეპიზოდებს შეეხება. ისინი კომენტარების სახით ერთვის ნიკოლოზ ბარათაშვილის 1842 წლის 2 მაისის ცნობილ წერილს გრიგოლ ორბელიანისადმი, რომელშიც უმთავრესად შამილის მიერ ილია ორბელიანის დატყვევებისა და პოეტის შეღვევრის „მერანის“ შექმნის ამბებია აღწერილი.



ილია ზურაბის (დიმიტრის) ძე ორბელიანი – (1815-1853), გენერალ-მაიორი, გრიგოლ ორბელიანის უმცროსი ძმა, ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიძა (დედის ძმა) და თანშეზრდილი. იგი ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის (1720-1798) შთამომავალია, მისი შვილთაშვილი. ი. ორბელიანის დედა ხორეშანი

(1786-1833) ელენე ერეკლეს ასულის (1753-1786) ქალიშვილია. სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში. 1840 წელს დუელი ჰქონდა დისწულთან, ნიკოლოზ ბარათაშვილთან. იყო გრენადერთა პოლკის უფროსი, მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის ომში, სადაც სასიკვდილოდ დაიჭრა ბაშ-კადიკლართან. ი. ორბელიანი ძალიან ჰყვარებია გრაფ მ. ვორონცოვს. ალ. ორბელიანის (1802-1869) გადმოცემით „ილია თავის ყიზილბაშურის ხასიათით, რასაც უნდა, იმას არიგებდა ვარანცოვთან“ (ალექსანდრე ორბელიანი. „რუსების დასი ქართულები ჩემზედ“. წწ წ.ლიბ. გე). „შენი დიდი მაქებარია ღრაფ ვორონცოვი... სადილზე სულ შენს ვაჟკაცობას მიამბობდა ღრაფი, ერთის სიტყვით შენი სახელი გამოვიდა მეიდანზედ“, – გახარებული სწერს გრიგოლ ორბელიანი ძმას 1845 წლის 6 აგვისტოს თემირხანშურადან. (გრ. ორბელიანი. წერილები. „სახელმწიფო გამომცემლობა“. 1936 წ. ტ.1. გვ. 116). ა. ზისერმანის (1824-1897) გადმოცემით იგი ყოფილა „ჭკვიანი და ერთობ სიმპათიური ყოველმხრივ შემკული ადამიანი“ (А. Зисерман, 25 лет на Кавказе., СПб 1879). რუსი გენერლისა და სამხედრო პედაგოგის ნიკოლოზ ისაკოვის (1821-1891) დახასიათებით, ილია იყო „მარჯვე, მაღალი, ლამაზი და გაბეღული ოფიცერი“. (Н. Исаков. Кавказские воспоминания». «Русская старина», 1917 г.).

1842 წლის მარტში ილია ორბელიანი და მასთან ერთად ორი ოფიცერი – პოლკოვნიკი ა. სნაქსარევი და პრაპორშჩიკი ანანოვი ხელში ჩაუვარდათ შამილის მიურიდებს. მათ ისინი საჩაჩნოში, იმამის იმდროინდელ რეზიდენციაში დარღობაში წაიყვანეს. 27 ივლისს ღამით ი. ორბელიანი სცადა გაქცევა, მაგრამ სოფელ მეხელთასთან დაიჭირეს და უკან დააბრუნეს. ტყვეობაში მან განსაკვირებელი სიმტკიცე გამოიჩინა და შთააგონა ნ. ბარათაშვილს თავისი შედეგის „მერანის“ დაწერა. იგი რვა თვე გაუსაძლის პირობებში, ხაროში დამწყვდეულ ჰყავდათ. ი. ორბელიანი ასე აღწერს თავის დილეგს: „ხარო სიღრმით ერთი საჟენი იქნებოდა და სიგანით ნახევარი საჟენი. ასე რომ, დასაძინებლად რომ ვწვებოდით, იძულებული ვიყავით ერთმანეთზე დაგვეწყო ფეხები. ჰაერი მხოლოდ მაღლიდან ჩამოდიოდა, საიდანაც ჩვენ ჩამოგვიშვეს. საღამოობით ჩვენს დილეგს ჰკეტავდნენ. თვითონ ხაროს თავი გადახურული იყო საყარაულო ფარდულით, რის გამოც ჰაერი უფრო გვეხუთებოდა. მალე შემოგვიმატეს ერთი ჭაბუკი, მას მკვლელობას ბრალუბდნენ; აქ დამწყვდეული 15 კაციდან არც ერთს არსად არ გვიშვებდნენ, სულ თხუთმეტი კაცი ვიყავით, არსად არ გვიშვებდნენ თვით ფეხის ადგილშიც კი. ადვილად წარმოსადგენია, როგორ გავწამდებოდით და მოგვეხუთებოდა სული ასეთ აყროლებულ ჰაერში. ამ ყოფაში გაგატარეთ სამი კვირა. დღე და ღამეში გვაძლევდნენ სამ-სამ ხინკალს. ეს იყო მოხარული სიმინდის ცომი, წონით ნახევარ გირვანქამდე, უგემური, უნაწივრო, და იმდენად სამყოფი, რომ კაცი არ მომკვდარიყო... ასე ვცხოვრობდით ამ ხაროში, მზის შუქს დანატრებულები. ჩვენთვის არც დილა იყო და არც საღამო, მხოლოდ მოლას ხმაზე ვიგებდით, რომ გათენდა, ახალი დღე იწყებოდა“ (იხ. ი. ორბელიანი. “რვა თვე შამილის ტყვეობაში“. თარგმნა, წინასიტყვაობა დაურთო და ტექსტი დასაბეჭდად მოამზადა ელიზბარ უბილაყამ. თბილისი. 1991 წ. გვ. 45-46). ა. დიუმას ხატოვანი აღწერის მიხედვით, „ვედენოს (უნდა იყოს დარღობა – მ. ც.) ორმო ძალიან ჰგავს მამერტინის დილეგს რომში. პატიმარი შიგ კიბით ჩაჰყავთ და როცა კიბეს ამოიღებენ, ნახვრეტი ღიაც რომ იყოს, ორმოდან ამოსვლა შეუძლებელია. დოქით წყალი და შავი პური ავსებს მსგავსებას მასა და მამერტინის დილეგს შორის. ერთშიც და მეორეშიც ჯალათის ყოველგვარი ჩარევის გარეშე სულ მალე მოდის სიკვდილი. საამისოდ სინესტეც საკმარისია“ (ალ. დიუმა. „კაკასია“. „მერანი“. თბილისი. 1970 წ. გვ. 316).

რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკის (ყოფილი მოსკოვის ლენინის სახელობის სსრკ სახელმწიფო ბიბლიოთეკის) ხელნაწერთა განყოფილების

მოგონებათა ფონდში დაცული ილია ორბელიანის ზემოხსენებული სათავგადასავლო თხზულების გახეთ „კაკასიაში“ დაბეჭდილი ტექსტის ასლზე ყურადღებას იპყრობს უცნობი კომენტატორის მინაწერი (ხელი XIX საუკუნისაა), რომელიც გვამცნობს, რომ ტყვეობის შედეგად ი. ორბელიანს მხედველობა დაქვეითებია: „Князь Илья испытал такую ужасную участь, перенес эти мучения благодаря хорошему здоровью, но испортил себе зрение. Ему наконец в пятый, раз удалось с оружием в руках, с победоносными войсками князя Воронцова, войти в Дарго... Он заслужил Георгиевский крест. Какие чувства волновали его когда узнал ту яму, где содержали его“ (იხ. გ. შარაძე. „ილია ორბელიანის „შამილთან ტყვეობის მოთხრობის“ უცნობი თავები კრებულში: გ. შარაძე. „არქეოგრაფიული ძიებანი“. „განათლება“, თბილისი, 1973, გვ. 153).

შამილს იმედი ჰქონდა, რომ სამეფო წარმომავლობის გამო ტყვეს თავის შვილში – რუსეთში მყოფ ჯემალედინში გაცვლიდა. „მინდა გაწვალო თუნდაც იმის გამო, რომ ერეკლე მეორის შვილიშვილი ხარ. თუკი შენზე არ გადამიცვლიან შვილს ან დისწულს, დიდძალ ოქროსა და ვერცხლს მაინც ხომ მომცემენ“, – უთქვამს მას ი. ორბელიანისთვის (იხ. ი. ორბელიანი. „რვა თვე შამილის ტყვეობაში“. თარგმნა, წინასიტყვაობა დაურთო და ტექსტი დასაბეჭდად მოამზადა ელიზბარ უბილაყამ. თბილისი. 1991 წ. გვ. 33-34). შამილს ეს სურვილი არ შეუსრულდა. ი. ორბელიანი ტყვეობიდან გაათავისუფლეს 1842 წლის 28 ნოემბერს, როცა მოხდა მისი გაცვლა სხვა ტყვეებში.

1846 წელს ი. ორბელიანი ელიზვეტპოლის (განჯა) მაზრაში გადაიყვანეს განსაკუთრებულ დავალებათა შემსრულებლად. მას იქ საშუალება მიეცა, ერთი წლის წინ გარდაცვლილი და განჯის ციხის რუსული ეკლესიის გალავანში დაკრძალული თავისი დისწულის, ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავისათვის ქვა დაედო. 1852 წელს ილია ორბელიანი იქორწინა ბარბარე ილიას ასულ ბატონიშვილზე (1831-1884). ცოლ-ქმარს ეყოლა ტყუბი ვაჟი, რომელთაგან ერთი დიმიტრი მაშინვე გარდაიცვალა და მამასთან ერთად დაკრძალეს ქაშუეთის ტაძარში. ი. ორბელიანს დარჩა შვილი გიორგი ორბელიანი (1853-1924), შემდგომში გენერალ-მაიორი, განჯიდან ნ. ბარათაშვილის ნეშტის ჩამოსვენების ერთ-ერთი ორგანიზატორი.

ილია ორბელიანი თავისი ტყვეობა აღწერა სათავგადასავლო თხზულებაში „რვა თვე შამილის ტყვეობაში“, რომლის დედნისეული სათაურია: Восемь месяцев из моей жизни. Рассказ офицера

бывшего в плену у Шамиля в 1842 году, 22 марта.

პირველად დაიბეჭდა მცირეოდენი შემოკლებით 1849 წელს გაზეთ „Кавказ“-ში (№№1-5). ილია ორბელიანის მემუარულმა თხზულებამ, იქ აღწერილმა სამხედრო-სტრატეგიულმა ცნობებმა დიდი დახმარება გაუწია დარლოს ცნობილ ექსპედიციას, მისმა ავტორმა კი დარლოს აღებაში ერთგვარი გზამკვლევის როლი შეასრულა.

შამილი (1797-1871) – კავკასიელი მთიელების საერო და სასულიერო წინამძღოლი, იმამი, თეოკრატიული სახელმწიფოს – იმამატის (დაღესტანი, ჩეჩნეთი) მეთაური. ენერგიულად იბრძოდა რუსეთის მიერ კავკასიის დამორჩილების წინააღმდეგ, დაატყვევა ალ. ბარიატინსკიმ ლუნიბში 1859 წ. გადაასახლეს კალუგაში, ბოლოს ნება მისცეს მექაში მომლოცველად წასულიყო, სადაც გარდაიცვალა კიდევ. ილია ორბელიანი თავის სათავგადასავლო თხზულებაში შამილის შთაბეჭდავ პორტრეტს ხატავს: „გამომეტყველი და წარმოსადგეი იყო... მეტად მშვენიერი, თეთრი და მასთან ნორჩი, ოდნავად ნაყვავილარი სახე, ცისფრად მოელვარე ჭროლა თვალები, საიდანაც გამოკრთოდა შორსმჭვრეტელობა, ჭკუა-გონება და სულის სიმძლავრე. ტუჩებზე მუდამ ღიმილი დასთამაშებდა, ოდნავ გაპობილი ბაგეებიდან თეთრი კბილები გამოუკრთოდა, რაიც მოწმობდა მის ცბიერებასაც და გულკეთილობასაც, ინით შეღებილი წითური წვერიც ძალიან ამშვენებდა მის სახეს; ტანად საშუალო იყო, ჩამკვრივებული, ლამაზად ჩასხმული, იყურებოდა მეტად ბრგედ, ვაჟკაცურად; ამ წარმოსადგე ადამიანს ისე ეჭირა თავი, თითქოს 35 წლის ვაჟკაციაო, მაშინ როცა ბევრად ხნიერი უნდა ყოფილიყო. როდესაც პირველად შევაველე თვალი, მეტად მომეწონა თვითონაც, მისი მდიდრული ჩაცმულობაც და იარაღიც, რაც უფრო აძლიერებდა მის ვაჟკაცურ სილამაზეს და სიკისკასეს. თავი წითელი ჩერქეზული ქუდით შემოეფარგლა და თეთრი დოღბანდით შემოექობა. ტანთ ეცვა ახალუხი, რომელზეც გადაეცვა წითელი მაუდის ჩოხა, სულ მოსირმული და ვერცხლის პატარა მასრებით ჩამწკრივებული. მხარზე ხმალი ეკიდა. წელზე ერტყა ქამარი, რომელშიც გარჯობილი ჰქონდა ორი დამბაჩა, წინ კიდევ ხანჯალი ეკიდა. ასეთი იყო შამილი.“ (იხ. ი. ორბელიანი. „რვა თვე შამილის ტყვეობაში“. თარგმნა, წინასიტყვაობა დაურთო და ტექსტი დასაბეჭდად მოამზადა ელიზბარ უბილაგამ. თბილისი. 1991 წ. გვ. 33-34). შამილის პიროვნება, მისი გმირული ბრძოლები ხშირად გამხდარა შთაგონების წყარო ქართული მწერლებისათვის. მას ეძღვნება ა. წერეთლის ლექსი „შამილის სიზმარი“, ტ. ტაბიძის „გუნიბი“, ა. გაწერელიას მოთხრობა „შამილი და მისი ნაიბი“.



ჯემალედინი (რუს. Джемаль ад-Дин) – (1829-1858), შამილის პირმშო, ვაჟიშვილი, რომელიც მას პირველი ცოლის ფატიმათისგან ჰყავდა.

დაიბადა დაღესტანში, სოფელ გიმრში. სახელი შამილის სულიერი მოძღვრისა და სიმამრის, დაღესტნის საზოგადო მოღვაწის ჯემალედინ ყაზიყუბუხელის (1792 ან 1788-1866) პატივსაცემად დაარქვეს. 1839 წელს 9 წლის ასაკში მამამისმა მძევლად გადასცა რუსეთის მთავრობას ერთგულებისა და სრული მორჩილების ნიშნად მისი რეზიდენციის, გამაგრებული მთის სოფლის ახულგოს გენერალ-ლეიტენანტ პ. გრაბეს (1789-1875) მიერ წარმოებული შტურმის დროს. მიუხედავად ამისა, შამილი აგრძელებდა შეაირაღებულ ბრძოლას რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ. ჯემალედინი ჩაიყვანეს სანკტ-პეტერბურგში, სადაც მისი მეურვეობა და აღზრდა თავად იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა (1796-1855) ითავა. სრულწლოვანებამდე მისთვის რწმენის შეცვლა არ მოუთხოვიათ. დაუტოვეს იმის უფლებაც, რომ ეროვნული სამოსი – ჩოხა ეტარებინა. მალე ის წმ. ალექსანდრეს სახელობის მოსკოვის ობოლთა საკადეტო კორპუსში ჩარიცხეს, 1839 წლის მიწურულს კი სანკტ-პეტერბურგის 1-ელ კადეტთა კორპუსში გადაიყვანეს. ჯემალედინმა ადვილად შეისწავლა რუსული ენა, დაეუფლა აგრეთვე ფრანგულ და გერმანულ ენებს. ეტანებოდა მეცნიერების სხვადასხვა დარგებს. განსაკუთრებით უყვარდა მათემატიკა. 1842 წელს ნიკოლოზ I-ის მცდელობისას მშვიდობიანად შემოერიგებინა შამილი, ამ უკანასკნელმა მას პირობად წაუყენა შვილის გაცვლა დატყვევებულ ილია ორბელიანში, რომელიც თავად აღმოჩნდა ამის წინააღმდეგი. იმამმა ამ საკითხზე მიმართა გენერალ-მაიორ ფ. კლუგენაუს (1791-1851), შემდეგ კი გენერალ-ადიუტანტ ალ. ნეიდგარდტს (1784-1845). ნეიდგარდტმა შეატყობინა მისი სურვილი პეტერბურგში, საიდანაც უარი შემოუთვალეს იმის

გამო, რომ ჯემალედინს უშუალოდ იმპერატორის მურვეობა და ის წყეტდა მის ბედს. შამილს მხოლოდ იმის ნება დართეს, რომ ვინმე გაეგზავნა იმპერიის დედაქალაქში ვაჟიშვილთან შეხვედრაზე. 1849 წელს სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კორნეტის წოდებით ჯემალედინი ჩარიცხეს მისი უმაღლესობის ულანთა (ვლადიმირის) ლეიბ-გვარდიაში, რომელიც იმ დროს ტვერის გუბერნიაში იდგა. იმპერატორმა მას მნიშვნელოვანი საარსებო სახსრები გამოუყო. 1852 წლიდან ჯემალედინი პორუჩიკია. სამხედრო კარიერაში მას ხელი შეუშალა ბავშვობაში მიღებული ჭრილობის გამო დაშავებულმა ხელმა. ტორჟში ჯემალედინმა გაიცნო გენერალ-მაიორის, საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის წევრის პეტრე ოლენინის (1793-1868) ასული ელიზავეტა (1832-1922). წყვილს ერთმანეთი შეუყვარდა და დაქორწინება გადაწყვიტეს. ამ დროს ჯემალედინს ქრისტიანობა უკვე მიღებული ჰქონდა. ნიკოლოზ I ახალგაზრდებს მეჯვარედ ყოფნას ჰპირდებოდა.

საბოლოოდ ჯემალედინი შამილმა 1855 წელს დაიბრუნა. ამ მიზნით მოეწყო მისი რაზმების თავდასხმა კახეთზე 1854 წლის 4 ივლისს, რომლის დროსაც მათ დაარბიეს და გადაწვეს კახეთის სოფლები, ალექსანდრე ჭავჭავაძის (1786-1846) მიერ 1818 წელს აშენებული წინანდლის სასახლე და მამული, მძევლად წაიყვანეს დავით ჭავჭავაძის (1818-1884) მეუღლე ანა ბატონიშვილი (1828-1905) ბავშვებითა და ძიძით, იმხანად იქ სტუმრად მყოფი მისი და, ილია ორბელიანის ქვრივი ბარბარე (1831-1884) შვილით გიორგი (1853-1924) და მულიშვილით, ნიკოლოზ ბარათაშვილის დით ნინო ბარათაშვილით (1828-1906), აგრეთვე ფრანგი აღმზრდელი ანა დრანსე, რომელმაც მოგვიანებით აღწერა შამილთან ტყვეობის ისტორია (იხ. ანა დრანსე. „შამილის ტყვე ქალები“. თარგმნა, შენიშვნები და ფოტომასალა დაურთო მურმან თავიშვილმა. „არტანუჯი“. თბილისი. 2010 წ., აგრეთვე E. Вердеревский. Кавказские пленницы, или Плен у Шамиля. С.-Пб, 185; ალ. დიუმა. „კავკასია“. „მერანი“. თბილისი. 1970 წ.; ალექსანდრე ჭავჭავაძის შთამომავლის, ამერიკელი მწერლის პავლე ჭავჭავაძის (1899-1971) ინგლისურ ენაზე დაწერილი რომანის „ძიძის ალაჰისა“ (1952) ფრაგმენტები (თამაზ ნატროშვილის თარგმანი): „წინანდლიდან ვედენოსკენ“, ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“ №17 (69), 10 ნოემბერი, 2009 წ.; „შამილი და კნენები“, „ლიტერატურული გაზეთი“, №29, 25 ივნისი-8 ივლისი, 2010 წ.).

მომხდარის შესახებ ჯემალედინს აცნობეს პოლონეთში, ვარშავაში, სადაც ის ლეიბ-გვარდიის ულანთა პოლკში პორუჩიკად მსახურობდა. მცირე ყოცმანის შემდეგ იგი დათანხმდა დაბრუნებულიყო მამასთან, სამშობლოში. ტყვეთა გაცვლა 1855 წლის 10 მარტს, დაღესტნისა და ჩეჩნეთის საზღვართან, მდინარე მიჩიკზე მოხდა. შვილის სამშობლოში დაბრუნებით დიდად გაიხარა შამილმა, გაიხარეს მისმა ძმებმაც. ჯემალედინი ავლენდა წიგნიერებას და კარგ აღზრდას და სურვილი ჰქონდა თავისი ცოდნა სამშობლოს საკეთილდღეოდ გამოეყენებინა. იგი ურჩევდა მამამისს სამხედრო და სხვა სახის რეფორმები გაეტარებინა, შერიგებოდა რუსებს. გარკვეულწილად მან ეს მოახერხა კიდეც. მისი შუამავლობით შამილმა გამართა დიალოგი გენერალ ნ. მურავიოვთან (1794-1866).

მნიშვნელოვანი საბრძოლო მოქმედებები შეწყდა, მოხდა დიდი რაოდენობით სამხედრო ტყვეების გაცვლა, იმამატს მოუხსნეს ეკონომიკური ბლოკადა. თავად ჯემალედინს ადმინისტრაციული საქმეების გაძღოლა და შეიარაღების ინსპექტირება დაევალა. მაგრამ ამ ყველაფერს მხოლოდ დროებითი ხასიათი ჰქონდა. შამილს არ სურდა რუსეთის იმპერიასთან შერიგება.

მამასა და შვილს შორის გაუცხოება დაიწყო, რომელიც თანდათან ღრმავდებოდა. ჯემალედინს ჰქონდა მიმოწერა თავის რუს სატროფოსთან, რასაც შამილი ყოველნაირად უშლიდა ხელს. მან ჯემალედინს თავად აურჩია საცოლე და ერთი ცნობილი ჩეჩენი ნაიბის ქალიშვილზე დააქორწინა. ძალუმი მშობლიური სიყვარულის მიუხედავად შამილი ვაჟიშვილს რუსულ ორიენტაციას არ პატიობდა. ჯემალედინი ნანობდა სამშობლოში დაბრუნებას. მალე მას ავადმყოფობამ დარია ხელი – იგი დაჭლექდა. მოყვარულმა მამამ ყოველი ღონე იხმარა შვილის გადასარჩენად. მან ის მაღალმთიან აგარაკზე კარატაში გაეგზავნა და ადგილობრივი მკურნალები დაახვია. როცა შვილს გამომჯობინება არ დაეტყო, მაშინ რუსებს მიმართა დასახმარებლად და კარგი ექიმი ითხოვა. შამილს თხოვნა დაუკმაყოფილეს და ხუთი მიურიდის მძევლად დატოვების პირობით პოლკის გამოცდილი ექიმი ს. პიოტროვსკი გაუგზავნეს, თუმცა ჯემალედინის გადარჩენა ვეღარ მოხერხდა. ის 1858 წლის 26 ივნისს კარატაში გარდაიცვალა. დაკრძალეს იქვე. ადგილობრივ ხალხში გავრცელდა ხმა, რომ შამილის შვილი რუსებმა მოწამლეს. ს. პიოტროვსკი შამილმა ცხენით, ეროვნული სამოსითა და იარაღით დაასაჩუქრა. ს. პიოტროვსკის მოგონებანი დაიბეჭდა შემოკლებით 1858 წელს გაზეთ „Кавказ“-ში.

ლილია ჯიხომიძე-სახლთხუთხილი



დათო ტურაშვილის – „ჩაძირული ქალაქის ღამე“

„კარგმა მწერალმა სოფელში და ქალაქში კი არა, მიწაში რა არის, ის უნდა იცოდეს...“

ნუგზარ შატაიძე

„სხვა, რაღაც თბილი და რბილი სილამაზე აქვს თბილისს...“

საბა შენგელია

უტრეხტში ვარ, ჰოლანდიის ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქში. მარტის თვეა, გვარიანად ცივა, ამის გამო დღეს ამსტერდამში წასვლა გადავდეთ... დრო თავზესაყრელად მაქვს; აიენის სიგანე ფანჯრიდან გავყურებ სხვადასხვა ჯიშის ფრინველებით აჭრიაპულეულ, თოვლის ნარჩენებში ჩაფლულ სკვერს...

ჩემი მასპინძლის ქართული წიგნების მწივრ „ბიბლიოთეკაში“, ჩემდა სასიხარულოდ, დ. ტურაშვილის – „ჩაძირული ქალაქის ღამე“ აღმოვაჩინე, რომელიც ჯერ წაკითხული არ მქონდა; დღემდე მჯერა, რომ ეს შემთხვევით არ მომხდარა...

მხატვრობა ჩემი სისუსტეა! ალბათ ოცი წუთი მაინც წიგნის დიზაინს დავცქეროდი, რომელსაც, დიანაც, მაგიური ძალა აქვს (მხატვარი რევაზ ებრაღიძე)... ყდიდან ყავისფერ ტონებში შესრულებული ძველი თბილისის შენობებით გაძეგილი ერთი კუთხე შემომცქეროდა; უკან მოშავო, მორუხო მთებითა და შორს წასული ღრუბელთა უსასრულობით, რომელნიც ლურჯ-თეთრი ფონითა და შავი ფერის მოზრდილი ფრინველებით, რაღაც ზღაპრულ-მისტიკურ ანსამბლს ქმნიდნენ; ზემოთ კი, მათ ზემოთ, ღრუბელთა შუაგულიდან ქალაქს „ჩვეულებრივი“ მთვარე დანათოდა, ცოტაც და იქვე, ღრუბლებზე შემოდგარმა ნიკალას სააღდგომო ბატკანმაც შემომაფეთა თვალები... ახლა კი, ახლა უკვე „მზად ვიყავი“ ჩამეხედა წიგნის ფურცლებში, რათა შემეტყო ჩაძირული ქალაქის ამბავი და ავტორთან ერთად მეძია მიზეზები... ნახატს კი... შეიძლება საათობით უყურო და თავად შეთხზა სხვადასხვა ამბავი, რომლის სიუჟეტებსაც გასუსული იდუმალება გათავაზობს.

კვითხულობდი, გზადაგზა გვერდებს, ფრაზებს ვინიშნავდი... და წიგნის გმირებთან ერთად მიგვებოდი ძველი თბილისის უსწორმასწორო ქუჩაბანდებს, დღემდე შემორჩენილ ამბავ-არაკებს... უცხოეთში – შენი ქვეყნის, ქალაქის ამბები, ისიც ლიტერატურულ-ისტორიულ ჭრილში ნაჩვენები, კიდევ უფრო

სხვა წახნაგებს იძენს... (ამ ყველაფერმა, არ ვიცი, რატომ, მისი სიტყვები გამახსენა, რომელსაც იგი გეოგრაფიულ რომანში „ტიბეტი არ არის შორს“ – წერს: „ადამიანი თავისუფალი მხოლოდ სამშობლოში შეიძლება იყოს, მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლებას შეიძლება ყველგან ეძებდეს, მაგრამ თავისუფალი მხოლოდ საკუთარ მიწაზე იქნება, თავისუფალი მხოლოდ სამშობლოში შეიძლება იყოს“).

მას შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა, თუმცა სურვილი იმისა, წერილობით გადმომეცა საკუთარი განწყობილება, არ გამწვანებია... მართლაც, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს...

დიახ, მაღლობა (და, ალბათ, არა მარტო ჩემგან) საინტერესო ადამიანსა და მწერალს აკა მორჩილაძეს, ავტორის ბავშვობის მეგობარს, რომელმაც მშრალი ხიდიდან მას მადათოვის კუნძული დაანახვა, რაც ბიძგი აღმოჩნდა ხსენებული წიგნის დასაწყერად, იმის შესაქმნელად, რისი გააზრებაც ტანში დაგბურძგლავს, ცრემლს მოგადენს, ჩაგაფიქრებს, ხელში თბილისის ისტორიისა და უცხო სიტყვათა ლექსიკონს აგაღებინებს... და ყურს მიუგდებ მწერალის დამაჯერებელ, სევდიან-ემოციურ თხრობას, თბილისურ ამბებს, რომლისთვისაც მუსიკალურ ფონად ზომიერი იუმორი შეურჩევია, რასაც წამიერად გამოჰყავხარ დახვავებული სიღრმისეული გრძნობებისა და განცდებისაგან. მართლაც რომ – „ყველა წარსული თითქმის ყოველთვის მშვენიერია“ (რ. პატარიძე).

ავტორს არ განუსაზღვრავს, პროზის რომელ ჟანრს მიეკუთვნება ნაწარმოები – რომანია, მოთხრობა, ნოველა... მოიცავს 159 გვერდს, შედგება ორი ნაწილისაგან, 11 თავისგან; ორიგინალურია და თვალსა და ყურს საამოდ ხვდება, გარკვეული თავის დასაწყისში, – „თავ(თ)ავი“; ვფიქრობ, ამაში „ბრაღი“ – ეპილოგში ნახსენებ პოეტს, ჯუანშერ ტიკარაძეს მიუძღვის, რომელმაც „მტკვარს გახედა დაღლილი თვალებით და თქვა, რომ წიგნის დაწერა

პურის გამოცხობას ჰგავს და სიტყვები კი თავთავებია“...

თითოეულ თავს წინ ერთი ან რამდენიმე ეპიგრაფი უძღვის; რალა თქმა უნდა, ყველა მათგანი კონკრეტულად იმ თავის შინაარსის გადმოსაცემადაა შერჩეული, აზრის გასაღებად და გასამყარებლად. ძალიან მომეწონა პირველი თავის ეპიგრაფები, ამიტომაც მათ სრული სახით წარმოგიდგინთ: – „ვინ ჩაგიგდებს ამას მწერლობად, უბრალო ლაყაფიო, იტყვიან“. – შალვა დადიანი; „ღმერთო, ნუ მიწყენ ამ ლაყაფს, ამ ცულსა მიღებ-მოღებასა“. – თეიმურაზ I; „თმებზე – იანვარი, სულში – მაისი“... – ჰაინრიხ ჰაინე.

პირველი ეპიგრაფი წიგნს წითელ ზოლად გასდევს, რადგან მწერალიც „ხვდება“, რომ მკითხველთა გარკვეულმა ნაწილმა შეიძლება მართლაც ლაყაფად, მიღებმოდებად ჩაუთვალოს ყველაფერი; ამით იგი, თითქოს თავსაც იზღვევს უამური კითხვებისგან.

გვერდს ვერ ავუვლი დანარჩენი თავების ზოგიერთ ეპიგრაფსაც, რომლებიც მკითხველს ნაწარმოებში მიმდინარე პროცესებზე გარკვეულ შთაბეჭდილებებს შეუქმნის.

მაგალითად: II თავი: „ტფილისში ვიპოვე ცხვირსახოცი ოთხი უზალთუნით შიგ, მაშინვე გავექანე თათრის დუქანში და ვჭამე ლულა-ქაბაბი“ – თეოდორ შალიაპინი“. III თავი: „რაც ქართული ენა გაჩენილია, არა ყოფილა ქართველი კაცი, რომ ამ ენაზე ლექსი არ დაეწეროს“. – დავით ერისთავი. IV თავი: – „მე მესიზმრება, რომ ვდგავარ მტკვარში და ვკითხულობ წიგნს“. – მილორად პავინი. VIII თავი: – „თუ ტყეში გაქცევა გინდა, მთავარია გაიქცე და მერე ტყე თვითონ გაჩნდება“. – ვიქტორ პეღევინი. IX თავი: – „კაი პატიოსან კაცს ცხენის მოსაპარად წასვლას მხოლოდ ნამდვილი სიყვარული თუ გადაადებინებს“. – დუტუ მეგრელი; „საქართველოში ყველაზე მეტად დასახლებული ადგილი, რა თქმა უნდა, ციხეა“. – ჯალილ მამედ ყული – ზადე. X თავი: – „უკვე მესამე დღეა კოწია ცომაიას თავის სტრაჟნიკებით არავინ მოუკლავს და ლამისაა გაგიჟდეს“. – „ტფილისის უწყებანი“. XI თავი: – „შენ ხარ ვენახი“. – დემეტრე ბაგრატიონი; „შენ ხარ სიმშვიდე“. – ბერტა კინსკი; „შენ ხარ თავისუფლება“. – ბობ დილანი და სხვა.

წიგნის კითხვისას რთულია რომელიმე თემის ცალკე გამოყოფა – „მფრინავი ხალიჩა“, „ვეფხისტყაოსანი“, პატრიკ ოლირის უბის წიგნაკი, სოფიო მეტრეველის სიყვარული, გემი „ტიტანიკი“, პატრიოტიზმი, ადათ-წესები თუ ლექსიკა... – რადგან ყველაფერი ერთმანეთთან მჭიდროდაა გადანასკვული; ეს ძალზე შრომატევადი და უმადური საბუთაო იქნებოდა, რადგან თემატურადაც და ნაწარმოებში „შემოჭრილ“ ჭრელ საზოგადოებასთან ერთად, უყურადღებოდ არ დამეტოვებინა გვარსახელები, გეოგრაფიული სახელები... და კიდევ ბევრი რამ, რასაც ასე უმურველად გვთავაზობს ავტორი. ამაში თავადაც დარწმუნდებით, თუ კითხვას

არ დაიზარებთ და ჩემს ჩამონათვალს ბოლომდე ჩაიკითხავთ, თუმცა გეტყვით, რომ მაინც დავინდეთ და პერსონალების სია გვარიანად შევამცირო; აი ისინიც: პატრიკ ოლირი, ქეშიშ დარდიმანდი (იგივე იოსებ ამირიძე), სოფიო მეტრეველი (მისი ქალიშვილი), დიდი პატრიკი (ჭაღების ოსტატი), ცერაძე (მკერავი), შირინკინი (პოლიციის უფროსი), ელუარდ სმიტი (გემ „ტიტანიკის“ კაპიტანი), სკუდიერი (არქიტექტორი), გაგარინი (მხატვარი), ბარბიერი (იტალიელი დირიჟორი), კამბიაჯო (ფოტოგრაფი), ვორონცოვი... ორბელიანები, ილია ჭავჭავაძე, ოლლა გურამიშვილი, აკაკი წერეთელი, რაზიკაშვილი, შიო მღვიმელი, ნიკო ცხვედაძე, გრაფი ნიკალა, სოსო მერკვილაძე (წიგნის მალაზიის მეპატრონე), მიტროფანე ლალიძე, გრიგოლ რობაქიძე, გიორგი გურჯიყვი (ფილოსოფოს-მისტიკოსი, ბიზანტიოლოგი), ალიხანოვი, მიხაი ზიჩი, ალექსანდრე დიუმა (მამა)...

ქუჩები, ეკლესიები, მომსახურების ობიექტები, ხიდები: – წმ. გიორგის ქუჩა (ამ ქუჩაზე პატრიკ ოლირი ცხოვრობდა), პეტრე დიდის ქუჩა, მიხეილის ქუჩა, ბარიატინსკის ქუჩა, ღვინის აღმართი, აბანოს ქუჩა, ბამბის რივი, ჭრელი აბანო, სოლოლაკი, ხარფუხი, გოლოვინსკი, რუსთაველის ქუჩა, ორთაჭალის ბაღები, ნემენცების ბაღი, პუშკინოვის ბაღი, მეიდანო, თათრის მოედანი, ქარვასლა, შეითან ბაზარი, ჩორსო ბაზარი, მეტეხის ხიდი, ავლაბრის ხიდი, ვირის ხიდი, მნაცაკანოვის ხიდი, მეტეხის ციხე, ნიკიტინის ცირკი, ერმალოვის შტუდია (ფოტო), ქალთა გიმნაზია...

დატვირთულია თუ არა ტექსტი ამ ჩამონათვალით – რა თქმა უნდა, თუმცა იმდენად დიდია მწერლის სურვილი ყველა მათგანის (რეალურისა და გამოგონილის) წარმოჩენის, რომ ამ სურვილს „ვერ და არ უძკლავდება“; ყველაფერი კი მას, მკითხველს – წარსულის საუკეთესო მხარეების ძიებაში ეხმარება და ასე ნელ-ნელა, ჩვენს თვალწინ ცოცხლდება თბილისის თავისი მოსახლეობით, მათი სოციალური მდგომარეობით, ტოლერანტობითა და ტრადიციებით, რომლებიც სწორედამ ამ ქალაქში იგრძნობოდა ასე ძალუმაღლ... მახსენდება კურტ ვონეგუტის ნათქვამი: „ფაქტისა და შეთხზულის, გამონაგონის შერწყმის თავისუფლება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სურს ავტორს იმის მტკიცება, რომ ეს ფაქტია... ფაქტები, თუკი ისინი ისტორიული მოვლენებია, ხშირად სასარგებლოა მკითხველისათვის. უნდა მოელოდეთ, რომ მკითხველიც ჩართული იქნება ემოციურად. იგი უნდა დააჯერო და ათქმევინო, „ოჰ, ღმერთო ჩემო, ვხვდები, რომ ეს სწორია“. და აქვე, „ლიტერატურაში სირთულე უფრო ადვილი მისაღწევია, ვიდრე – სიმარტივე“. – სერგეი დოვლატოვი.

პირველივე თავიდან მკითხველი მწერლის ემოციისა და განცდის კორიანტელში ეხვევა; ეს შეგრძნებები კითხვის დასრულებამდე (და მერეც) ძნელად სტოვებს, გათანგულია და კიდევ და კიდევ უფრო მეტად უყვარდება საკუთარი ქალაქი... დ. ტურაშვილის სურვილიც ხომ ესაა!

„მაისში სიზმარში ვნახე – მფრინავ ხალიჩაზე ვიჯექი და ვტიროდი. რა მატირებდა: ზემოდან ისეთი

ლამაზი იყო თბილისი, უკითხავად ჩამომიგორდა ცრემლი ჯერ ლოყაზე, მერე ხალიჩაზე და ბოლოს ის ჩემი ცრემლი მეიდანზე დაეცა, იქვე, მეჩეთის მინარეთთან და გამიკვირდა. /რამ გამაკვირვა: თბილისი იყო ძველი, საუკუნის წინანდელი და მეიდანის კი ისეთი ხალხმრავალი და მხიარული, რომ ზემოდან კიდევ რომ მეყვირა, — ხალხო, რა გახარებთ, მალე ეს ქალაქი დაინგრევა და ჩაიძირება-მეთქი, — მაინც არ დამიჯერებდნენ. არც არაფერი მითქვამს, ერთხელაც შემოვუფრინე თბილისს და ისევ ჩამეძინა...“

ივნისში, ერთს ჩვენებურ გაზეთში ინტერვიუ წავიკითხე ერთი წყალში მყვინთავისა. მყვინთავი კაცი ამბობდა: ყველაზე საშიში იმ ადგილებში ჩასვლაა, სადაც მტკვარი ძველი თბილისის უბნებს გაივლის, რადგან წყლის ქვეშ უბნები, სახლები და ქუჩები ისევე დარჩა, როგორც ჩაძირვამდე, ერთი საუკუნის წინ იყო... / ივლისში, მეტეხთან იმ ზაფხულს გადაღებული ფოტო ვნახე, როცა წყლის დონემ არნახულად დაიკლო და იმ სახლების კედლები გამოჩნდა, მყვინთავმა რომ ჩაძირული ქალაქი უწოდა...“

ერთ-ერთ ინტერვიუში ბატონი ოთარ ჭილაძე წერდა: „ჩვენს ახალგაზრდა მწერლებს, ჯერჯერობით, ქართული მწერლობის ქვეშევრდომობა არ მიუღიათ, ანუ, ქართულად კი წერენ, მაგრამ ყველანაირად ცდილობენ თავიანთი განცდებით არ გამოირჩეოდნენ დანარჩენი მსოფლიოსაგან. არადა, მხოლოდ განცდათა განსხვავებულობა, თავისებურება ანიჭებს ლიტერატურას ეროვნულობასაც და, სხვათა შორის, მნიშვნელობასაც“.

რა თქმა უნდა, დ. ტურაშვილი აღარაა „ახალგაზრდა მწერალი“, თუმცა იგი ის ავტორია, რომელიც თავისი განცდების განსხვავებულობით ნამდვილად გამოირჩევა დანარჩენი მსოფლიოსგან, ეს ხომ ლოგიკურია... ამის დასტურია თუნდაც — „ჩემი ირლანდიელი პაპა“, „ხვალ ჩვენს ეზოსაც გადაუფრენენ“, „მისი უღიდებულესობა ქართული ღვინო“, „თანამდევნი ფიქრი“, „გურჯი ხათუნი“, „ამერიკული ზღაპრები“... წერილები — „შენ ხარ მილორად პავიჩი“, „მოგზაურობა და ქართველები“, „იყო ასეთი ქალაქი“, „ორიოდე სიტყვა ღირსების გამო“ და სხვა.

ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი პატრიკ ოლირია: „იყო 1897 წელი, როცა პატრიკ ოლირი, ოცდაშვიდი წლისა, ტომით ირლანდიელი, ხელობით მელექსე ტფილისში ჩამოვიდა. ჩამოვიდა სხვისი, ინგლისური გვარ-სახელით, როგორც გამორიდებული პირი ინგლისის მართლმსაჯულებას იმ ლექსების გამო, ირლანდიაში თავად რომ გაავრცელა ბრიტანული მონარქიის წინააღმდეგ. ჩვენაო, ირლანდიელებო, — ლექსად ამბობდა, — თავისუფალი ხალხი ვართ და ინგლისური წყობილება დიალაც არაფერში გვადგიაო. დატუსაღებას ერთხელ გადაურჩა, ორჯერ, სამჯერ და როდემდე გაემართლებსო, აღარა კმარაო? — დედას უთქვამს. ამასაც ბარგი შეუკრავს (პოეტ კაცს რა ძნელად შესაკრავი ბარგი უნდა ჰქონოდა იმ დროში) და რუსეთისკენ წამოსულა... პოეტები

ყოველთვის მეოცნებე ხალხი იყო, თორემ რუსეთში რა ხეირი უნდა ენახა ირლანდიელ პატრიკ ოლირის და კაი ხანს უხეტიალია აღმა-დაღმა. დაღმა ოდესაში, ერთიც ვნახოთ, კაცი უნახავს პეშკოვის გვარისა, რუსი. იმას უთქვამს: შენ თუ პოეტი ხარ, მეც წერას ვაპირებ და ტფილისში მივიღვარ, ისეთი ადგილია, კაის დაწვერთ, კაის დავლევთ და კაის შევჭამთ, წამოდი ერთად ვიარო, ქვეყანა შემოვიაროთო“...

მე-7 თავ(თ)ავში მწერალი პატრიკ ოლირის უბის წიგნაკში ჩანიშნულ ტექსტებს გთავაზობს, რომლებიც მის პირად წერილებთან ერთად ლონდონის ბრიტანეთის მუზეუმში ინახება; უბის წიგნაკის ტექსტთა ნაწილი ლექსებია ან უბრალო ფრაგმენტები, ზოგჯერ წინადადებები, იშვიათად — სიტყვები. შავარაუდოდ, ის, რისი ჩაწერაც თუ ჩანიშნავს მას საჭიროდ მიჩნდა, ალბათ იმ მომავალი წიგნისთვის, რომლის დაწერასაც აპირებდა. იქნებ დაწერა კიდევ და იმ წიგნის აღმოჩენა მომავლის საქმეა?! — კითხვას სვამს ავტორი. და მხოლოდ კეთილი სურვილებით აღჭურვილი, მკითხველს, ჩანაწერების ალაგ-ალაგ კომენტარებს სთავაზობს, ამასაც მხოლოდ კეთილზე კეთილი სურვილით, რათა მან უფრო უკეთ გაიცნოს ის ქალაქი, რომელშიც მოთხრობილი ამბები ხდება.

ოლირის უბის წიგნაკის ჩანაწერებს 28 გვერდი აქვს დათმობილი. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს:

1) „აქაურს პოეტს რაზიკაშვილს ხელი გაურტყამს აშინოვისთვის და რუსებმა აღარ იციან რითი ავნიონ ქართველებსა“. აშინოვი ისეთივე მოვლენა იყო XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როგორც (დაახლოებით) დღევანდელი ჟირინოვსკი. ვაჟა-ფშაველას კონფლიქტი მოსვლია აშინოვთან ამ უკანასკნელის ფრაზის გამო — „ინდოეთიც ჩვენი, რუსების უნდა გახდესო“. ვაჟას უთქვამს, რად ვერა სძლებით, თქვე ღორებო და იმ აშინოვისთვის ხელი გაურტყამს. სასამართლომდე საქმე არ მისულა, რადგან ქართველები მაგრად დამდგარან: „ჩვენს პოეტს თუ სულში მისცემთ, ერთაშორის სკანდალს ვიზამთო“.

2) „ტფილისის ქალაქის თავი ლორის მელიქოვი იმახდა, ქართველი ვარო და ესენი კი არ ანებებენ — გინდა თუ არა, არა ხარო. მთელს დუნიაზე პირიქითა ხდება, ყველა სცდილობს თავისიანად გახადოს სხვა ხალხის შვილი. მართლა უცნაურია, რომ ქართველები კი ამაზედ არა ჰფიქრობენ და იქითა სჩხრიკავენ ყველას, მაშ, აბა პაპაშენი რა გვარისა იყოვო“. შეუძლებელია, არ დაეთანხმო პატრიკ ოლირის ამ ჩანაწერს, რადგან ალბათ იშვიათია ენა, ქართულის გარდა, სადაც შეიძლება არსებობდეს ამდგავარი დამოკიდებულება იმ სხვა ეთნოსის მიმართ, ვისაც ქართველობა სურს: „ნაოსარი“, „ნასომხარი“ და ა.შ. აგერ შეიდ საუკუნეზე მეტია, რაც ყივჩაღები გაქართველდნენ, მაგრამ ჩვენ მაინც ჯიუტად ვცდილობთ ის სოფლები დავიმახსოვროთ, სადაც ისინი თავდაპირველად ჩასახლდნენ. პატრიკ ოლირის გაკვირვებაც გასაგებია, რადგან ზემოთქმულის მიზეზი და საიდუმლო მხოლოდ ქართველებმა ვიცით“.

3) „მთავარმართებელ დუნდუკოვ-კორსაკოვსა ჰყო-

ლია თავისი მატარებელი თავისი საზანდართ და ზურნა-დულუკის თანხლებით დადიოდა თურმე წინ და უკან და ღვინოებსაც მიირთმევდა. სულ მუდამ მთვრალი ყოფილა და ხალხსაც ყველაფერს პირღებოდა, რასაცა სთხოვდნენ. ერთ დღესაც გადმომდგარა სურამის ბაქანზე და ხალხისთვის უთქვია, მარშან რო ნავსადგურის აშენებას დაგპირდით, წელს აუცილებლად აგიშენებთო – ეტყობა ფოთში თუ ეგონა თავი. სურამელებს უთქვამთ, ჩამობრძანდით, დარჩით ჩვენთან რამდენიმე დღით, აგერ ჩვენს სავიჟეთში მოვასვენებთო“.

4) „მე არ მინახავს, მაგრამ ამბობენ, რომ ქართველები ზოგან ღორებს დაზრდას არ აცლიან და გოჭებად მიირთმევენ. გოჭი ჰქვია პატარა ღორსა და ამბობენ, რომ მთლიანსა სწვავენო“. პატრიკოლირს არ უნახავს შემწვარი გოჭი ქართულ სუფრებზე, შესაძლებელია იმიტომ, რომ მაშინდელ ტფილისში გოჭის ჭამა ჯერ არ იყო მასობრივად გავრცელებული. ეს გაცილებით გვიან, საბჭოთა ეპოქაში მოხდა, როცა ქართველებმა მასობრივად არა მხოლოდ გოჭის ჭამა, არამედ შემწვარი გოჭების ექსპორტირება დაიწყეს რუსეთში არა გასაყიდად, არამედ ძღვენის სახით (რასაც პატივისცემა ერქვა და არა ქრთამი), რაც რუსებს ძალიან მოსწონდათ... რაც ნამდვილად ვიცით, იმას ვიტყვით – ლონდონში, პიტროუს აეროპორტში, ინგლისური საბაჟოს თანამშრომლებმა ქართველი დედა დააკავეს, რომელსაც საახალწლოდ სტუდენტი შვილისათვის შემწვარი გოჭი მიჰქონდა, მართალია იმ გოჭს პირში ბოლოკი არ ჰქონდა გაჩრილი (ბოლოკი ცალკე მიჰქონდა ქართველ დედას), მაგრამ თქვენ ჯვარი გწერიათ და ბრიტანეთის სპეცსამსახურები გოჭის იმ უცნაურმა პოზამ დააეჭვა, რომელსაც ქართველმა ხალხმა უკვე შეაჩვია თვალი და აღარ ეუხერხულება. პიტროუს საბჭოთა თანამშრომლებმა ბრიტანეთის სპეცსამსახურებს კი იმიტომ უხმეს, რომ მათ (რა თქმა უნდა, შეცდომით) შემწვარი გოჭის უხერხულად გაჩაჩხული მდგომარეობა მასზე განხორციელებული ძალადობის შედეგად მიიჩნიეს. მართალია, თვითონ ძალადობის კვალი არ ჩანდა, მაგრამ ინგლისელებმა რა იცოდნენ, რომ ნებისმიერი საქმე პროფესიონალიზმს ითხოვს“.

5) „აქაურს გაზეთებში დიდი კამათია გამართული იმის თაობაზე, თუ რა აშენდეს საბურთალოზე. ერთნი ითხოვენ პოლიტექნიკუმსა, მეორენი კი ამბობენ, რომ ჯობია საბურთალოს მიწები ინგლისელებს მივსცეთ 99 წლით ბრინჯის მოსაშენებლადო“. ამ ბოლო იდეის მომხრეებს რომ გაემარჯვათ მაშინ, ალბათ ახლა საბურთალოზე საკუთარი ჰონგ-კონგი გვექნებოდა“... და სხვა.

პერსონაჟთა სახეების დახასიათებას აღარ სჭირდება რაიმეს დამატება, რადგან მწერალი ორისამი შტრიხით ამას მშვენივრად ახერხებს; პატრიკის შეყვარებულსა და მის მომავალ მეუღლეს – სოფო მეტრეველს – ასე ახასიათებს: – „...სოფო არ ჰგავდა სხვებს, არ ჰგავდა ქალებს, რომელთაც შეუძლიათ პაემანზე მაშინაც კი მივიდნენ, როცა

სხვები უყვართ, პაემანზე დათანხმდნენ მათ, ვინც არ უყვართ“...

არ შეიძლება ბევრი ეპიზოდის გულგრილად, გულსგარეთ წაკითხვა, აი, თუნდაც ამისა: „...მაშინ ალბათ იშვიათად ბედავდნენ იმ სამი სიტყვის წართქმას, ალბათ იმ მიზეზით, რომ თავად სიყვარულს უფროთხილდებოდნენ, განსხვავებით ჩვენგან – როცა ერთი საუკუნის შემდეგ იმდენად ხშირად ვეუბნებით ქალებს ამ ჯადოსნურ სიტყვებს, რომ ისინი აღარ არიან ჯადოსნური და ჩვენც ვეღარ ვიგებთ, გვიყვარს თუ ვგლახობთ, თუ უბრალოდ ვხალისობთ. და არც კოცნა იყო ისეთი ხშირი, როგორც ახლა, როცა იმათაც კი ვკოცნით, ვინც არ გვიყვარს და გვიკვირს: რატომ მოაქვს ზოგჯერ ერთ, ჩვენთვის უწყინარ კოცნას ქალისთვის ამდენი სევდა“... ანდა ამისა –

„ის იყო ერთადერთი ადამიანი, რომელმაც ზუსტად იცოდა, რატომ დუმიდა სოფო და რა იყო მისი ავადმყოფობის ნამდვილი მიზეზი... ექიმებისგან განსხვავებით, მან ზუსტად იცოდა, რა იწვევდა ქართულ მელანქოლიას და რატომ აღარ ახარებდა სოფო მეტრეველს აღარაფერი, რაც მის გარშემო არსებობდა, საკუთარი შვილებიც კი. მაგრამ პატრიკოლირს არაფრის შეცვლა არ შეეძლო, მას არ შეეძლო საქართველოში დაბრუნება და არ შეეძლო შვილების დათმობაც. არ შეეძლო იმის თქმაც სოფოსთვის, რომ ამერიკაში აპირებს წასვლას, რადგან ეს უკვე იმედის დასასრული იქნებოდა სოფოსთვის, რადგან მან იცოდა, რომ ამერიკა სწორედ ის ქვეყანაა, რომელიც სამშობლოს გართმევს და ამერიკიდან სამშობლოში არავინ ბრუნდება. სოფოს კი უნდოდა სამშობლო და მეტი არაფერი...“

დრო გაჩერდა... გრძელდებოდა დუმილი, რომელიც კლავდა პატრიკოლირს და მან შვილების გადარჩენაზე დაიწყო ფიქრი, რადგან შეეშინდა, რომ მის შვილებს აღარ ჰყავდათ დედა – ქალი, რომელიც უფრო მეტი იყო მისთვის, ვიდრე უბრალოდ ცოლი, თუმცა ახლა იგი აღარც ცოლი იყო მისთვის და აღარც მეგობარი, აღარც დედა; ის აღარც იყო – სოფო მეტრეველი არ იყო იქ საფრანგეთში, ის იყო შორს საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ იწვა კლინიკაში, ნიცასთან ახლოს, მაგრამ ხედავდა მხოლოდ ტფილისს და ვერაფერს გარდა ქუჩებისა, რომლებიც ენატრებოდა, სახლებისა, რომლებიც ესიზმრებოდა, ადამიანებისა, რომლებზეც ოცნებობდა“...

ზემოთ ვწერდი, იუმორი მუსიკალურ ფონად შეურჩევია ავტორს-მეთქი. აბა ამას სხვა რა ჰქვია?! – „...ესენი რომ შემოვიდნენ და დარბაზი გაიარეს, სწორედ მაშინ იმ სუფრასთან საკმაოდ უცნაური აღნაგობის კაცი ივა კუზანოვის სადღეგრძელოს ამბობდა მოწიწებით და ქეშიმ დარდიმანდმაც, დასხდნენ თუ არა, პირველი სწორედ ეგ იკითხა: – ივა კუზანოვი ვინ არისო. ამათ რომ მხრები აიჩჩეს უარის ნიშნად, – არ ვიცითო, – მხოლოდ შემდეგ შეუკვეთეს ტკბილეულობა“... – ამ ციტატას საქართველოში ასეთი განმარტება აქვს: „ამ ეპი-

ზოდთან დაკავშირებით ჩვენ მივმართეთ ტფილისის ისტორიის საუკეთესო სპეციალისტებს, მაგრამ ივა კუზანოვის ვინაობა ვერ დავადგინეთ. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის ისიც უცნობია, თუ რა ღვაწლი მიუძღვის მას ქართველი ხალხის წინაშე, რომ ერთი საუკუნის წინათ, ასეთი მოწიწებით სვამდნენ მის სადღეგრძელოს ტფილისის რესტორნებში“. და სხვა. ვეთანხმები სერგეი დოვლატოვს: „იუმორი – ცხოვრების ინვერსიაა. უფრო ასე ვქვათ: იუმორი – სარი აზრის ინვერსიაა, გონების გაღმება“.

მწერალი, მისთვის დამახასიათებელი გულწრფელობით, ხელშესახებს ხდის დაფარულ გრძნობებს... გადავიწყობი ფაქტების აღდგენით, რაც არცთუ ისე ადვილია, როგორც ეს ერთი შეხედვით შორიდან ჩანს, მკითხველზე დადებითად ზემოქმედებს, ხიბლავს, ასაზრდოებს მისი სულის შრეთა მივიწყებულ განცდებს.

„ტიტანიკის“ ჩაძირვიდან რამდენიმე თვის შემდეგ, როცა სოფო მეტრეველს შვილები დაუბრუნეს საფრანგეთში, იგი აბსოლუტურად გამოჯანმრთელდა ყოველგვარი წამლობისა და მკურნალობის გარეშე და მოგვიანებით ისინი საქართველოში დაბრუნდნენ... მაგრამ დაბრუნდნენ სხვა საქართველოში, დაბრუნდნენ იქ, სადაც საყვარელი ქალაქი ჩაძირული დახვდა სოფიო მეტრეველს და ეს არ იყო ქალაქი და ქვეყანა, რომელიც მას ენატრებოდა, რომელზეც ოცნებობდა. /ეს უკვე იყო ქვეყანა, სადაც დახვრიტეს ქეშიშ დარდიმანდი მხოლოდ იმიტომ, რომ ძალიან უყვარდა თავისი სამშობლო და იქ, სადაც საკუთარი ქვეყნის სიყვარულის გამო, სიკვდილით სჯიან, მხოლოდ ღამდება. იქ მხოლოდ ღამდება და აღარ თენდება, მიუხედავად იმისა, რომ მზე ისევ ამოდის და მზის სხივებიც ერთნაირად მოეფინება ვარდთა და ნეხვთა“... კომენტარი სქოლიოში: „როგორც ქეშიშ დარდიმანდის ჩამომავლებმა გვითხრეს, დახვრეტამდე მას სასტიკად აწამებდნენ და ქართველ პოეტს პირადად დაჰკითხავდა ჯალათი ქობულოვი, რომელსაც განსაკუთრებით აინტერესებდა მფრინავი ხალიჩის ბედი. ადვილი წარმოსადგენია, როგორი მონდომებით დააბრალებდნენ ქეშიშ დარდიმანდს უცხო ქვეყნის ჯაშუშობას „თუნდაც იმის გამო“, რომ პატრიკ ოლირი მისი უახლოესი მეგობარი იყო“.

ნაწარმოები სავსეა ტკივილით, ცრემლნარევი სევდით იმ „არქიტექტურული იეროგლიფების“ წაშლის გამო, რომლებიც ასე ამშვენებდა ქალაქს, ძველ თბილისს (როგორც არქიტექტორი ბ-ნი ლერი გომამე ბრძანებს, ეს ფრაზა პირველად გერმანელ ხელოვნებათმცოდნეს, არქიტექტორ ზიგფრიდ გიდიონს გამოუყენებია; მასში იგულისხმება – ქალაქის რელიეფი, კლიმატი, ადამიანების ფსიქოლოგია, ყოფითი ჩვევები, ტრადიციები, არქიტექტურული მემკვიდრეობა – რომლის ხელის ხლება არ შეიძლება. ჩვენი ქვეყნის გარდა, სხვაგან, არცერთ ქვეყანაში დევლოპერი, ანუ ინვესტორი არასოდეს არ კარნახობს ქალაქის მესვეურებს – რა უნდა ამენდეს... ერთ-ერთი ასეთი „იეროგლიფი“ იყო თუნ-

დაც განთქმული „ლალიძის წყლები“, – „იმელის“ შენობის უკან აშენებული „ნიჭვი“ ანგრევს ქალაქის „იეროგლიფებს“)“... ერთი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას – წიგნი დღევანდელი სუნიტქვას!..

დასასრულისკენ კიდევ ერთი ციტატა: „...ციცილი, რომ თბილისის ქვემოთ არსებობდა ტფილისი: ქალაქი, რომელიც ჯერ დაანგრეს და მერე ჩაძირეს, ქალაქი, რომელიც მენატრებოდა, ყოველთვის მენატრებოდა, როგორც ბავშვობაში მოსმენილი კეთილი ზღაპარი... ამიტომაც ვნახე სიზმარი, მფრინავი ხალიჩით მთელს დედამიწას შემოვუფრინე და ყველაზე ღამაში მაინც ტფილისი იყო... კონკა, ლინეკა, კინტო და ჰორო-ტოტო, ორთაჭალა და ყარაჩოღელი... გლეხები და კნენები, ურმები და აქლემები, ზურნა და საზანდარი, ოპერა და თეატრი... ილია და აკაკი, ვაჟა და ნიკალა, რიყე და მტკვარი, კალა და ისანი, ავჭალა და ავლაბარი, ხიდი და მეტეხი, ჩოხა და ფრაკი, ევროპა და აზია – ყველაფერი ერთად!

...პატრიკ ოლირი ტფილისში დიდი სურვილით ჩამოვიდა – ქვეყანა, რომლის არსებობის შესახებაც მხოლოდ გადმოცემით იცოდა, აღმოჩენილიყო ისეთი, როგორზედაც მხოლოდ ოცნებობდა, როგორც მას სურდა, რომ ყოფილიყო ეს შორეული, ლეგენდარული საქართველო...

მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ მითი და ლეგენდა, ეს, მართლაც, იყო ქვეყანა, სადაც ყურძნის პატარა მარცვალში თავისუფლად ეტევა კვებერთელა მზე და სადაც თავისუფლება მხოლოდ ოცნებაა, მხოლოდ წარსულია ან მომავალი და არა – აწმყო; მაგრამ მან შეიყვარა აწმყო, შეიყვარა საქართველო, ისეთი, როგორც დახვდა, შეიყვარა ტფილისი სწორედ ისეთი, როგორც იყო – სოფიო მეტრეველით ერთადერთი და განუმეორებელი, ქალაქი, რომელიც ჯერ კიდევ არსებობდა ერთი საუკუნის წინათ... რომელიც აღარ არსებობს – ტფილისი, რომელიც ჯერ დაანგრეს, მერე კი ჩაძირეს“...

ერთგან მწერალი ხაზგასმით წერს: – „ჩვენი წიგნი ჩვენი ჩაძირული ქალაქის აღწერის მცდელობა იყო მხოლოდ, სხვა დროსა და სხვა წიგნში იმ მფრინავი ხალიჩის მოძიებასაც შევეცდებით, ჩვენი ვარაუდით მაინც რომ აღმოჩნდა ამერიკაში“... დასასრულის დასასრულში „ამ ყველაფერს“ მინაწერიც ემატება: „ვინც დამიჯერებთ, ეს ჩემის თვალთ მინახავს, ვინც არადა, თქვენ იცით“. – სულხან-საბა ორბელიანი, „მოვიდა ლექსითა, წავიდა კვნესითა“. – არუთინა საიათნოვა.

დათო ტურაშვილი, თითქოსდა, პესიმისტური განწყობით ამთავრებს, შერჩეული თემის, ამ მეტად ორიგინალურად გადაწყვეტილ წიგნს, თუმცა მჯერა მისი ოპტიმიზმის და ისიც ვიცი, რომ მისდა უნებურად შემოპარული „დეპრესია“ მისგან უცებვე გადის, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რასაც თავად წერს („ამერიკული ზღაპრების“ ბოლო გვერდებზე) – „... მაინც მქონდა იმედი, რომელიც სინამდვილეში არასოდეს კვდება და არა ბოლოს, როგორც წიგნებში წერენ“.

თუმცა ეს უკვე „სხვა წერილის თემა“.

ერთი ლექსი

თაზიანა ჯაფარიძე



„კვაზიმოდო“

სოციალური სივრცის ჭაობში ჩაძირული
გავდივარ სინამდვილიდან,
ყალბი ვარ!

ვირტუალურ სივრცეში ვხეტიალობ
კვაზიმოდო...
ვცხოვრობ ვიდეო-გრძნობებით,
ფოტოგრაფიული ემოციებით,
ვსაუბრობ აუდიო-ფრაზებით
და ვიკვებები ინტერნეტ-სისასტიკით...
ვირტუალური ზონების ბინადარი ვარ...
ერთი „თაგუნა“ საიდუმლოებას მართავს...

ასე მშვიდად დაიწყო ვარდნა!
გულიდან, სულიდან ვარდნა!
მე შენ გეძებ, კვაზიმოდო, გეძახი,
აავსე თაფლით შენი სასანთლები,
წამოდი ნოტერდამიდან,
აქ დაუნდობელი ვირტუალური სამყაროა,
არ შეგეშინდეს,
შენ ხომ გმირი ხარ!

აქ სიყვარულიც ვირტუალურია,
სევდაც, მოგონებაც,
ცრემლი, ხარხარი, წყენა და ტკენაც
ნიშან-ხატებით იმართება!
მზე და ვარსკვლავები, ყველაფერი მოგონილია,
მოწონება, არ მოწონებაც
თავის ნიშნულებით იშინდება...
კოცნაც კვაზიმოდო, კოცნაც ვირტუალურია!

ინტერნეტ-ქვეყანა ადამიანებმა გამოიგონეს,
შენ ეს არ იცი, შენ არაფერი იცი
სიყვარულის გარდა!
ჩვენ ჭკვიანები და გაწვრთნილები ვართ...
ინტერნეტ-კანონებს ვენდობით...
მეც ისეთი მობილური ვარ,
როგორც ყველა ჩემი მეგობარი!

უნდა მენდო, კვაზიმოდო!
მოდი,
გაშალე შენი გული და წაშალე
„წითელგულები“,
ღიმილები, მზეები და მშრალი ცრემლები,
დაანგრიე, დაწვი დეკორაციები,
არ გაჩერდე კვაზიმოდო,
შემუსრე ოცდამეერთე საუკუნის
კეთილი მტრები, –
თანამედროვე ტექნოლოგიები,
მობილური კონტაქტები,
განფინე შენი მშვენიერი სიმახინჯე, კვაზიმოდო!
აამეტყველე ძველი მონტეგი და კაპულეტი!

აუყვები სიძულვილის აღმართს და
მიწასთან გაასწორე
უღრეკი ფარაონები,
ამაოების ბაზრები ხანძარში ჩაფერფლე,
დაჩეხე ინტერნეტ-ეტრატები!
იჩქარე, კვაზიმოდო,
ჩამოხსენი მოლალატეებს მძიმე ნიღბები,
დააცხრე შურის ვულკანები,
უმთავრესი სათქმელი მათქმევინე და დამამუნჯე,
დამაყრუე, გონს მოსვლამდე დამაყრუე!

გაშალე შენი კუზი – სიყვარულის კუნძული,
ამიყვანე ამ სანდო ბორანზე,
დალეწე სიცრუის პირამიდები,
შეაჩერე აუდიო-ვიდეო მღელვარებათა პულსაცია,
მოახდინე კაცთა ლუსტრაცია,
ჭიანჭველებივით მრავლდებიან
ვირტუალური გმირები,
მკვდარი გმირები დააბრუნე...

ამა ქვეყნის ძლიერთა ავანსცენაზე აღი,
გადმოგვხედე, დაგვანახვე, როგორ ვანგრევთ,
რასაც ვაშენებთ...

ჩვენ ლამაზი, ორფეხა სასაფლაოები ვართ,
ზანტად ამოგვეზარდა ზიზღის კუზები.
უხეშები და ხორკლიანები ვართ;
ამომიყვანე ვირტუალური ქვესკნელიდან,
ამიშენე გულში ღვთისმშობლის ტაძარი,
აბლაკვე შენი ჟანგიანი ზარები,
დამაკოჭლე, სიყვარულის ხეიბრად მაქციე
და რეალურად დამიმეგობრდი!



ქვიშხეთი

გასრისე ეს ლურჯი,
ცოდვიანი ყუთი, კვაზიმოდო!
მისხენი ვირტუალური სიმშვიდისგან,
სიკვდილისგან სიკვდილს გადამარჩინე!
ახმაურე ერთგულების კამკამელები,
აისხი წვიმის მწვანე ეფენები,
და განმგმირავი დაფდაფებით შეიარაღდი...
დახოცე მოღალატე ფანტომები,
პიედესტალიდან გააქრე მრისხანე ფარაონები,
დამიპურე ჩემი კეთილი მგლები!

ალაგმე ინტერნეტ-ვამპირები,
საშინელი ამინდები შეცვალე!
თეთრი მიხაკების ბაღში გელოდები,
ვიცი გენატრება...
აქ არიან ვირტუალური ესმერალები
სიზმრის პერანგებით...
ლამაზმა ვერაგებმა
დაკლეს წითელი ცხენები, კვაზიმოდო!

წითლდებიან მდინარეები...
ნულარ გვიანდები, –
მოდი ჩემთან, სიყვარულის ურჩხულო!
შემომეხვე, მომეკარი, ჩამიქვავდი
სულში და სხეულში ჩამეკარგე,
გამიყვანე ნამდვილობის სივრცეში,
ამიგე სიყვარულის აკლდამა და გამაქვავე,
გამათავე...
მერე... მერე –
ჩემი ჩაშლილი ხერხემალი
გადააქციე საფეხურებად,
რომ ოდესმე, ოდესმე
შენამდე ავმალდე...

*დიმიტრი ყიფიანის ფიქრები ექზარქოსთან
გასავზავნი წერილის წინ*

მოითიბათვა ცრემლმა ქვიშხეთში,
ქარებმა სისხლი გაუთბეს ცაცხვებს
და მორიჟრაჟე დილა ფიქრებში
იმეორებდა სამშობლოს სახელს...

სამოთხის ფერი ეღოთ სველ მინდვრებს,
თვალებს – ნაწვიმარ გვირილის სურნელს...
თუ ასრულებდა ღამე შენდობით
ტკივილის გამას მოხუცის შუბლზე...

ტკივილი სწვავდა კალამს შემალვით,
წყველა ქვეყნისა ზაფრავს ვერ სარგო
ვით შეარჩინოს ზრახვა ვერაგი
და მიუტევოს ცოდვა ეგზარქოსს?

„ცოდვიანია თქვენი სიტყვები,
შეურაცხყოფელს მივუგებ ღღესვე –
ამ მიწა-წყალზე როგორ იქნებით,
უნდა დატოვოთ ქვეყანა ესე“...

ნაღველი სწვავდა თითებს და გზებსაც,
ქართლში აისიც სისხლის მზეს ჰგავდა...
და სხივოსანი ტარიგი სევდა
ლიტანიობდა მოხუცის დარდთან...

იღგა სამშობლო – ცრემლში ზურმუხტი,
გადატეხილი ვადაში ხმალით...
ზეცას ფერავდა დილის სულმწუხრი,
თავგანწირული იმედი

ხვალის...

ადრე წასული ნიჭიერი ხელოვანი

ქართველმა ხელოვანმა, მოქანდაკე გივი აფხაიძემ 1981 წელს ნადრევად დაასრულა თავისი სიცოცხლე, მაგრამ დაგვიტოვა თავისი სულის გამოძახილი იმ ქანდაკებებსა და სკულპტურებში, რომლებსაც, სამწუხაროდ, ნაკლებად იცნობს ჩვენი საზოგადოება.



გივი აფხაიძე დაიბადა 1944 წლის 26 აგვისტოს თბილისში, 1961 წელს დაამთავრა თბილისის 55-ე საშუალო სკოლა და 1962 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაასრულა 1968 წელს.

1970 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სამრეწველო ხელოვნების კათედრაზე. იყო საქართველოსა და საკავშირო მხატვართა კავშირის წევრი, სისტემატურად მონაწილეობდა სხვადასხვა გამოფენებში. მისი ლითონქანდაკეები: „ვეფხი და მოყმე“, „რაგბისტები“, „კაცი ცხენით მთვარიან ღამეში“ და სხვა ეროვნული სულიკვეთებით გამსჭვალული ნამუშევრებია, რომლებშიც კარგად ჩანს მოქანდაკის ხელწერა და დახვეწილი გემოვნება.

მის შემოქმედებაში მკაფიოდ იკვეთებოდა როგორც ანტიკური ხელოვნების, ასევე რენესანსის ეპოქის კლასიკოსთა სიღრმისეული ცოდნა.

გივი აფხაიძე შესანიშნავად ფლობდა სპილენძის, ბრინჯაოსა და ქვის დამუშავების ტექნოლოგიას. მისი ნამუშევრები-პორტრეტები თუ ფიგურული კომპოზიციები გამოირჩეოდა გემოვნებითა და მაღალმხატვრულობით. იგი წარმატებით მუშაობდა აგრეთვე გამოყენებით ხელოვნებაში. მის მიერ იყო გაფორმებული საქართველოსა და საბჭოთა კავშირის არაერთი ქალაქის მუზეუმების, სპორტული თუ ადმინისტრაციული შენობების ფასადები და ინტერიერები.

მის შემოქმედებაში არაფერია დანაწევრებული და შეკოწიწებული, დეტალობა და მთლიანობა ოსტატურადაა ერთმანეთში შერწყმული. მის ნამუშევრებში კარგად ჩანს ოსტატი მოქანდაკის ხელი, მისი ნიჭიერების მთელი სისრულე და შეუმღვრეველი გულწრფელობა. მის ქმნილებათა ყოველ ხაზში იგრძნობა მხატვრისა და მოქანდაკის სინატიფე, დახვეწილობა. სამწუხაროა, რომ ეს ნიჭიერი ხელოვანი ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან, მაგრამ მის ნამუშევრებშია ჩასახლებული მისი სული.



გივი აფხაიძის ნამუშევრები

ძეგლი უნის ნიგნაკიდან

ჯამბუჯი ჯიშხაჩიანი



დიდი მწერალი

ლევან გოთუას შესახებ გაზეთზე რომ ვმუშაობდი, უკვდავი „ქეთო და კოტეს“ დამდგმელ რეჟისორს, ვახტანგ ტაბლიაშვილს შინ ვეწვიე.

– ბატონო ვახტანგ, „ქეთო და კოტემ“ თქვენ საუკუნო დიდება მოგიტანათ. რამ მიგიზიდათ ლევან გოთუას შემოქმედებაში?

– ჩვენი ერის სასიცოცხლო ფესვებში წვდომამ, – ბრძანა მან. მის სულს ვენაცვალე...

ბატონი ლევანის შემოქმედების გაცნობამ ბევრი რამ მომცა, ბევრ რამეზე დამაფიქრა.

უძმომესი იყო ჩვენი ცხოვრება დასაბამიდან დღემდე, მაგრამ ერი არ მოკვდა. უძლიერესი ეგვიპტე კი მოკვდა. კართაგენიც მოკვდა. რამ გვიხსნა? თამარის, ქეთევანის და დავით აღმაშენებლის დიდ ზნეობრივ სიმტკიცესთან ერთად კიდევ იყო ჩვენს ერში ის რაღაც ამოუცნობი ძალა, რამაც დუნჯირში ამოათქმევინა მას სვეტიცხოველი, „ვეფხისტყაოსანი“ და „მუშლი მუნასა“...

ბედმა მარგუნა ლევან გოთუას ისტორიული შინაარსის პიესების დადგმა. ეს იყო მაღალმხატვრული ღირსების თხზულებანი, რომელთა სცენაზე განხორციელებამ ამაღლა ჩემი პროფესიული დონე.

„მეფე ერეკლეს“ აზრობრივი მაგისტრალი ერის მომავლის სასიცოცხლო ძალთა ძიება იყო. სამშობ-

ლოს ბედზე ზრუნვას ეწირებთან საუკეთესო მამულიშვილნი, მაგრამ სასოწარკვეთას სულიერი სიმხნევე თრგუნავს.

ვმუშაობდით თავდავიწყებით. საღამოს რეპეტიციები ხშირად შუაღამეს გადასცდენია. ჯვარცმულის ღვთისთვის თავად ჯვარცმულ საქართველოს სახეს კეძებდით.

ვასო გომიაშვილის ერეკლე მეფე, ვერიკო ანჯაფარიძის ანა ბატონიშვილი, შალვა ღამბაშიძის პაატა, სერგო ზაქარიაძის ბესიკი, გიორგი შავეულიძის საიათნოვა და ალექსანდრე ომიადის ბერუჩა ბრძოლითა და სიყვარულით შთაგონებულთა სისხლ-ხორციანი სახეები იყვნენ, მათი მოქმედება წვა იყო და ეს წვა მხურვალეობას ანიჭებდა მთელ სპექტაკლს.

ლევან გოთუას მეორე პიესა „დავით აღმაშენებელი“ სტილისტურად განსხვავდება „ერეკლესაგან“. ეს სხვადასხვაობა დრომ და ეპოქამ განაპირობა. ერეკლესაგან ორასი წლით ვართ დაშორებულნი, დავითისაგან – ცხრაასით. ერეკლე ნგრევაში მყოფ სამშობლოს გადარჩენისათვის იღწვის, დავითი განადგურებული ქვეყნიდან ძლიერ საქართველოს ჰქმნის. „ერეკლეს“ სიტყვა ჩრდილიანია“, ძარღვიანია, მღულარეა; „აღმაშენებლის“ სიტყვა შუქმოსილია, მონოლითურია, მდგრადია. „ერეკლეს“ მოქმედების დინება თავაწყვეტილ თერგს მაგონებს, „აღმაშენებლის“ მოქმედება – ზღვის ტალღას.

აი, ერეკლეს სიტყვა: „ამ დახნულ გულში რაც მორევი – ბოლმა ტრიალებს, იგი რომ მეთქვა, მთელ მსოფლიოს შეაშფოთებდა, მაგრამ ვის ვუთხრა, ვის შევჩვილო ჩემი ვარამი? ნუგეშს, პირიქით, ჩემგან ელიან. ხომ მე ვარ ამ ბედკრული ქვეყნის საბოლოო ჭირისუფალი“.

ახლა დავითს მოვუსმინოთ: „ვწუროთნე ქართული ნება და კუნთი, თორით შევჭვდე ერის იარანი ჩემი დახსნილი, კვესით ავლესე დაშნა და მაჯა, რისხვით მოვზიდე შვილდი და გული... და თუ ამ ქვეყნად სიმართლეა ბედის საზომი, უკვე გათავდა საქართველოს ძნელბედი ღამე!“

„დავით აღმაშენებელი“ ქართული დრამატურგიის საუკეთესო ქმნილებად მიმაჩნია, ფილოსოფიური სიღრმით განზოგადებულ ყოფიერებაში იკითხება მაღალი ზნეობრივი იდეალები.

ზნეობრივი სიმტკიცე არის ერის არსებობის უპირველესი ძალა! – ეს იყო დედააზრი სპექტაკლისა

და ამ აზრით იყო გამსჭვალული ყველა კომპონენტი. სპექტაკლის ძირითადი კომპონენტი, რა თქმა უნდა, მსახიობია და ამ მხრივ ბედმა გაგვიღიმა, როლები კარგად განაწილდა: დავით აღმაშენებელი – სერგო ზაქარიაძე, კათალიკოსი – შალვა ღამბაშიძე, ჭყონ-დიდელი – გიორგი შავგულიძე, მზეთვალა – ვერიკო ანჯაფარიძე, გვარანდუხტი – ნატო ვაჩნაძე, გუდარ-ეხვაი – ვასო გოძიაშვილი.

ამ ლეგენდად ქცეული მსახიობების გარეშე წარმატებას ვერ მივალწვევდი. წარმატება კი ნამდვილად დიდი იყო. ვერ დავმაღლავ გულისხმას, – არაჩვეულებრივი სანახაობით ბრწყინავდა სცენა, რაშიც დიდი ღვაწლი მიუძღვით მხატვრებს: იოსებ

სუმბათაშვილსა და ფარნაოზ ლაპიაშვილს. მუდმივი ოვალური დაზგა, მაღალმხატვრული ღირსების ფერ-წერული ცისა და ფრესკის ფონები, ბიზანტიური სტილის კოსტიუმები და ლაკონიური მიზანსცენები მონუმენტურ იერს აძლევდა სპექტაკლს. ლევან გოთუას პიესამ ამ დადგმით სავსებით შესატყვისი ხორცშესხმა ჰპოვა. ეს სპექტაკლი არ იყო დროის გარკვეული მონაკვეთის კუთვნილება, ეს იყო ჭეშმარიტი ხელოვნების ნაწარმოები, რომელიც ყოველ დროისთვის შეინარჩუნებდა თავის სიახლეს, ერთი სიტყვით, ლევან გოთუას „დავით აღმაშენებელი“ ქართული დრამატურგიის საუკეთესო ქმნილებად მიმაჩნია, – ბრძანა მან დასასრულს.

ლევან გოთუა:

* * *

არის კეთილი სიბრძნე, მაგრამ იგი უფრო ხშირად ამაოა!. და კიდევ არის ავი სიბრძნე. ყველა ქვეყნის დამპყრობელნი ამას უფრო მისდევენ... იგი ნაღია მუდამ, ამ ავისბრძნისაა „გახრწენ და გადმოიბირე“. არ დაინდო ზნემაღალი მტერი. იგი უფრო საშიშია, სხვას ან იყიდი, ან შეაშინებ და ყველაფერში გამოიყენებ. ზნემაღალი კი უკვე გმირია და ვაითუ, მას კიდევ სიმარჯვე და გონება ახლავს. უზნეო კი, თუნდაც მტერი, შენი ბუნებრივი მოკავშირეა.

* * *

არც ღამე უყვარს ქართველს და არც ღამით ძილი, მიზეზს კი ყოველთვის პოულობენ. ღამეს უთევენ ავადმყოფს და მიცვალებულს, ღამეს ათევენ ქორწილში და ნათლობაში. ყოველ ხატსა დღესასწაულს ზომ თავისი ღამის სათევი ახლავს. არც უმიზეზო ღამის თევას ერიდებიან, ყოველი დიდი ღმერთისა თუ მცირე არიფანის დროს. ვგონებ, ქართველთ დღისით, მზისით უფრო მეტი სძინავთ, ვიდრე ღამით და მთვარით.

* * *

არაბუნებრივი და არაჩვეულებრივი უნდა მოიმოქმედო, შვილის სიყვარული ადვილია, ეს ყველას მოსდგამს. იქნებ არც შვილის შეძულებაა ძნელი, ასეთებიც არიან. აი, გულის არსებით გიყვარდეს და გასწირო, გაიძეტო, გულიდან ამოიგლიჯო, აი ეს არის ძნელი მრავალზე მრავლისათვის, შეუძლებელიც, მაგრამ ჩვენ ზომ შეუძლებელიც უნდა შევძლიოთ, რომ მამულის მთლიანობა დავიბრუნოთ. დანაწევრებული საქართველოს შვილებს ნუთუ გულიც დაგვიკინდა და დაგვინაწევრდა, თავგანწირვა დაგვაიწყდა. მაშინ როგორღა იარსებოს ერმა, თავგანწირვა ადვილია, შვილის გაწირვაა ძნელი.

* * *

ერის უკვდავებას ბუნებითა და მოწოდებით ქალი უფრო ემსახურება. ერის დიდება კი მამაკაცის ასპარეზობაა.

* * *

ვინც ქვეყანას ჭირისუფლობს, თავის თავს აღარ ეკუთვნის.

„PRO ARIS ET FOCIS“

„საკურთხეველთა და კერათათვის“ – ციკერონი



„საკურთხეველთა და კერათათვის“
ომია წმინდა,
საყდრები შეგვთხოვენ ჩამოშლილ ყელ-სახით
უფალი წინდავს,
ჯვარული ხელსახვით,
თავი არ მისცე ძილს,
სისხლი სისხლის წილ.
ყველა ქვეყნის და დროის,
ბიბლიის, ყურანის, თორის,
აღმსარებელთა და მღევნელთა მათთა გასაგისად.
ჩვენთან არს ღმერთი აღმოხდა მგოსანთა,
ოსანნა, ოსანნა.
ომია წმინდა –
წაბილწულ ჭათათვის
ღვენილთა ოდესმე,
ლაზთათვის, ჭანთათვის.
ჯავრ იყარნ ტაოსი,
გულგამწყრალ ტაროსით,
ოშკის და ოპიზის
ძვირ იქმნა ხარაჯა,
კოშკის თვალ ორბი ზის,
ჭვრეტად და დარაჯად,
ჯავრუჭმელ მხედართა
კურთხეულ ფარაჯად.
წაბილწულ ჭათათვის,
სარკინოზთა და ერთმორწმუნეთაც,
მსახვრალი ხელითა,
კოლხთათვის, ჭანთათვის.
გარეკილ ლაბა ხარს,
უღლეღი მუხლითა, საავო ამბავს ხარ,
შეყენებულთა მტარვალის უღლითა,
დანაცროს მეხმა, დაშაშროს ქარ-ცეცხლმა,

ბნელსა და უკუნში,
ფეხსხლტომილ კლდის კეხმა
ჩაცეხვოს უფსკრულში, იქმნენ კრუნნი,
ყელმყივარ ყურბანაც, ჯვაროსან ჟღალებიც,
მამონას. ეშმაის კერძად მაშხალები.
შეგინებულ საკურთხეველთა და
ნამუსახდილ კერათათვის,
„თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ“,
ფეხ, ქვე ეცლებოდეს ცრუსა და მაცილს,
განძარცვულ მხევალთა და ცთომილ
კერპათათვის,
ხატთ პირქვედ მხობისთვის, ჯვართა
მხნეობისთვის,
უპატივობისთვის ლეჩაქთა, მანდილთა,
შეხანხლულ, შერგებულ უკეთურ წადილთა,
ცრემლგამშრალ ღვედათა ჩამოშლილ თმებითა,
უხმო ღაღადისი, ვერც რაის თმენითა,
მოხიზნულთ მთებითა, წაგლეჯილ თემითა,
სისხლთა შეხვრეპისთვის, სათავეთ
მღვრევისთვის,
მთებისა, საყდართა, პარმალთა, ხევისთვის,
უკეთურ ხელთაგან ხატთა შეხებისთვის,
სასწორზე ატვირთე, იმსაჯე თემიდა,
იმძლავრე, მოისხი პორფირის ხლამიდა,
ხრიზმოსის წინჭვრეტით სამშვიდო გვაუწყე,
მზაკვართა მიაგე, ჩაცვივნე სრამითა,
ველარ ამოხველ კაცთაგან ვალითა, ხილაბანდ
იმორე,
ცისქვეშეთს დახედე გულმტკივან თვალითა,
მოგვაანლოვე სანუკვართ სიმორე,
ღრო გაღის და ჩვენც ვბერდებით,

ნულარ აუხდენ ბოლომდე საწადელს,
ბილწთ არ აუდგეს გვერდები,
მიჰმადლე, მიაგე, კეისარს კეისრის,
ვინც რაგვარ იღვაწა,
გვარწარმოჩინებულთ თუ უაზნო ვილაცამ,
შეგინებულ საკურთხეველთა და კერათათვის,
მითვისებულ საყდართათვის,
სისხლლებილ ზღვისთვის,
ხოდაბუნთა და ტალანთა გადაცემისთვის
სხვისთვის,
ფრესკის ჩამორეცხილ ცრემლისთვის,
ისტორიათ და აზმათა პატივთ არ ცემისთვის,
ჩამოშლილ ქვებისთვის, უკეთურთ ქებისთვის,
ჩამქრალი კერისთვის,
პატივთა აყრისთვის, დიაცთა, ბავშვთა,
საპყართ, ხეიბართ არ დანდობისთვის,
ვაჰ, გაცუდებულ ძმობისთვის, დობისთვის,
სიკეთისა წილ ავის ნდომისთვის,
შერისხე ზენაო, ეს ომია წმინდა,
უფალო მიაგე ნაცრად და ტუტადა,
ნაარმევ შეარგე უწმინდურ ტურტლადა,
ტყე-ველი უქციე გაუვალ ჯაგებად,
სჩანს უდროოა გორდა ხმლის ჩაგება,
შავი ზღვა უქციე კუპრის მწველ ტალღებად,
მთა-გორის ზურმუხტი უქციე თალზებად,
ტბის თვალი აფრქვევდეს მღუღარე გეიზერებს,
გზა-კვალი უბნე ჩრდილოურ კრეისერებს,
მზე ექციე გეენად, ქვიშები ბუგავდეს,
თავმშვენი ცხვირპირი საზარელს უგავდეს,
სხვის ჭერქვეშ მარადის აწვიმდეს, ათოვდეს,
დღისა ნათელი მისთვის არ ნათობდეს,
დეღგმა-უკუნი ორთავ თვალის ჩინს,
ზენაო იყრიდე წამებულ ყმათა ჯინს,
უქციე, წვიმა ეკლად, ქარი ხორშაკად,
თოვლი სუდარად, უღვთოდ გაწირულთა
ისმინე მუდარა, ზამთარ შაშრავდეს ყინვითა,
გზას ვერ იკვლევდეს ხილვითა,
გაზაფხული გვირგვინს წნავდეს საგლოვოდა,
შეუყენე უნდოთ ჯიში გზას გოლგოთას.
უფალი წინდავს ჯვარული ხელსახვით,
სისხლი სისხლის წილ, ჟღალთა და
ქერათათვის,
ომია წმინდა, ისმინე, ისმინე,
საკურთხეველთა და კერათათვის.

სღუმდა გეთსიმანია

ო, როგორ სღუმდა გეთსიმანია,
სურნელს აფრქვევდა იასამანი,
უქმ სიმშვიდეში ზტონდენ კვიცები,
ბრბოს აზავებულს, ღვარცოფით დენილს,
მეთავებდნენ ლაჩარ კაცები,
პირველად იყო სიტყვა
სურდა ემოდვრა, ეთქვა, ის ერთადერთი
და შეუვალი ჭეშმარიტება,
რაც ხელის გულზეა ჭაში არ იდება.
უნდა ეკვლია გზები უვალი,
შესჭიდებოდა ბარდებს ეკლიანს,
თუმც მრავალგზის ის დაისეტყვა,
ეს იყო ზესით განგებულება,
უცნობელ არიან გზანი უფლისა,
ველარ წვდებოდა სულის საყდარს,
გზავნილი გონით ნამოდვრალი,
ჩაკირულ ტვინებს, ჯიუტ სახედარს,
ხედნიდა ეშმა ქვეამომძვრალი,
თუმც კი მაღავს სახეს თარსს,
სჩანს ეს იუდა
ობობას ქსელში მორიგ მსხვერპლს აბამს,
გულბოროტ ანას მიუტანს ამბავს,
საქმეც შეთითხნეს,
უმწიკვლო სისხლი უნდა დაინთხეს,
მსურს რომ შეგრისხო მსაჯულ პილატეც,
რატომღაც მუდამ, მუდამ ასეა,
ცრუ პალატებთან ყრუდ ჩაიარე
ხელზე ისხურე და შეატოვე სვავებს მესია,
ნაჭრილობევზე მწერი ესია
და ამდენ ჯვრებში მარტოდენ ერთი იყო
უმწიკვლო,
დრო აიშალა, დღელამემ იკლო,
ჯირით ჯირითით,
უთვალავ ჭირით მოიახლოვა
კვირობის კვირა,
მენელსაცხებლედ თვალნი ალაპყრეს, ზეციით
საცრემლედ,
უმაღ დახარეს, ელდა ეწვიათ,
ამჯერაც სღუმდა გეთსიმანია
და თენდებოდა აღდგომის დილა.

თვალი ავტყორცნე

რეპრესირებულ ხელოვანთა ხსოვნას

თვალი ავტყორცნე ზემორე მყოფსა
ადგილის დედას, მფარველს და ქალდიდს,
აუყევ ფერდობის ფლატეს საწვალეს,
მთაწმინდის კალთით გულმა მიწია,
სად მთა იხუტებს წიად-მადნითა
ძვირფას საძვალეს,
იქ განვიმსჭვალე მარადი ფიქრით,
კვლავაც მათითა,
ხსოვნის ვარაყი ხელისგულებით ჯიბეს მიწყვია,
დროის ჯალათი წამები მიქრის, ასე მგონია,
გულის ჯერობა აღარ მაცალეს, გულმა ვიწყვია,
და სამარადო ჭირისუფლებად
მათივ გმირები ამომდგომიან,
კურცხალს აბნევენ დიდთა სავანეს
სულის საყდრითა,
დღესაც ომია, აუყევ ფერდობს
დილა ადრითა,
სულს და გულს მიმწუხრს ამოუვსები
ზოგთა სამარე,
მწუხრ თუ სად დღითა, მომესაკლისა,
ვაი ტიცვიანს,
ვაი მიხეილს,
ახმეტელს სანდროს,
დიტო შევარდნაძეს...
რა დიდთა ვარდნა იყო იმ წელსა,
რა დრო იყო, უბადრუკ გონის ამარა, რა დრო,
ვერც რა მივაგეთ, ვერ მოვიმწუხრეთ
ამოუვსები თქვენი სამარე,
ტიციან, მიხეილ, დიტო და სანდრო,
თვალი ავტყორცნე ქალაქის მფარველს,
დედას და ქალდიდს,
დიდთა სავანეს, საფიცარ მიწითა,
მთაწმინდის კალთით გულმა მიწია.

დაიმშვენებდა მახვშობას

*ხმას ვაწვდენ ერეკლე საღლიანს,
თეთნულდს რომ ირეკლავს,
პოეტსა და სახელიანს*

აქ ქარები ძუნძულით თავებს ახლიან,
ვერაფერს აკლებენ კომპებს,
ლატალით, ჯრუჭით, მულახით,
გახედნილ კვიციტ, ულაყით,
საუფლო მთების, მითების,
დალის გრძნეული თითების,
მირანგულას და ლილეოს.
აქ ჩიაც ხომ გასულდიდდება,
ათიც კი ალბათ ცოტაა,
ცოდოა ორ ცალ თვალთ,
თუ გსურს იოცო სვანეთი,
გაჰყევი ერეკლე საღლიანს,
სვანეთი-განძის კუნძული,
დევემირთა სამოსახლოა,
იქ ცა უფრორე ახლოა,
ცას ბეჭებს ლამის მიაბჯენ,
იქ მთებიც უფრორე ზვიადი,
ტყვიას ტყვიაში რომ აჯენს,
თვალთ უფრორე მზირადი,
იქ არწივთ სამოსახლოა.
ფიქრმაც ფეხები შეიბა,
ხან რას ედება, ხან რას,
ქარებიც კომპებს თავებს ახლიან,
ანასხლეტია შხარას,
გსურს ითავისო სვანეთი?
ის ნაჩვევია ხეტიალს,
გაჰყევი ერეკლე საღლიანს,
ეგებდა სხვებმაც უთხრეს,
ის მაგონებს ამ კუთხეს,
ხმაც მთათა ექოს მიუგავს,
დაიმშვენებდა მახვშობას,
თავად წააგავს სვანეთს,
კაცობრიობის ბავშვობას...

ერთი ლექსი ჯუბა ლუბანი



ათცამეტზე ცოტა მეტი

ასურელ მამებს

იოანე ზედაზნელო,
უფლის მოვლენილო მზეო,
სულო, გულო უფლისაო,
ვგალობ აღილუიასო!..

დიდო ანტონ მარტყოფელო,
მარტოდ მყოფო, სანთლის ფერო,
მნათო, მნათო უფლისაო,
ვგალობ აღილუიასო!..

მწამს, აბიბოს ნეკრესელო,
უფლის გზაზე მეკვლედ მსვლელო,
თვალისჩინო უფლისაო,
ვგალობ აღილუიასო!..

წმინდა დავით გარეჯელო,
ჯვრის მზიდველო, ამ ჯვრის ჯერო,
გულის-გულო უფლისაო,
ვგალობ აღილუიასო!..

წმინდა ისევ, წილკნელო და,
გშვენის რჯულის კლდის წვერს დგომა,
მორჩილება უფლისაო,
ვგალობ აღილუიასო!..

წმინდა შიოვ, მღვიმის სვეტო,
ქრისტეანთა შორის მეტო,
ნათლის სვეტო უფლისაო,
ვგალობ აღილუიასო!..

იოსებ ალავერდელო,
ჩვენო წარმათთაგან მხსნელო,
სიხარულო უფლისაო,
ვგალობ აღილუიასო!..

სტეფანწმინდელი თადეოზ,
შენდობას ვთხოვ შენს ანგელოზს,
ყველა ჩემი ცოდვა მახსოვს,
ვგალობ აღილუიასო!..

რა ვქნა, პიროს ბრეთელ ბერო,
რაც არ უნდა ვქარგო, ვწერო,
რაც არ უნდა სული ვწვართო,
ვერ ვიქნები შენებრ სათნო!..

ვერც შენ, ხირსელი სტეფანე,
ვერ მოგწვდი ფეხის ტერფამდე,
მანც არ წარვიკვეთ სასოს,
ვგალობ აღილუიასო!..

ისიდორე სამთავნელო,
როგორ ვეწამო და ვევნო,
მეც შვილი ვარ უფლისაო,
ვგალობ აღილუიასო!..

მიქაილ ულუმბოელო,
უფლის გზაზე მართლად მსვლელო,
სიყვარულო უფლისაო,
ვგალობ აღილუიასო!..

იყალთოელო ზენონო,
ვიცი, მეც უნდა ვემონო,
უფალს – უკვდავების წყაროს,
ვგალობ აღილუიასო!..

დიაკონო ელიაო,
ძალა გამომელიაო,
მომეძალა სინანული,
ლოცვით გარეშემო ვუვლი...

ტადარს ვუვლი,
სანთლებს ვანთებ,
პიმენ, ნათან, იოანევე,
შენდობას გთხოვთ უფლისანო,
ვგალობ აღილუიასო!..

დაცალკევდით, 80 წლამდე,
უმეგობროდ დაყავით,
ზედაზენი იყო თქვენი,
ბოლო თავშესაყარი...

უფალთან ხართ, ღმერთში გხედავთ,
ქრისტეს მადლით შემოსილთ,
საქართველო არის თქვენში,
თქვენ ხართ საქართველოში!..

ზურაბ ჯონაიძის ახალი მოთხრობა —
პრიზისი

ლელა აბრამიშვილის ახალი ლექსები

ლელი ურდულიაშვილი დავით წაკედიანზე

გულნაზ გვადია — რეცენზია
რევაზ ინანიშვილის სახელობის
ლიტერატურულ კონკურსში
გამარჯვებულ სამ მოთხრობაზე

ნინო ბარყაშვილი —
„იპნანები“ წილი იანოსთვის

თამილა ჯაფარიძის ერთი ლექსი —
„ქვანისოდო“

სარგვი ესენინის პოეზია —
თარგმან მათევეან კოკოჩაშვილმა

დავით ქიქვაძის პოეზია

ეებარ აღბანგარკის მოთხრობები —
გერმანულიდან თარგმან
დავით ქირკიტაძემ



ახეული — გაბათხულის ხეული